ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 მაისი **პარასკევი** 2010
№ 105 (13093) ფასი 60 თეთრი

# ...დევდარიანი და მარცვალაძე, შეიძლება სირაძეც



>> გვერდი 3



# ტოტის ამაზრზენი საქციელი

მსოფლიო ფეხბურთი >> გვერდი 5-10

# ქაისერისფორისთვის ქართველებიც მყავანან მონახაზში...



ინტერვიუ შოთა არველაძესთან

>> გვერდი 3



# ყველამ გამანადგურა და ხაზი გადამისვა...

ინტერვიუ გიორგი ლორიასთან >> გვერდი 4

# ქართველი მეკარე პრაღის სლავიაში

>> გვერდი 4

# საჩემპიონო ამბიციის რეალურობა

...განვლილი ტური მართლაც განსაკუთრებული იყო - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, XXI ჩემპიონატის გამარჯვებული სწორედ ახლა გამოვლინდა! თანაც, საქართველოს ახალმა ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა" ეს ტიტული აბსოლუტურად დამსახურებულად მოიპოვა - გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში (ერთი-ორი ტურის გარდა) სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი იყო; ანუ, ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს სრულ კანონზომიერებასთან - კონკურენტებისგან განსხვავებით „ოლიმპმა" ზედმიწევნით სტაბილურად და, რაც მთავარია, ჩავარდნის გარეშე განვლო მთელი სეზონი. ისიც კანონზომიერებად მიგვაჩნია, უკვე - ჩემპიონი გუნდი სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე უახლოეს მდევარს თერთმეტი ქულით რომ უსწრებს. აღარაფერს ვამბობთ ბოლო წლებში „დამკვიდრებული ტრადიციის დარღვევაზე": როგორც წესი, საქართველოს ჩემპიონი ბოლო ან ბოლოსწინა ტურში ირკვეოდა ხოლმე; თანაც, ასე გრძელდებოდა... თორმეტი წელიწადი - 1998 წელს თბილისის „დინამო" რომ გახდა ვადაზე ადრე ჩემპიონი, იმის მერე არც ერთ გუნდს ასე ნაადრევად არ მოუპოვებია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა! ყოველივე ეს კი იმას ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ „გაცხადებული" „ოლიმპის" საჩემპიონო ამბიცია მხოლოდ კონკურენტების „დასაშინებელი ფანდი" არ ყოფილა; პირიქით - კლუბის ხელმძღვანელთა, გუნდის სამწვრთნელო შტაბისა და თითოეული ფეხბურთელის ერთობლივმა ძალისხმევამ, პლუს მიზანმიმართულმა და სწორად არჩეულმა სატურნირო „ტაქტიკა-სტრატეგიამ", რუსთაველ ქომაგებს მეორე საჩემპიონო ტიტული მოუტანა. თუმცა, მეტალურგთა და ქიმიკოსთა ყოფილ ქალაქში მიიჩნევენ, რომ მათი საყვარელი და საქომაგო გუნდი ორზე... მეტჯერ ყოფილა საქართველოს ჩემპიონი! არადა, არც გაემტყუნებათ...

## ტიტულოვანი რუსთავი

უპირველეს ყოვლისა, ის განვმარტოთ, რომ რუსთავის „ოლიმპმა" კლუბის ხანმოკლე არსებობის ისტორიაში „მართლაც" მეორედ შეძლო საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება: 2007 წელს და ახლა; სამაგიეროდ, რუსთაველ სტაყიან ქომაგებს „არ უნდათ" იმის დავიწყება, რომ ამ ქალაქის სხვა გუნდი... ოთხჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი!

რუსთავის „მეტალურგის" ადრინდელ წარმატებებს ვგულისხმობთ - ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ამ გუნდს ხომ ოთხჯერ აქვს მოგებული საქართველოს პირველობა (1959, 1974, 1979 და 1984 წლებში). აღსანიშნავია, რომ რუსთავის ფეხბურთის მართლაც კოლორიტი და ერთ-ერთი სიმბოლო, **იასონ ალადაშვილი** „მეტალურგის" შემადგენლობაში სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი; განსაკუთრებით კი „მეტალურგის" მეორე საჩემპიონო სეზონი გვინდა აღვნიშნოთ - 1974 წელს გუნდის გამარჯვებაში არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა „მეტალურგის" იმდროინდელმა ფეხბურთელმა **ზურაბ ჯაფარიძემ**, დღესდღეობით საფეხბურთო კლუბ „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტი რომ გახლავთ.

მოკლედ, ჯაფარიძეს ფეხბურთელობის დროსაც აქვს მოპოვებული საქართველოს ჩემპიონობა და ახლა უკვე ორჯერ, როგორც საფეხბურთო კლუბ „ოლიმპის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს. სხვათა შორის, „ოლიმპის" სამი წლის წინანდელი ტრიუმფიდან კლუბში დღესდღეობით ერთეულებიღა თუ მუშაობენ: გუნდის დირექტორი **ბადრი ქარქაშაძე**, მეკარეების მ-წვრთნელი **გიორგი ბაბუაძე**, პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძე** და ადმინისტრატორი **გია ლაბაური** ორგზის ჩემპიონები არიან.

ისე, ალბათ, აშკარად სუბორდინაციის „დარღვევა" გამოგვივიდა, მაგრამ, იმედია, საწყენად არავინ მიიღებს: „ოლიმპის" საპატიო პრეზიდენტი, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული **დავით კირკიტაძეც** არ უნდა გამოგვრჩეს, ვისაც არანაკლები წვლილი მიუძღვის რუსთავული გუნდის ტრიუმფში. სხვათა შორის, კირკიტაძისთვის „ოლიმპი" მეორე საჩემპიონო გუნდია: 2006 წელს, ბოლნისის „სიონი" პირველად რომ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ამ ქვემოქართლური გუნდის საპატიო პრეზიდენტი გახლდათ. დაბოლოს, ყველაზე მთავარ ტიტულარზეც: 32-წლიანი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში **თემურ მახარაძემ** პირველად მიიყვანა გუნდი საქართველოს ჩემპიონობამდე. ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ თემურ მახარაძემ ეს ტიტული ალალად დაიმსახურა; დაიმსახურა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი პროფესიის მიმართ ფანატიკური სიყვარულით და, საერთოდ, თავისი სამწვრთნელო კარიერით, - მხოლოდ საქართველოს ჩემპიონობაღა რომ აკლდა. ჰო, ადრე ხომ ამ მწვრთნელს, უმეტეს შემთხვევაში, გადასარჩენად ეძახდნენ ამა თუ იმ გუნდში: ზოგი - გავარდნისგან უნდა გადაერჩინა, ზოგი - უმაღლესში უნდა გადმოეყვანა, ზოგი - ევროტურნირებზე უნდა გაეყვანა და ასე შემდეგ.

ორი წლის წინ თემურ მახარაძემ „ზესტაფონს" საქართველოს თასი მოაპოვებინა, ახლა კი, „ოლიმპთან" ერთად საქართველოს ჩემპიონატში გაიმარჯვა; რაღა რჩება? რა და - ევროტურნირებზე წარმატებით ასპარეზობა, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, ქართული საკლუბო ფეხბურთის რეალობიდან გამომდინარე ვგულისხმობთ, თორემ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას, იმედია, არც არავინ მოითხოვს...

## ძველ-ახალი პარალელები

„ოლიმპისა" და „დინამოს" საჩემპიონო მატჩის პირდაპირ რეპორტაჟი საქართველოს ტელევიზიის პირველი არხითაც გადაიცა და „ლელომაც" ვრცლად და ოპერატიულად გააშუქა. აქედან გამომდინარე, ამ საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრის პერიპეტიებზე აღარ ვისაუბრებთ; უბრალოდ, მხოლოდ ერთი-ორ საინტერესო ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას, მით უფრო, რომ მსგავსი ტენდენცია მთელ ტურს „ახასიათებდა"! ჰო, მართლაც, „უცნაური" ტური გამოვიდა: ხუთი შეხვედრიდან, სულ მცირე, ორი მართლაც მოულოდნელი შედეგით რომ დასრულდა. თავად განსაჯეთ: დავიჯეროთ, ბევრი ფიქრობდა „ვიტ ჯორჯიასგან" ზესტაფონიდან სამი ქულის წამოღებას? ან, იქნებ, „ლოკომოტივი"-"გაგრას" შედეგი იყო მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადი? ვაღიაროთ: ორივე შემთხვევაში არცთუ დიდი „მასშტაბის", მაგრამ მაინც სენსაცია დაფიქსირდა!

მეორე მხრივ, ვინმე, შესაძლოა, შემოგვედაოს კიდეც: სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილებზე მყოფმა გუნდმა თავისზე ერთი საფეხურით მაღლა მყოფს რომ მოუგო, ეგ რა სენსაცია არისო; მაგრამ, გულახდილები ვიყოთ და ვთქვათ, რომ „ვიტ ჯორჯიას" ამჟამინდელი საფიქრალი ხომ მხოლოდ თასის ფინალისთვის მაქსიმალური მზადყოფნაა. ამას გარდა, „ზესტაფონს" წინ ტურის მატჩიც წაგებული ჰქონდა და ზედიზედ მეორე მარცხს, ცოტა არ იყოს, ძნელად წარმოვიდგენდით. სხვათა შორის, „დინამოსთან" მატჩისგან განსხვავებით, **გია გეგუჩაძემ** თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოახდინა; თუმცა მასპინძლებს ვერც ამან უშველა და ახლა მეორე ადგილზე მყოფ „დინამოს" უკვე ოთხი ქულით ჩამორჩებიან. სამაგიეროდ, ზედიზედ სამი მოუგებელი მატჩის შემდეგ **გელა გომელაურის** გუნდმა საპრიზო სამეულში შესვლის შანსი შეინარჩუნა; თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ვეტერინართა" მთავარი საზრუნავ-საფიქრალი, მაინც მოახლოებული თასის ფინალი იქნება...

...სატურნირო ცხრილის სათავეში ყველაფერი თუ საბოლოოდ გაირკვა, აი, საპირისპირო მხარეს მცირე ინტრიგა კიდევ დარჩა. არადა, „ეს" ინტრიგა აშკარად სხვა „მასშტაბის" იქნებოდა, უმაღლეს ლიგაში გადარჩენისათვის მებრძოლ „ლოკომოტივს" უკვე გავარდნილი „გაგრასთვის" რომ მოეგო. თუმცა, „ლოკომოტივი" მხოლოდ სატურნირო მოტივაციიდან გამომდინარე უნდა მიგვეჩნია წყვილის ფავორიტად - ბოლოს და ბოლოს, „გაგრას" ახალი თავკაცი, უკრაინელი **ანატოლი პისკოვეციც** ხომ პირველი აქაური გამარჯვების მოლოდინშია.

საბოლოოდ, დაძაბული პაექრობა ფრედ დასრულდა და ამ შედეგით **გელა სანაიას** მართლაც საინტერესო გუნდმა სატურნირო მდგომარეობა ბევრად გაირთულა. ახლა კი, ზემოხსენებულ მართლაც უცნაურ „ტენდენციაზე": ამ შეხვედრაში გოლები **შალვა კვანტალიანმა** („გაგრა") და **ზვიად მეტრეველმა** („ლოკომოტივი") გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ორივე ფორვარდმა გოლები... ყოფილი გუნდის კარში გაიტანა! თუმცა, მსგავსი რამ მოხდა თითქმის ყველა დანარჩენ მატჩშიც; „ოლიმპი"-"დინამოს" შეხვედრაში, მასპინძელთაგან იმ „ოქროს გოლის" ავტორმა **გია კვარაცხელიამ** თავისი საფეხბურთო კარიერა ხომ სწორედ „დინამოში" დაიწყო; ხოლო, „ოლიმპის" კარში გოლის ავტორი **თენგიზ ჩიკვილაძე** ჯერ კიდევ წინა სეზონში სწორედ... რუსთავის გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო! თან, არ დაგავიწყდეთ, რომ ჩიკვილაძე... ამპლუით მცველია!

ასევე ყოფილი თანაგუნდელების კარში გაიტანა გოლი „სამტრედიას" მარცხენაფლანგელმა **ნიკოლოზ ჩალაძემ**, ვინც პირველ ეტაპზე... „სპარტაკში" ასპარეზობდა. საერთოდაც, „სამტრედიას" ეს გამარჯვება, ფაქტობრივად, სეზონის უმთავრესი ამოცანის შესრულებას ნიშნავდა: ამ სამი ქულით მასპინძლებმა, ფაქტობრივად გაინაღდეს უმაღლეს ლიგაში დარჩენა. ამ საქმეში კი, რაღა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი **ზაურ ხაჭიპერაძემ** შეიტანა: „სამტრედიას" საუკეთესო ბომბარდირმა „სპარტაკთან" შეხვედრაში ამ სეზონში მეათე გოლი გაიტანა. დაბოლოს, XXXIII ტურის კიდევ ერთ გამორჩეულ მოვლენაზეც: 13-წლიანი (!) პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში გოლი გაიტანა **გიორგი დემეტრაძემ**!..

**გია ტუხაშვილი**

### XXXIII ტურის სიმბოლური ნაკრები






ოლიმპი-დინამო 1:1. რუსთაველებმა ჩემპიონობა მეორედ იზეიმეს — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო: www.sport.gov.ge.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-კამერუნი | ამხანაგური მატჩი

# დევდარიანი და მარცვალაძე, სირაძეც?

## ქეცბაიამ მოსკოვში ქართველები ნახა

ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** ავსტრიული შეკრებისა და კამერუნთან ამხანაგური მატჩისთვის 22 ფეხბურთელი რომ დაასახელა, ამაზე უკვე ვწერდით. გუშინ კი გაირკვა, რომ ამ სიას 2 ფეხბურთელი გამოაკლდა. ეს ამბავი ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ნიკა ჩხეიძემაც** დაგვიდასტურა.

როგორც გავიგეთ, დანიური „ორჰუსის" შემტევ ნახევარმცველ **დავით დევდარიანს** ტრავმა აქვს და ამ ეტაპზე ნაკრებში თამაშს ვერ შეძლებს. ცნობისთვის, დევდარიანმა „ორჰუსის" (დანიური სუპერლიგის დასრულებამდე 3 ტურით ადრე გასავარდნ ზონაში, ბოლოსწინა ადგილზეა) რიგებში ბოლოს 4 აპრილს, „რანდერსთან" ითამაშა. ჩვენებური სასტარტო შემადგენლობაში იყო, მაგრამ მე-16 წუთზე დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. თვეზე მეტია, რაც დევდარიანი მკურნალობს, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოჯანმრთელებულა.

მეორე დანაკლისი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძეა**. ოთარი მწყობრში კია, მაგრამ მას ისევ სავიზო პრობლემა უშლის ხელს. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური მიზეზის გამო მარცვალაძე შარშანაც არაერთხელ გამოაკლდა ნაკრებს. მერე კი მოაგვარა პრობლემა, მაგრამ წელს უკვე სხვა გუნდში ასპარეზობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი კლუბის მესვეურებმა (სწორედ მათი ვალდებულებაა, ლეგიონერებისთვის სავიზო პრობლემის მოხსნა - ავტ) ძველი პრობლემა არ მოუგვარეს.

კვლავაც გაურკვეველია ნაკრების კაპიტნის საკითხი. მოგეხსენებათ, იტალიურმა კლუბმა **კახა კალაძის** ნაკრებისთვის დათმობა იუარა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია „მილანთან" მოლაპარაკებას განაგრძობს, მაგრამ ჯერჯერობით ახალი არაფერია. „როსონერის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით - „ოდო, კალაძე და ბონერა უკვე რამდენიმე დღეა ინდივიდუალურად ვარჯიშობენ". ეტყობა, კალაძე დაშავებული იყო და ორ თანაკლუბელთან ერთად სარეაბილიტაციო კურსს გადის.

გუშინ რუსეთის პრემიერლიგის მორიგ ტურში, 56-ე წუთზე, ნალჩიკის „სპარტაკის" თავდამსხმელი **დავით სირაძე** სანქტ-პეტერბურგის „ზენიტთან" გასვლით შეხვედრაში დაშავდა (მხარზე უხერხულად დაეცა) და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. შესაბამისად, ნაკრებში სირაძის თამაშის საკითხი ეჭვქვეშ დადგა, მაგრამ დეტალური გამოკვლევა დღეს ჩატარდება და გადაწყდება, თუ რამდენ ხანს მოუწევს ფორვარდს იძულებითი დასვენება. აქვე შეგახსენებთ, რომ ესტონეთთან სადებიუტო მატჩში გამარჯვების გოლი სწორედ სირაძემ გაიტანა.

თემურ ქეცბაია გუშინ მოსკოვში იყო, ადგილობრივ „სპარტაკსა" და მახაჩყალის „ანჟის" შორის გამართულ შეხვედრას დაესწრო და ქართველი ლეგიონერების თამაში ნახა. გამოკლებული ფეხბურთელების ზუსტი რაოდენობა დღეს გახდება ცნობილი და მერელა გაირკვევა, დაემატება თუ არა სანაკრებო სიას ახალი მოთამაშე.

**დავით ცაბაძე**

ინფრასტრუქტურა




# მარტო სტადიონი კი არა, კომპლექსიც...

## გახსნაზე ვარსკვლავთცვენას ელიან

უკვე რამდენიმე თვეა, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები უკვე დასკვნით ფაზაშია. არენა ოფიციალურად 26 მაისს საზეიმოდ გაიხსნება და მდიდარი ისტორიის მქონე „ტორპედო" უმაღლეს ლიგას განახლებული სარბიელით დაუბრუნდება. გახსნის ცერემონიის ნაწილი ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი იქნება. განახლებულ არენაზე მისული გულშემატკივარი ქართული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდებს - **ალექსანდრე ჩივაძეს, ოთარ გაბელიას, ვლადიმერ გუცაევს, ნოდარ ხიზანიშვილს, შოთა ხინჩაგაშვილს, ზაურ სვანაძეს, რამაზ შენგელიას, თამაზ კოსტავას, თენგიზ სულაქველიძეს, მერაბ მეგრელაძეს, იური და ალექსანდრე კვერნაძეებს, ნოდარ ჭელიძეს, დავით ჯანაშიას, ზურაბ იონანიძესა** და სხვა ვარსკვლავებს იხილავს. ქუთაისში ელოდებიან ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას**, გენერალურ მდივან **რევაზ არველაძეს** და პროფლიგის პრეზიდენტ **გია ფირცხალავასაც**. ვეტერან ფეხბურთელთა ამ მატჩზე, რომელიც 20 საათზე დაიწყება, დასწრება თავისუფალია.

ახლა რაც შეეხება იმას, თუ როგორი იქნება განახლებული სტადიონი. სარემონტო სამუშაოებს სამშენებლო კომპანია „დაგი" აწარმოებს. ახლა მიმდინარეობს პლასტმასის ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება. ტრიბუნებზე 4 ფერის (წითელი, თეთრი, ლურჯი და მწვანე) ინდივიდუალური სკამები დაიდგმება. თეთრ-წითელი სავარძლები ისე დამონტაჟდა, კომპოზიციით ეროვნული დროშა შეიქმნა (ისევე, როგორც ეროვნულ სტადიონზე - ავტ). გარდა ამისა, ლურჯ-თეთრი და თეთრ-მწვანე სკამების კომპოზიციით ლურჯ და მწვანე ფონზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე იქმნება თეთრი წარწერა - „ტორპედო ქუთაისი".

ალსანიშნავია ისიც, რომ სტადიონის ადმინისტრაციულ შენობაში, რომელიც რეკონსტრუქციისას საგრძნობლად ამაღლდა, განთავსებული იქნება პრესლოჟა, კაფე, საპრესკონფერენციო დარბაზი, ინტერნეტკაფე და საკომენტატორო ჯიხურები. არენაზე ახალი, თანამედროვე ტაბლო და განათების ახალი სისტემაც დამონტაჟდება. თითქმის დასრულებულია გასახდელების, საშხაპეების, მსაჯთა და დელეგატის ოთახისა და სხვა ობიექტების კეთილმოწყობა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის ცენტრალური არენა მხოლოდ ერთი სპორტული ობიექტი კი არა, ერთგვარი სპორტული კომპლექსი იქნება. სტადიონის ტერიტორიაზე უკვე გაიხსნა 6 საჩოგბურთო კორტი, რომელზეც იტალიური საფარია დაგებული. სტადიონის რეკონსტრუქციასთან ერთად, პარალელურად მიმდინარეობს და დასრულების სტადიაშია საცურაო აუზისა და ტანვარჯიშის სპორტული სკოლის კეთილმოწყობა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

# შოთა არველაძე: ქაისერისთვის ერთი-ორი ქართველიც მყავს მონახაზში...

**გასულ უქმეებზე დაიწერა, რომ შოთა არველაძე თურქულ „ქაისერისფორს" მომდევნო კვირაში ჩაიბარებდა. მაშინ მას ვერ დავუკავშირდით, მისმა ტყუპისცალმა კი გვითხრა, რომ შოთას ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია და რომ მოლაპარაკება მიდის არა სამ, არამედ 2-წლიან კონტრაქტზე...**

**ჯერჯერობით „ალკმაარის" მწვრთნელს ჰოლანდიაში მოგვიანებით შევეხმიანეთ და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გავესაუბრეთ...**



**- საუბარი ჰოლანდიის ჩემპიონატის შეჯამებით დავიწყოთ. ერედივიზიონის მარათონი დასრულებულია. შარშანდელმა ჩემპიონმა „ალკმაარმა" ტიტული ვერ შეინარჩუნა და მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა. როგორ შეაფასებდით სეზონს?**

- ალბათ, შეიძლებოდა უკეთესი შედეგიც გვქონოდა, მაგრამ ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა. არ დაგავიწყდეთ, რომ ერედივიზიონის პარალელურად, ჩემპიონთა ლიგაშიც ვთამაშობდით. ორ ფრონტზე ბრძოლა კი იოლი არ არის. ამას ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლეც დაემატა... ერთი სიტყვით, სეზონი მძიმედ დავიწყეთ, ბოლოს 18-მატჩიანი წაუგებელი სერია გვქონდა, თითო-ოროლა ფრის გარდა, ყველა მოვიგეთ და მდგომარეობა გავიუმჯობესეთ, მაგრამ ცხრილში ჩვენ წინ მყოფმა გუნდებმაც კარგად ითამაშეს და მეხუთე ადგილზე მაღლა ველარ ავედით.

**- ამბობენ, ტიტულის მოპოვებაზე უფრო ძნელი მისი შენარჩუნებააო. მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში კლუბის ბიუჯეტიც ბევრს წყვეტს. ამ მხრივ როგორ იყო საქმე?**

- სხვათა შორის, ამ სეზონში წინაზე დიდი ბიუჯეტი გვქონდა. უეფადანაც მივილეთ თანხები ევროტურნირებზე ასპარეზობისთვის... ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, ფსიქოლოგიური ფაქტორიც არანაკლები მნიშვნელობისაა. ოქროს მედლების მოპოვების შემდეგ ზოგმა ფეხბურთელმა ალბათ საქმე მოთავებულად ჩათვალა და ძველებურად კონცენტრირება ველარ შეძლო. ორ ფრონტზე ბრძოლამ დიდი ენერგია წაილო.

**- ჰოლანდიის ჩემპიონატი 2 მაისს დასრულდა, თქვენი კონტრაქტის ვადა როდის იწურება?**

- ერთი წლის შემდეგ, ზაფხულში. სხვათა შორის, ზოგ უცხოურ წყაროში არასწორად წერენ, თითქოს „ალკმაართან" კონტრაქტი უკვე დამიმთავრდა.

**- დიკ ადვოკაატმა „ალკმაარი" უკვე დატოვა და როგორც ითქვა, მას გერტ იან ვერბეეკი შეცვლის. ახალი მწვრთნელი თუ გაიცანით?**

- კი, ვერბეეკმა უკვე გააფორმა კონტრაქტი „ალკმაართან" და რამდენიმე კვირაში ოფიციალურად შეუდგება მუშაობას. ის კარგი მწვრთნელია, „ჰეერენვეენსა" და „ფეიენოორდში" მუშაობდა, ბოლოს კი „ჰერაკლესს" წვრთნიდა და ეს გუნდი საპატიო მეექვსე ადგილზეც გაიყვანა... მოკლედ, ეტყობა, რომ თავისი საქმე იცის და წარმატებებს ვუსურვებ.

**- ეგ გასაგებია, მაგრამ უცხოურ პრესას თუ დავუჯერებთ, ალბათ მასთან მუშაობა არ მოგიწევთ. მაგალითად, ჰოლანდიური წყაროების ცნობით, „ქაისერისფორთან" 3-წლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმეთ...**

- არა, დასამალი რა მაქვს, ხელშეკრულება ჯერ არ გამიფორმებია. თუმცა ის კი ფაქტია, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. „ქაისერისფორის" ამჟამინდელი მწვრთნელი თოლუნაი ქაფქაზი ჩემი ახლო მეგობარია. ახალგაზრდა მწვრთნელებს შორის თურქეთში მას ერთ-ერთ გამორჩეულ სპეციალისტად მიიცნევენ, მაგრამ... პოსტს ტოვებს. სხვათა შორის, „ქაისერისფორის" ხელმძღვანელობას სწორედ მან ურჩია ჩემი კანდიდატურა და კლუბის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი სულეიმან ჰურმა დამიკავშირდა კიდეც... გარკვეულ პირობებზე სიტყვიერად უკვე შევთანხმდით, ახლა მთავარია, ეს შეთანხმება უცვლელად გადავიდეს ქაღალდზე. ერთი სიტყვით, საკითხი დასკვნით სტადიაშია და როგორც ჩანს, წერტილიც მალე დაესმება...

**- მართლა 3-წლიან კონტრაქტზე მიდის მოლაპარაკება?**

- არა, 3-წლიანზე არა, 2-წლიან კონტრაქტზეა ლაპარაკი... ჩვენი სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით, სასტარტო სეზონის შემდეგ უფლებას ვიტოვებ, კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად კიდევ ერთხელ გადავხედოთ კონტრაქტის დეტალებს.

**- ისიც ითქვა, თითქოს თურქეთში თანაშემწედ ჰოლანდიელი მარტინ ჰაარის წაყვანა გაქვთ გადაწყვეტილი. მართალია ეს? ან ასეთი კითხვაც - „ქაისერისფორში" ქართველი თანაშემწეც ხომ არ გეყოლებათ?**

- მე და ჰაარი ერთად ვმუშაობდით და უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. თურქეთში ერთად მუშაობაზე უკვე ვესაუბრე მას, მაგრამ „ალკმაარს" მარტინი არ ეთმობა, მისი დატოვება უნდა და ვნახოთ... ყველაფერი თავად ჰაარის გადასაწყვეტია... რაც შეეხება ქართველ თანაშემწეს... სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია.

**- ალბათ, „ქაისერისფორის" მიერ ჩატარებული მატჩების ჩანაწერებიც ნახეთ და გარკვეული წარმოდგენა უკვე გაქვთ მომავალ გუნდზე. იმ დონის გუნდია, რასაც ელოდით, თუ უკეთესი ან უარესი?**

- თურქეთის ჩემპიონატი დიდი ქვეყნების ლიგების დონის არ არის, მაგრამ მეორე ეშელონის პირველობებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. ასეთ ლიგაში კი ცუდი გუნდი მე-8 ადგილზე ვერ იქნება, მით უმეტეს, მეხუთეზე მყოფ „ტრაბზონსფორს" მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება. „ქაისერისფორი" უძველესი გუნდი არ არის, 1966 წელსაა დაარსებული, ქვეყნის თასი და სუპერთასი აქვს მოგებული. როგორც გავიგე, გუნდმა ეს სეზონიც კარგად დაიწყო, მაგრამ ტრავმის გამო 6-7 ფეხბურთელი გამოაკლდა და ეს შედეგებშიც აისახა.

**- ყველა ახალი მწვრთნელი თავის თარგზე ცდილობს გუნდის „მოჭრას". ალბათ, ამაზეც გიფიქრიათ...**

- როგორც გავიგე, „ქაისერისფორს" რამდენიმე ფეხბურთელი ტოვებს. შესაბამისად, თუ კონტრაქტს გავაფორმებ, გაძლიერებაზეც უნდა ვიზრუნო. ამაზე მართლა ვიფიქრე და გარკვეული მონახაზიც მაქვს, მაგრამ ჯერ ადრეა ლაპარაკი.

**- მონახაზში ქართველებიც ხომ არ გყავთ?**

- ერთი-ორ ქართველ ფეხბურთელზე კი ვფიქრობ, მაგრამ ჯერ არაფერია გარკვეული, ვნახოთ... გავაფორმო კონტრაქტი და ჩანაფიქრის განხორციელებაზე მერე ვილაპარაკოთ.

**- 9 მაისს, თურქული სუპერლიგის ბოლოსწინა ტურში „ქაისერისფორი" „ისთანბულსფორს" უმასპინძლებს. უცხოური წყაროების ცნობით, ამ მატჩს დაესწრებით და მომდევნო დღეს, შესაძლოა, კონტრაქტიც გააფორმოთ...**

- სიმართლე გითხრათ, ამ თამაშზე დასწრებას ნამდვილად ვგეგმავ, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა... ვნახოთ...

**- დიკ ადვოკაატმა რუსეთის ნაკრებში თქვენი მუშაობა გამორიცხა. თუმცა იქვე აღნიშნა, შოთას უკვე დამოუკიდებლადაც შეუძლია, სერიოზულ გუნდს უხელმძღვანელოს და წინადადებაც აქვსო. მართლა გქონდათ სხვა შეთავაზებები? გუუს ჰიდინკის თანაშემწეობაზე სერიოზულად იყო ლაპარაკი?**

- ადვოკაატის ეს ნათქვამი წავიკითხე და მისი მადლობელი ვარ. ის გამოცდილი მწვრთნელია და მასთან მუშაობით კიდევ უფრო გავიმდიდრე ჩემი ცოდნა-გამოცდილება. თურქეთის ნაკრებში ჰიდინკის თანაშემწეობას რაც შეეხება, ეს ინფორმაცია მეც გავიგე, მაგრამ, მართალი გითხრათ, რეალურ წინადადებამდე საქმე არ მისულა. არც იმას დავმალავ, რომ სხვა წინადადებებიც მქონდა, და თანაც - რეალური. მაგრამ ამ საკითხზე ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით, არ მინდა დაკონკრეტება.

**- რამდენადაც ვიცი, მალე კიევში ჩახვალთ და სამწვრთნელო კურსებს გაივლით PRO-კატეგორიის ლიცენზიის მისაღებად...**

- მართალი ხართ, კიევში 23 მაისს ჩავფრინდები და სემინარებს დავესწრები, სრულ კურსს გავივლი და PRO-კატეგორიის ლიცენზიასაც ავიღებ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# ქეცბაიას რევიშვილი დაუმალეს

წუხელ მოსკოვის „სპარტაკმა" შინ „ანჟი" 3:0 გაანადგურა. მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა **ჯანო ანანიძე**, რომელსაც ვირუსი შეეყარა და ტემპერატურამ აუწია. სტუმართა შორის ქართველთაგან სასტარტოში მხოლოდ **დავით კვირკველიამ** (შეფასება - 5) ითამაშა, შეცვლაზე შემოვიდნენ **გოჩა ხოჯავა** (მე-60 წუთი) და **გიორგი ილურიძე** (75-ე წუთი). **ნუკრი რევიშვილი** სათადარიგო იყო, ხოლო **ზურაბ არზიანი** ტრავმირებული გახლავთ. 18 წლის **გიორგი ილურიძეს** კი რუსულ პრემიერლიგაში დებიუტი ჰქონდა. ამ თამაშს საქართველოს ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** დაესწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონი

## გია კვარაცხელია
# ეს დაუვიწყარი ემოციაა

**გია კვარაცხელიამ თბილისის „დინამოსთან“ მნიშვნელოვანი ბურთი გაიტანა - რუსთავის „ოლიმპში“ მეორე წრიდან მისულმა ნახევარმცველმა მასპინძელთა ერთადერთი გოლით (რასაც სტუმრებმაც ერთით უპასუხეს) რუსთაველებმა ის ქულა მოიპოვეს, რომლითაც ჩემპიონობა სამი ტურით ადრე დაიბევეს.**

**კვარაცხელია კიდევ ორჯერ იყო ახლოს მიზანთან. მეორე ტაიმში, ერთი წუთის განმავლობაში, ასევე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი გაუშვა კარისკენ, მაგრამ „დინამო“ ჯერ ლორიამ იხსნა, ხოლო შემდეგ ალეკო კოშკაძემ...**



- ჩემპიონი პირველად არ გავმხდარვარ, ლიტვის ოქროს მედალიც ავიღე, მაგრამ თბილისის „დინამოსთან“ მატჩმა განსაკუთრებული ემოცია მომანიჭა. ჩემპიონობა ძალიან დიდი სიხარულია. „დინამო“ ძლიერი გუნდია და მასთან შეხვედრაში ჩემპიონობის მოპოვება განსაკუთრებით სასიხარულოა. მსიამოვნებდა, ისეთი თამაში გამოვიდა, ორივე გუნდმა ძალიან კარგად, სწრაფ ტემპში ითამაშა და ვფიქრობ, მაყურებელმა ისიამოვნა.

**- თქვენზე არანაკლები გუნდებია „დინამო“, „ზესტაფონი“ და „ვიტ ჯორჯია“. საჩემპიონო ბრძოლაზე გავლენას ნიუანსებიც კი ახდენს. „ოლიმპის“ ჩემპიონობა რამ განაპირობა?**

- ძლიერმა შემადგენლობამ, ძლიერმა მწვრთნელმა და ხელმძღვანელობის სერიოზულმა მიდგომამ. თავის საქმეს ყველა ხუთიანზე ასრულებდა. გუნდი დაბალანსებული იყო და სტაბილურ თამაშს ვაჩვენებდით.

**- გითამაშიათ „კაუნასში“, რომელიც ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრასთან იყო ახლოს. თქვენი აზრით, „ოლიმპი“ უფრო ძლიერი გუნდია თუ ლიტვის ჩემპიონი?**

- „ოლიმპი“ სუსტი ნამდვილად არ არის, ოღონდ, ლიტველებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული, სტაბილური შემადგენლობა ჰყავდათ. შედარება მაინც რთულია, რადგან ეს გუნდები სხვადასხვა ფეხბურთს თამაშობენ. საერთო მხოლოდ ის არის, რომ ორივე ძალისმიერი გუნდია, ორივე შედეგზეა ორიენტირებული - ფეხბურთში კი მთავარი შედეგია.

**- ჩემპიონობა კარგია, მაგრამ ვიყოთ რეალისტები - „ოლიმპს“ ამ გუნდით ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩარჩენის დიდი შანსი აქვს.**

- ჩვენ მხოლოდ ორიოდე პოზიციაზე გვჭირდება გაძლიერება და ლიგაში ბევრად უფრო თამამად გამოსვლაც შესაძლებელი იქნება.

**- სეზონის დასრულების შემდეგ „ოლიმპში“ რჩებით თუ კვლავ უცხოეთს მიაშურებთ?**

- ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშებ. შემდეგ რა მოხდება, ვერაფერს გეტყვით.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## გიორგი ლორია
# ყველამ გამანადგურა და ხაზი გადამისვა...
### დინამოს კარის მცველი: ნაკრებში გამოძახებისას ვიხუმრე, ნეტავ, სად მნახეს-მეთქი?!

**მეკარისთვის ნდობა ძალიან ბევრს რომ ნიშნავს, ამის მაგალითი რინატ დასაევია - იყო პერიოდი, როცა მოსკოვის „სპარტაკის“ გოლკიპერი ბავშვურ შეცდომებს უშვებდა და ყველა დასცინოდა. თუმცა კონსტანტინ ბესკოვი ენდო და უკეთეს შედეგს ვერც ინატრებ - 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების კარის მცველი ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე გახლდათ.**

**ჩვენს დღევანდელ რესპონდენტს დასაევთან სწორედ ის აერთიანებს, რაზეც ზემო ვთქვით - ნდობა მწვრთნელის მხრიდან. თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას ლორიასი მაშინაც სჯეროდა, როცა მას ფსიქოლოგიურად ძალიან უჭირდა. კარიერის დასაწყისში, ასაკობრივი და გამოუცდელობიდან მომდინარე შეცდომების მიუხედავად, გიორგის ჯიუტად ენდობოდნენ და ეს დამოკიდებულება უდავოდ მოსაწონია. შედეგად კი მივიღეთ უკვე საკმაოდ თავდაჯერებული და მზარდი მეკარე - ორმეტრიანი გიგანტი, რომელიც უკვე სტაბილური და საკმაოდ სანდო კარის დარაჯია.**

**გიორგი საკმაოდ თვითკრიტიკულია და იუმორთანაც არ არის მწყრალად...**

**- იშვიათია მეკარე, რომელსაც გუნდში ისე ენდობიან, როგორც თქვენ თბილისის „დინამოში“. შედეგად, თავდაჯერებულიც გახდით. არადა, რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრაში გაშვებული გოლიდან აშკარად ჩანდა, რომ საკუთარი თავის არ გჯეროდათ...**

- დიდიე ოვონოს წასვლის შემდეგ კახა კაჭარავას და გუნდის ხელმძღვანელობისგან ნდობას ვგრძნობდი. თუმცა ნდობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, თუ ყოველდღე და ყოველ ტურში არ დაამტკიცე, რომ თამაშს იმსახურებ. ნაკრებში დაშვებული შეცდომები ახსენეთ, რაც ჩემთვის ყველაზე მტკივნეული თემაა. შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ ძალიან გამოუცდელი ვიყავი. ეს თავის მართლება არ არის, მაგრამ უნდა ვთქვა, რაც ხდებოდა - ეროვნულ ნაკრებში გამოძახების დროს „დინამოს“ მეორე მეკარე ვიყავი და სათამაშო პრაქტიკა აშკარად მაკლდა, რაც ნაკრების დონის მეკარეს ჰაერივით სჭირდება. რა თქმა უნდა, გუნდის მეორე მეკარე ფსიქოლოგიურად ვერ მოვემზადებოდი და ნაკრებში ფრენას ვერ დავიწყებდი.

**- სულაც არ იყვნენ თქვენი მტრები ის ადამიანები, რომლებიც ამ მიზეზის გამო ნაკრებში თქვენს გამოძახებას ვერ იგებდნენ...**

- კი, მაგრამ ნაკრებში გამოძახებაზე უარის თქმა უარესი იქნებოდა და ვერ გამიგებდნენ. სხვათა შორის, ამის გამო ჩემს მწვრთნელ გელა ჭანტურიას ვეხუმრებოდი - ნეტავ, სად ნახეს ნაკრების მწვრთნელებმა ჩემი თამაში, სკამზე ლამაზად ვიჯექი-მეთქი? თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ გელას და დაგიდასტურებთ. ყველაზე კარგად მე ვიცოდი, რომ მაშინ ნაკრებისთვის მზად არ ვიყავი.

**- ეროვნულ ნაკრებში ცუდ დროსაც მოგიწიათ თამაშმა, გუნდი გუნდს არ ჰგავდა, დეზორგანიზებული იყო და დაცვა მეტოქის ესკორტს ჰგავდა...**

- სხვის შეცდომებზე ლაპარაკს საკუთარი ნაკლის აღმოჩენა მირჩევნია. საერთოდ, რთულია იტალიასა და პორტუგალიასთან თამაში და მით უფრო ჩემს მდგომარეობაში, როცა საკლუბო პრაქტიკაც არ მქონდა. „დინამოს“ კარში მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ვდგებოდი - ოვონო თუ დაშავდებოდა ან დისკვალიფიკაცია ჰქონდა. არ მინდა, ეს ყველაფერი თავის მართლებად მიიღოთ - პორტუგალიასთან პირველი გოლი არ უნდა გამეშვა და იტალიაში დე როსის დარტყმაც უნდა მომეგერიებინა.

**- ზედმეტად ნერვიულობდით?**

- ასეთებიც ხდება. ჩემს ადგილას დააყენეთ თავი, იტალიასა და პორტუგალიასთან რომ თამაშობ, არ ინერვიულებ?

**- ამ ყველაფერს ძალიან ცუდი რეაქცია მოჰყვა და დიდი იყო შანსი, ფსიქოლოგიური ტრავმაც მიგეღოთ...**

- ასეც იყო. 21 წლის ვიყავი და კრიტიკას ძალიან განვიცდიდი. ყველამ გამანადგურა და ხაზი გადამისვა, თითქოს, საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ლორია შეცდა. ჩემს ყველა მოქმედებაში შეცდომას ხედავდნენ, ნაბიჯის გადადგმაშიც კი - ქართული ფეხბურთის ლამის ყველა უბედურება მე დამაბრალეს. რა თქმა უნდა, ძალიან დავითრგუნე. მწვრთნელებს ველაპარაკე, კაჭარავა და ჭანტურია ძალიან დამეხმარნენ და ბიჭებიც გვერდში დამიდგნენ, დამამშვიდეს... იმ დროს, მათი ნდობა ჩემთვის ბევრს ნიშნავდა.

**- შეცდომა გასაგებია, მაგრამ მხოლოდ ჩვენს კარში გადიოდა კურიოზული გოლები. მოდი, ღრმად ჩავიხედოთ მომხდარში - გვითხარით, რა იყო თქვენი ზედმეტი ნერვიულობის მიზეზი? მხოლოდ გამოუცდელობა თუ ისიც, რომ ნაკრებში სიტუაცია არეული იყო?**

- მიზეზი ბევრი იყო, მაგრამ მთავარი მაინც სათამაშო პრაქტიკის არქონა და გამოუცდელობა გახლდათ. სხვათა შორის, რამდენიმე კარგი დარტყმა ავიღე პორტუგალიასა და იტალიასთან, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, დე როსიმ ძალიან ძლიერად და კარგად დაარტყა. ცხრა მაგარი ბურთი რომ აიღო და მერე ერთი შეცდომა დაუშვა, მაინცდამაინც ეს ერთი შეცდომა ამახსოვრდებათ.

**- ამის შემდეგ ნაკრებში აღარ გითამაშიათ. ეს პაუზა აშკარად წაგადგათ და რომ იტყვიან, სულიც მოითქვით...**

- მართლა ასე იყო. ცუდი პერიოდი ნელ-ნელა წარსულს ჩავაბარე. თუმცა საკუთარი თავით კმაყოფილი არ ვარ და სასწავლი ჯერ ძალიან ბევრი მაქვს. მით უფრო, რომ საფეხბურთო სკოლაში გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი, ცალკე მეკარის მწვრთნელი არც მყოლია. ძალიან ბევრი მასწავლა ნოდარ აკობიამ, „დინამოში“ მისვლის შემდეგ გია მაკასარაშვილი მეხმარებოდა, ძირითადში გადასვლის მერე კი ჭანტურია... მოკლედ, რაც ბავშვობაში ვერ ვისწავლე, ახლა ვინაზღაურებ.

**- თქვენი აზრით, მართალია, თითქოს ქართული ფეხბურთის დონიდან გამომდინარეა, ჩვენს მეკარეებს გამოსვლებზე თამაში რომ უჭირთ?**

- რა თქმა უნდა, საერთო დონე მეკარეთა კლასზეც ახდენს უარყოფით გავლენას. „დინამოში“ მისვლის დროსაც მაღალი ვიყავი და მაკასარაშვილმა თავიდანვე აქცენტი ჩემზე იმიტომ გააკეთა, რომ იმედოვნებდა, გამოსვლებზე თამაშს ვისწავლიდი. დამკვიდრებული აზრია, რომ ჩვენს მეკარეებს გამოსვლებზე უჭირთ. მე კი „დინამოში“ თამამი გამოსვლები მასწავლეს და ვცდილობ, ეს ელემენტი დავხვეწო. არადა, მეკარისთვის ეს დიდი პლუსია, როცა მეტოქის შეტევას ერთი გამოსვლით ჩაშლი. თუმცა უშეცდომო არავინაა, ბევრი ნაკლი მაქვს გამოსასწორებელი.

**- საქართველოს ჩემპიონატის მეკარეებიდან ვინ მოგწონს?**

- „ლოკომოტივის“ გოლკიპერი მაქსიმე ქვილითაია, ნიჭიერი ბიჭია და ძალიან გაიზარდა. როინ კვასხვაძე კი ძალიან პერსპექტიულია და ვფიქრობ, ყველაზე დიდი მომავალი მას აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ნალჩიკელი ქართველები ზენიტმა გააჩერა

გუშინ რუსეთის ჩემპიონატის მე-9 ტურის მატჩში ჩემპიონმა „რუბინმა“ „სიბირს“ უმასპინძლა და 1:0 მოუგო. ქართველი მცველი **ლაშა სალუქვაძე** ამ მატჩში დაუბრუნდა გუნდის სასტარტო შემადგენლობას. „რუბინი“ 17 ქულით მე-4 ადგილზეა. **ლევან გვაზავას** „ტერეკი“ სტუმრად „ტომთან“ 1:2 დამარცხდა. გვაზავა 73-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. „ტერეკი“ 11 ქულით მე-9 ადგილზეა.

ქართველთა „სპარტაკი“ სანკტ პეტერბურგს ესტუმრა და ლიდერობა უშუალო კონკურენტ „ზენიტთან“ მატჩში დაკარგა - 1:3. ნალჩიკელთა სამივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო. **დავით სირაძე** 58-ე წუთზე შეცვალეს (მხარი დაიზიანა), **გოგიტა გოგუამ** 71-ე წუთზე მსაჯთან კამათისთვის ყვითელი ბარათი მიიღო, მალე ის მწვრთნელმა შეცვალა, რათა წითელი ბარათი არ მიეღო. ხოლო **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა. ნალჩიკელებმა 65-ე წუთამდე გაუძლეს, სანამ **ბისტროვმა** არ გახსნა ანგარიში (ამისულაშვილის შეცდომით). სპარტაკი“ 18 ქულით მე-2 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პერსპექტივა

# ქართველი მეკარე პრაღის სლავიაში
### 10 წლის ნიკა ქუთათელაძე ბარსელონას აკადემიაში ჩარიცხეს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელის“ მეკარე დავით ლეგაშვილი, შესაძლოა, მალე ჩეხეთში წავიდეს. გასულ წელს თბილისში ესტონეთის 17-წლამდელთა ნაკრების სტუმრობას თუ გაიხსენებთ, შეუძლებელია, გონებაში არ ამოგიტივტივდეთ ლეგაშვილის სანაქებო თამაში - კარიდან ეფექტური გამოსვლები და ერთი-ერთზე აღებული ბურთები. მაშინ ბევრმა იფიქრა - როგორც იქნა, გამოჩნდა ნიჭიერი მეკარე...

ლეგაშვილის სიმაღლე 190 სმ-ია. ფლობს ძალზე კარგ რეაქციას, თამამად თამაშობს გამოსვლებზე... მოკლედ, ჩვენს იმედებს საფუძველი ნამდვილად აქვს და თუ არ იზარმაცებს, მაღალი დონის მეკარე გახდება.

ჩეხეთში გამართული ელიტრაუნდის დროს 16 წლის მეკარე ევროპული კლუბების სელექციონერებმა შენიშნეს და როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, მალე კარიერა უცხოეთში გააგრძელოს. ეს ინტერვიუც სწორედ მის პერსპექტივას ეხება...

**- მართალია, თითქოს კარიერას უცხოეთში გააგრძელებთ?**

- ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ წინადადებები მივიღე და მალე ვნახავ, რეალურია თუ არა.

**- რომელ კლუბში მიგიწვიეს?**

- პრაღის „სლავიაში“. მითხრეს, რომ სინჯები იქნება, თუმცა ეს მაინც ფორმალურია, შენი აყვანა გადაწყვეტილი აქვთო.

**- მხოლოდ ეს ერთი კლუბი გიწვევდათ?**

- გერმანიის 17-წლამდელებთან მთელმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა და იქაური სკაუტები დაინტერესდნენ. გარდა ამისა, მიწვევა ფრანგული „რენიდანაც“ მივიღე.

**- ფრანგულსა და გერმანულ პერსპექტივას ჩეხური ამჯობინე?**

- უბრალოდ, ყველაზე კონკრეტული და რეალური „სლავია“ აღმოჩნდა. კლუბს პროფესიული კონტრაქტის გაფორმება სურს და არა ისეთის, როგორსაც 16 წლის ბავშვებს სთავაზობენ. მენეჯერიც გამოაგზავნეს თბილისში და როცა ასეთი ინტერესი დავინახე, ცხადია, რეალურ ვარიანტად ჩავთვალე.

**- 16 წლის ბავშვთან პროფესიული კონტრაქტი იშვიათობაა.**

- ეს მეც ვიცი, მაგრამ ჩეხები მპირდებიან, რომ გამონაკლისს დაუშვებენ. კონტრაქტის გარდა, სხვა დეტალებიც მითხრეს. მაგალითად, ჩეხეთში ჩემი ოჯახის წევრის წაყვანის უფლებაც მაქვს.

**- 18-წლამდელი ფეხბურთელის აყვანის შემთხვევაში, კლუბი ვალდებულია, მისი ოჯახის წევრს მისცეს ვიზა და უზრუნველყოს სამსახურით. ეს გადაწყვეტილება უეფამ ევროკავშირის მოთხოვნით მიიღო...**

- ეს არ ვიცი, მაგრამ ჩეხეთში დედაჩემიც წამოვა და ისიც გვითხრეს, რომ სამსახურსაც მისცემენ.

**- რამდენწლიანი კონტრაქტი შემოგთავაზათ „სლავიამ“?**

- ამაზე ჯერ არ გვილაპარაკია. გუნდი სეზონისთვის მზადებას 10 ივლისს დაიწყებს და ამ დროისთვის პრაღაში უნდა ჩავიდე. ტრადიციული და საკმაოდ სახელიანი კლუბია, ვიცი, რომ მეკარეების ძლიერი სკოლა აქვთ და ამ კლუბში გადასვლა ჩემი მომავლისთვის სასარგებლო იქნება.

ჩეხეთთან დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია - ერთი წლის განმავლობაში „სპარტას“ საფეხბურთო სკოლაში 10 წლის **ნიკა ქუთათელაძე** ვარჯიშობდა, საკმაოდ ნიჭიერი ბავშვი, რომელზეც უკვე ვწერდით. მასზე დასაკვირვებლად პრაღაში საგანგებოდ ჩავიდა „ბარსელონას“ საფეხბურთო აკადემიის სკაუტი. რამდენიმე ვარჯიშისა და თამაშზე დაკვირვების შემდეგ, სკაუტს ქუთათელაძე ძალიან მოეწონა. 10 წლის ფეხბურთელი კატალონიაში „ბარსას“ პრეზიდენტ **ჟოან ლაპორტას** მიწვევით გაემგზავრა. ის იქ ორი დღის წინ ჩავიდა და უკვე „ბარსელონას“ საფეხბურთო აკადემიაშიც ჩაირიცხა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# ვასილ ლუქაშვილი ლეგიონერთა ნაკრებში

11 მაისს მოლდოვაში საჩვენებელი მატჩი გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს ადგილობრივ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე მოლდოველი ფეხბურთელებისა და იქაურ კლუბებში მოთამაშე ლეგიონერებისგან დაკომპლექტებული გუნდები შეხვდებიან. ლეგიონერთა გუნდის მწვრთნელად დანიშნულმა ბელარუსმა **ანდრეი სოსნიჩკიმ** ამ შეხვედრისთვის კიშინიოვის „დაჩიას" ქართველ ფორვარდ **ვასილ ლუქაშვილს** უხმო.

შეგახსენებთ, 25 წლის ლუქაშვილმა „დაჩიას" რამდენიმე თვის წინ მიაშურა ლატვიური „დინაბურგიდან" და ახალ გუნდს კარგადაც შეეწყო. მოლდოვის ჩემპიონატში „დაჩია" დღეისათვის მე-5 ადგილზეა. ამას გარდა, ლუქაშვილის გუნდი ქვეყნის თასის ფინალშიცაა გასული, სადაც 30 მაისს მოლდოვის ყველაზე ტიტულოვან კლუბს, ტირასპოლის „შერიფს" დაუპირისპირდება.

სხვათა შორის, ლეგიონერთა ნაკრებში არ გამოუძახებიათ „შერიფის" ქართველი კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი**. „დაჩიას" კი შეგახსენებთ, მომავალი სეზონიდან **ლევან კორღალიძე** დაუბრუნდება. იგი კიშინიოვური კლუბის ღირსებას ადრეც იცავდა, გასული სეზონი კი „ზესტაფონის" შემადგენლობაში გაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩვენებური

# გოგია ნაკრებში მკვიდრდება



აკაკი გოგია

გამართლდა „ვოლფსბურგის" 18 წლის ქართველი ნახევარმცველის, **აკაკი გოგიას** იმედები და იგი გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს. იქ გერმანიის მოქალაქეობის მქონე გოგიამ უკვე რამდენიმე მატჩი ჩაატარა და უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში. გერმანელმა 18-წლამდელებმა ხორვატი თანატოლები ამხანაგურ მატჩში 3:0 გაანადგურეს და ამ შეხვედრაში გოგიამ მოედანზე 80 წუთი დაყო.

შეგახსენებთ, ახალგაზრდულ ნაკრებებში უკვე ნათამაშებ ფეხბურთელს აქვს იმის უფლება, რომ მომავალში სხვა ქვეყნის ეროვნული ნაკრების ღირსება დაიცვას. აქედან გამომდინარე, პერსპექტივაში გოგიას საქართველოს ეროვნულ გუნდში თამაში გამორიცხული მაინც არაა. ბუნებრივია, ეს იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მას გერმანიის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსი არ ექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მოსალოდნელი დანიშვნა

# თეთრაძეს ვოლგა ეპატიჟება...

რუსული პრესის ცნობით, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში რუსეთის პირველი დივიზიონის ბინადარი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა" **ომარ თეთრაძემ** ჩაიბაროს. როგორც ამბობენ, თუ „ვოლგა" ჩემპიონატის შემდეგ ტურში ვერ გაიმარჯვებს, კლუბის ხელმძღვანელობა ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელ **ალექსანდრ პობეგალოვს** გაათავისუფლებს და თეთრაძეს აუცილებლად შეეხმიანება.

„ვოლგა", რომლის ღირსებასაც **ედიკ საჯაია** და **ოთარ მარცვალაძე** იცავენ, პირველ დივიზიონში არცთუ სახარბიელოდ ასპარეზობს - 20-გუნდიან გათამაშებაში ამჟამად მე-12 ადგილზეა, არადა, სეზონის წინ კლუბის მიზანი პრემიერლიგის საგზურის მოპოვება იყო.

შეგახსენებთ, მახაჭყალის „ანჟის" პრემიერლიგაში გადამყვანი თეთრაძე დაღესტნური კლუბიდან მაშინ დაითხოვეს, როცა სეზონი ახალი დაწყებული იყო, საჯაიამ და თეთრაძემ კი „ანჟიდან" „ვოლგას" უფრო ადრე მიაშურეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 17 — მეტოქე. უკრაინა

# მდიდარი პრაქტიკა და საშუალო შედეგები

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. შეგახსენებთ, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენს ჯგუფს საქართველო უმასპინძლებს. შესარჩევი ტურნირისთვის ჩვენი მეტოქეებიც ემზადებიან. უკრაინელებმა უკვე ჩამოაყალიბეს გუნდის ბირთვიც და არაერთი მატჩიც ჩაატარეს. ჩვენმა მეტოქემ უკვე არაერთ ძლიერ საერთაშორისო ტურნირში მოსინჯა ძალები და იმედია, სპარინგები და შეჯიბრებები არც საქართველოს ნაკრებს მოაკლდება.

უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრების, რომელსაც 39 წლის **იური მოროზი** წვრთნის, წლის პირველი ტურნირი იანვარში, მინსკში ჩაატარა. ჯგუფში უკრაინელებმა ჯერ ბელგიასთან წააგეს 0:2, შემდეგ მასპინძელი ბელარუსი 3:2 დაამარცხეს, ბოლოს კი ლიტვასთან ფრედ, 2:2 ითამაშეს. ამით მოროზის გუნდმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ტურნირის მესამე ადგილისთვის მატჩში მოლდოვას შეხვდა, რომელსაც 4:2 სძლია.

უკრაინელები უქმად არც იანვრის ბოლოს ყოფილან და თურქეთში, „ეგეოსის ზღვის" ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. გათამაშების პირველი მატჩი მოროზის გუნდმა თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა და 1:2 დამარცხდა. შემდეგ შეხვედრაში უკრაინამ ბელგიასთან რამდენიმე დღის წინ განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო - 1:0 გაიმარჯვა. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში კი ჩვენმა მომავალმა მეტოქემ დანიას 2:0 მოუგო. ამით უკრაინელებმა ტურნირის მესამე ადგილისთვის მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და იქ ჩეხებს 2:0 სძლიეს.

უკრაინელებისა და ბელგიელების ურთიერთშეხვედრათა ისტორია თებერვალშიც გაგრძელდა, ამჯერად უკვე ბელგიაში ჩატარებულ ოთხგუნდიან წრიულ ტურნირში. მართალია, აქაც უკრაინელებმა მოიგეს, მაგრამ პირველი ადგილი მაინც მასპინძლებს დარჩათ, რადგან მანამდე გამართულ ორ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი ჰქონდათ მოპოვებული, მაშინ როცა უკრაინამ ჯერ სლოვაკეთთან ფრედ, 2:2 ითამაშა, შემდეგ კი ფინეთთან 1:3 დამარცხდა. ბელგიული ტურნირი მოროზმა და მისმა ფეხბურთელებმა მესამე საფეხურზე დაასრულეს.

უკრაინელთა შემდეგი გაჩერება საფრანგეთი იყო, სადაც ასევე წარმომადგენლობითი ტურნირი გაიმართა. ჯგუფში უკრაინის ნაკრები ჯერ ინგლისთან 1:3 დამარცხდა, შემდეგ კი ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა - ჯერ იაპონია გაანადგურა (4:0), მესამე ტურში კი გაბონს 3:1 სძლია. ტურნირის მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მოროზის გუნდი მასპინძელ საფრანგეთთან 0:3 დამარცხდა.

უკრაინის ნაკრების ლიდერად დონეცკის „შახტიორის" ნახევარმცველ **ვლადლენ იურჩენკოს** მიიჩნევენ, რომელსაც გუნდის შემადგენლობაში 13 მატჩი აქვს ჩატარებული და ამპლუის მიუხედავად, 7 გოლი გაიტანა. ამ მაჩვენებლით იგი ჯერჯერობით, გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

ანგარიშებით თუ ვიმსჯელებთ, უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრები დაუმარცხებელი ნამდვილად არ უნდა იყოს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ უკრაინის წინა 17-წლამდელთაგან განსხვავებით, სადაც მრავლად იყვნენ ქართული წარმოშობის ფეხბურთელები, ამჟამინდელ გუნდში ასეთები საერთოდ არ არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გერმანიის ნაკრები



იოახიმ ლიოვი და მისი რაზმი

# ლიოვის სამუნდიალო გუნდი

## გაფართოებულ სიაში აოგო და ბადშტუბერიც მოხვდნენ. ჰიტცლშპერგერი ნაკრებს მიღმა

**გუშინ, იოახიმ ლიოვმა შტუტგარტში, „მერსედეს ბენცის" მუზეუმში პრესკონფერენცია გამართა და ჩვენს გერმანელ კოლეგებს იმ 27 ფეხბურთელის სია წარუდგინა, საიდანაც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იმ 23 მოთამაშეს შეარჩევს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის დროშის ქვეშ იასპარეზებენ. როგორც მოსალოდნელი იყო, რენე ადლერის ტრავმის შემდეგ, ლიოვს მუნდიალზე მესამე მეკარედ ვეტერანი ბაიერნელი ჰანს-იორგ ბუტი მიჰყავს. დაცვაში იოგიმ, ბევრისთვის მოულოდნელად, ჰამბურგელ დენის აოგოსაც უხმო, ნახევარდაცვაში მოხსენიებულია პიოტრ ტროხოვსკის გვარი, ხოლო თავდასხმაში კი, ბუნდესმწვრთნელმა ექვსი კანდიდატი შეარჩია, რომელთაგან, სავარაუდოდ, მინიმუმ ერთს მუნდიალზე არ წაიყვანს. ექვსეულში არ არის ლევერკუზენელი პატრიკ ჰელმესი, რომელსაც სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებას არც არავინ უწინასწარმეტყველებდა. ამასთან ერთად, იოახიმ ლიოვმა მალტასთან ამხანაგური მატჩისთვის ხუთ „სხვა" მოთამაშესაც უხმო.**

**პრესკონფერენცია ლიოვმა, რა თქმა უნდა, იმ კრიტერიუმების შესახებ საუბრით დაიწყო, რომელთა მიხედვითაც მან ფეხბურთელები შეარჩია. იოგიმ თქვა, რომ 27-კაციანი გაფართოებული სია იმ ინტენსიური დაკვირვებებისა და ანალიზის შედეგია, რასაც ის და მისი თანაშტაბელები, ასისტენტი ჰანსი ფლიკი და მეკარეების მწვრთნელი ანდრეას კიოპკე ამ ოთხი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ. ლიოვმა ტრადიციულად ხშირად ახსენა მისი საყვარელი სიტყვა „ფილოსოფიაც" და აღნიშნა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს ასი პროცენტით და თვალდახუჭული ენდობა, რომ მის კონცეფციაში თითოეული მათგანი კარგად ჯდება.**

### მეკარეები: მოსალოდნელი ტრიო

როგორც მოსალოდნელი იყო, ლიოვმა გაფართოებულ სიაში სამი მეკარე შეიყვანა. ადლერის ნაცვლად, რომელიც საოპერაციო გახდა, იოგი სამხრეთ აფრიკაში ბუტს წაიყვანს, რომელიც მესამე მეკარე იქნება. პირველი ნომრობისთვის კი **მანუელ ნოიერი** (შალკე) და **ტიმ ვიზე** (ვერდერი) იბრძოლებენ.

*„ამ დღეებში ჩვენ ინტენსიურად ვიმსჯელებთ და მომავალ კვირაში გადავწყვეტთ, თუ ვინ უნდა იყოს ნაკრების პირველი მეკარე. გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი კვირის ბოლოს გამცნობთ,"* - თქვა იოგიმ.

### მცველები: აოგოს და ბადშტუბერს შეუძლიათ, იოცნებონ

დაცვის ხაზში ლიოვმა ორ აბსოლუტურ დებიუტანტს უხმო: **ჰოლგერ ბადშტუბერს** (ბაიერნი) და **დენის აოგოს**. შესაბამისად, ორივე მათგანს შეუძლია, სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებაზე იოცნებოს. შევლენ თუ არა ბადშტუბერი და აოგო 23-კაციან სიაში, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ. გამოძახებულთა სიაშია აოგოს თანაგუნდელი **ჟერომ ბოატენგი** და ჰოფენჰაიმელი **ანდრეას ბეკიც**. ბოატენგი მუნდიალზე აუცილებლად წავა, აი, ბეკის შემთხვევაში კი გადაწყვეტილებაა მისაღები. გერმანიის ნაკრების პოტენციური მცველებიდან, ლიოვმა მუნდიალზე ხელი ჩააქნევინა **მარსელ შეფერს** (ვოლფსბურგი), **რობერტ ჰუთს** (სტოკი), **ბენედიქტ ჰიოვედესს** (შალკე), **გონსალო კასტროს** (ლევერკუზენი) და **მატს ჰუმელსს** (დორტმუნდი). თუმცა ეს უკანასკნელი, მალტასთან ტესტმატჩისთვის გამოძახებულია.

### ნახევარმცველები: ჰიტცლშპერგერი ნაკრებს მიღმა

ნახევარდაცვაში ლიოვს არანაირი სიურპრიზი არ შემოუთავაზებია. ჰამბურგელი ტროხოვსკი სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების კანდიდატია, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, მაინცდამაინც დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს. იგივე ეხებათ ბრემენელ **მარკო მარინს** და შტუტგარტელ **კრისტიან ტრეშს**. ამ სამეულიდან, საუკეთესო შანსი მარინს აქვს. როგორც მოსალოდნელი იყო, სიაში არაა **თომას ჰიტცლშპერგერი**, რომელიც იანვარში „შტუტგარტიდან" „ლაციოში" გადავიდა, სადაც სათადარიგოთა სკამს ახეხინებენ. *„ჰიტცლშპერგერს ძალიან ვაფასებ, მასზე უარის თქმა უაღრესად გამიჭირდა, მაგრამ ფაქტია, რომ თომასი მუნდიალისთვის მზად არ არის,"* - აღნიშნა ლიოვმა.

### თავდამსხმელები: კაკაუ ექსვეულში

სიურპრიზები არც თავდასხმაში ყოფილა. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ლიოვი გაფართოებულ სიაში ლევერკუზენელ ჰელმესსაც შეიყვანდა, მაგრამ იოგიმ მასზე უარი თქვა. თუმცა სიაში მაინც ექვსი ფორვარდია, რადგან ბაიერნელი **თომას მიულერიც** თავდამსხმელის რანგშია გაყვანილი. „კიკერის" ცნობით, **კლოზეს, გომესს,** მიულერს და **პოდოლსკის** მუნდიალზე გამგზავრება გარანტირებული აქვთ. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ლიოვი არჩევანს **კაკაუსა** და **შტეფან კისლინგს** შორის გააკეთებს. გამორიცხული არც ისაა, რომ იოგიმ მუნდიალზე ექვსივე მათგანი წაიყვანოს. მით უმეტეს, რომ მიულერი ტიპიური ცენტრფორვარდი არ არის, არამედ უფრო შემტევი ნახევარმცველია.

### მალტასთან მატჩისთვის

13 მაისს გერმანია აახენში მალტასთან ტესტმატჩს გამართავს, რომელშიც ლიოვი წამყვან ფეხბურთელებს ვერ გამოიყენებს. მათ შორის, „ბაიერნისა" და „ვერდერის" მოთამაშეებს, რადგან ეს გუნდები გერმანიის თასის ფინალში ერთმანეთს ხვდებიან. მალტასთან არ იასპარეზებს **მიხაელ ბალაკიც**.

შესაბამისად, იოგიმ ამ შეხვედრისთვის რამდენიმე ახალწვეულს უხმო - ფეხბურთელებს, რომლებსაც ბუნდესგუნდში არცერთი მატჩი არ აქვთ ჩატარებული. ესენი არიან: მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღზევებული „კაიზერსლაუტერნის" მეკარე **ტობიას ზიპელი**, დორტმუნდელები **კევინ გროსკროიტცი** და **მატს ჰუმელსი**, ლევერკუზენელი **შტეფან რაინარატცი** და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ფლეიმეიკერი **მარკო როისი**.

საბოლოო, 23-კაციანი შემადგენლობა ლიოვმა პირველ ივნისამდე უნდა დაასახელოს. მანამდე კი, ამ 27-ფეხბურთელიანი სიით დავკმაყოფილდეთ.

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთი | ლა ლიგა. XXXVI ტური



სერხიო რამოსის პასებით კრიშტიანო რონალდომ იხეირა

# კრიშტიანოს უნაკლო ათიანი

## კვირას, სანჩეს პისხუანზე...

51:47, ეს ცოტა უცნაური ანგარიში „რეალისა" და „ბარსელონას" შემტევი წყვილების გოლთა თანაფარდობას ასახავს წლევანდელ პრიმერაში. **კრიშტიანო რონალდომ** და **გონსალო იგუაინმა** ერთად 51 გოლი გაიტანეს, ხოლო **ლიონელ მესიმ** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** - 47. ეს ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი კატეგორიაა, სადაც „სამეფო კლუბი" სჯობს „ბარსელონას". ჯერ ჩემპიონატი არ დასრულებულა და პორტუგალიურ-არგენტინული დუეტი „რეალის" ისტორიაში ყველაზე პროდუქტიულია.

ბევრს, ძალიან ბევრს აღიზიანებს კრიშტიანო რონალდოს ქცევის მანერა საფეხბურთო სამყაროში. იცით, რა თქვა ამის შესახებ „ონოესტადიზე" 4:1 მოგებული მატჩის შემდეგ **ესტებან გრანერომ?** - *„კრიშტიანოს ხშირად აკრიტიკებენ, ამბობენ, რომ ის ისე იქცევა, თითქოს მასზე უკეთესი არავინაა მთელ მსოფლიოში. ჩემი პასუხი მარტივია, რონალდო იმიტომ იქცევა ასე, რომ ის მართლაც საუკეთესოა".* ოთხშაბათს „მალიორკას" წინააღმდეგ, მისსავე სტადიონზე, სადაც 16-დან 13-მა გუნდმა კისერი წაიტეხა, „სამეფო კლუბმა" კრიშტიანოს წყალობით 4:1 მოიგო, პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა კარიერაში პირველად შეძლო „რეალის" მაისურით ჰეთ-თრიკის შესრულება. *„არ ვიცი, ვინ რას ამბობს ჩემზე, მე ვიცი, რა მსურს მე და რისთვის ვიკლავ თავს - ჩემპიონობა! სხვა ყველაფერი ჩემთვის მიუღებელია. ვერ ვიტყვი, რომ ამ მოგებით ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატები გავხდით, მაგრამ მოგებამ იმედი გვაჩუქა. ველით, როდის გააჩერებენ „ბარსას", ეს შეიძლება სევილიაში მოხდეს, რატომაც არა?! მე ჯერ მხოლოდ პირველი სეზონია „რეალში" ვარ და ვიმედოვნებ, კიდევ უფრო მოვუმატებ. გოლი ბევრი გავიტანე, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არაა, თანაგუნდელები ძალზე მეხმარებიან, როგორც დღეს სერხიო რამოსი. ჩვენ დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ, გოლის გაშვების შემდეგ ბრწყინვალე ხასიათი გამოვავლინეთ"*, - განუცხადა „მარკას" დღის გმირმა.

ის, რომ ესპანეთში საჩემპიონო დოლი ბოლომდე დაძაბულია, კრიშტიანო რონალდოს დამსახურებაა, 27 თამაშში პორტუგალიელმა 25 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასი გააკეთა. ბოლო ორ თამაშში („ოსასუნას" და „მალიორკას" წინააღმდეგ) კრიშტიანომ მეტოქეთა კარში ზუსტად 20-ჯერ დაარტყა, ეს კი ერთი კარგი გუნდის ნორმაა. მან ამ ორ თამაშში 5 გოლი გაიტანა. საიტმა გოლ.კომმა კრიშტიანო რონალდოს თამაშს ბალეარის კუნძულზე ათბალიანი სისტემით უნაკლო - 10-იანი დაუწერა. ეს პატივი კი მთელ ევროპაში სეზონში სულ ორი-სამ ფეხბურთელს ერგო.

ახლა „რეალის" და მის გულშემატკივართა იმედები მთლიანად „სევილიას" სიყოჩაღეს ემყარება. ანდალუსიური კლუბი გააფთრებით იბრძვის ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის, ამისთვის კი „ბარსელონასთან" მატჩში სამი ქულა ესაჭიროებოდა. „სანჩეს პისხუანზე" მართლაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. „სევილიამ" ამ ტურში სანტანდერში „რასინგი" 5:1 გაანადგურა, კანტაბრიელთა განადგურება დაიწყო და დაასრულა „რეალის" ყოფილმა ფორვარდმა **ალვარო ნეგრედომ**, რომელსაც სეზონში 11 გოლი დაუგროვდა. „სევილია" მე-4 ადგილისთვის ბრძოლაში „მალიორკას" 1 ქულით უსწრებს. ბოლოსწინა ტურის ყველა მატჩი კვირას გაიმართება. აი, რა თქვა „სევილიას" პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ**: *„იცით, რა? ამოვიდა ყელში?! ყველა ამ შეკითხვას ჩემპიონის გამოვლენის კუთხით რომ მისვამს - საერთოდ არ მაინტერესებს ვინ გახდება ესპანეთის ჩემპიონი, ვიცი, რომ ჩვენ ამ ტიტულს ვერ შევწვდებით. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ამოცანა, მე-4 ადგილის დაკავება - ასე რომ, „ბარსასთან" საბრძოლველად საკმარისი მოტივაცია ისედაც გვაქვს".*

გადამწყვეტ ფაზაში შედის „არსებობისთვის ბრძოლაც", „ხერესი" ფაქტობრივად განწირულია. აი, დანარჩენი ორი უიღბლოს ვინაობა კი ჯერ ისევ უცნობია. თეორიულად გავარდნა კიდევ ბევრ გუნდს ემუქრება, თუმცა პრაქტიკულად ამ კვარტეტიდან ორს არ გაუმართლებს: „ვალიადოლიდი" (33 ქულა), „ტენერიფე" (35 ქულა), „რასინგი" და „მალაგა" (36-36 ქულა). ამ ოთხეულიდან ყველამ წააგო „მალაგას" გარდა, რომელმაც პორტუგალიელი **დუდას** გოლის წყალობით ბილბაოში ფრეს მიაღწია - 1:1.

### მომდევნო ტური

**9 მაისი. სევილია-ბარსელონა, ვილიარეალი-ვალენსია, ხეტაფე-მალაგა, სპორტინგი-ატლეტიკო, ვალიადოლიდი-რასინგი, ტენერიფე-ალმერია, ხერესი-სარაგოსა, ესპანიოლი-ოსასუნა, დეპორტივო-მალიორკა, რეალი-ბილბაო.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 36 | 29 | 6 | 1 | 91-22 | 93 |
| 2. რეალი | 36 | 30 | 2 | 4 | 96-32 | 92 |
| 3. ვალენსია | 36 | 20 | 8 | 8 | 58-38 | 68 |
| 4. სევილია | 36 | 18 | 6 | 12 | 60-44 | 60 |
| 5. მალიორკა | 36 | 17 | 8 | 11 | 57-43 | 59 |
| 6. ხეტაფე | 36 | 16 | 6 | 14 | 53-47 | 52 |
| 7. ვილიარეალი | 36 | 15 | 7 | 14 | 53-54 | 52 |
| 8. ბილბაო | 36 | 14 | 9 | 13 | 47-48 | 51 |
| 9. ატლეტიკო | 36 | 13 | 7 | 16 | 56-57 | 46 |
| 10. დეპორტივო | 36 | 12 | 8 | 16 | 34-47 | 44 |
| 11. ოსასუნა | 36 | 11 | 9 | 16 | 35-43 | 42 |
| 12. ალმერია | 36 | 10 | 11 | 15 | 39-50 | 41 |
| 13. ესპანიოლი | 36 | 10 | 11 | 15 | 27-43 | 41 |
| 14. სარაგოსა | 36 | 10 | 10 | 16 | 41-58 | 40 |
| 15. სპორტინგი | 36 | 9 | 12 | 15 | 35-48 | 39 |
| 16. მალაგა | 36 | 7 | 15 | 14 | 40-45 | 36 |
| 17. რასინგი | 36 | 8 | 12 | 16 | 39-57 | 36 |
| 18. ტენერიფე | 36 | 9 | 8 | 19 | 38-71 | 35 |
| 19. ვალიადოლიდი | 36 | 6 | 15 | 15 | 35-57 | 33 |
| 20. ხერესი | 36 | 7 | 9 | 20 | 34-63 | 30 |

**ბომბარდირები:** 31 - მესი (ბარსელონა); 26 - იგუაინი (რეალი); 25 - რონალდო (რეალი); 21 - ვილია (ვალენსია); 18 - ფორლანი (ატლეტიკო); 16 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა); 14 - ლ. ფაბიანო (სევილია), ფ. ლორენტე (ბილბაო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




საფრანგეთი | ლიგა 1. XXXVI ტური

# 18 წლის შემდეგ: მარსელი ჩემპიონია!

## რატომ არ იცეკვა დეშამმა მაგიდაზე

სათაურიმთლად **ალექსანდრ დიუმას** რომანისა არ გამოგვივიდა - რას ვიზამთ „მარსელმა" „იჩქარა" და 18-წლიანი შესვენების შემდეგ გაჩემპიონდა. **დიდიე დეშამის** გუნდმა საფრანგეთის ჩემპიონობა ლიგა 1-ის დასრულებამდე 2 ტურით ადრე მშობლიურ „ველოდრომზე" გაინაღდა. სამხრეთულმა გუნდმა „რენი" **გაბრიელ ჰაინცეს, მამადუ ნიანგისა** და **ლუჩო გონსალესის** გოლების წყალობით 3:1 მოიგო, კონკურენტთაგან მიუწვდომელი გახდა და იქვე, 56 ათას სიხარულისგან ლამის ჭკუაზე შეშლილ ქომაგებთან ერთად იზეიმა. დიდიე დეშამის გუნდი 75 ქულით პირველია და უახლოეს „მდევარ" „ლილს" 8 ქულით უსწრებს. აი, ასეთი მოულოდნელი დასასრული ჰქონდა ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

1992 წლის შემდეგ „მარსელი" საფრანგეთის ჩემპიონი არ ყოფილა, მას შემდეგ გუნდს ბევრი რამ გადახდა, თითქმის ყველაფერი ცუდი და დამამცირებელი. და აი, გუნდი ისევ ძველი გვარდიის ერთმა ყოფილმა წევრმა **დიდიე დეშამმა** წამოაყენა ფეხზე. ჩემპიონობა კი არა, 1992 წლის შემდეგ „მარსელს" საერთოდ ერთი ტიტულიც არ მოუგია. ამ სეზონში კი დეშამმა გუნდს ჯერ ლიგის თასი მოაგებინა, შემდეგ ჩემპიონობა, თუ ამას დავურთავთ ევროპის ლიგაში „მარსელის" არცთუ ურიგო ასპარეზობას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ ეს სეზონი „მარსელისაა"...

მატჩზე „მარსელი" უკვე იმ ინფორმაციით გავიდა, რომ გამარჯვება მათ ტიტულს წინასწარ დაუბევებდა. გუნდის საქმე მისმა დაუძინებელმა მტერმა, „ლიონმა" გააკეთა, როცა მე-2 ადგილზე მყოფ „ოსერს" მოუგო. ეს მე-15 მატჩი იყო, რომელიც დეშამის გუნდმა არ წააგო ჩემპიონატში.

მე-4 წუთზე ანგარიში „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „რეალის" ყოფილმა მარცხენა მცველმა გაბრიელ ჰაინცემ გახსნა. არგენტინის ნაკრების კაპიტანმა, ყველასთვის მოულოდნელად, საჯარიმო დარტყმა შეასრულა, თანაც ძალზე ოსტატურად, მან ბურთი კედელს შემოატარა და ისე გაიტანა - 1:0. ამის შემდეგ „მარსელი" რატომღაც ანერვიულდა, რამაც „რენს", რომელსაც ზედიზედ 5 თამაში არ მოეგო, რის გამოც ევროთასების საგზურს გამოემშვიდობა, კონტრშეტევების საშუალება მისცა. 38-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა, ამ შემთხვევაში ჰაინცე უკვე დამნაშავე იყო, **ჟერომ ლეროამ** ჩამოანოდა, ხოლო გაბრიელს საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი **ჯიმი ბრიანი** დაუსხლტა და ვარდნაში თავურით **სტივ მანდანდას** კარში გაიტანა - 1:1.

მეორე ტაიმი სამხრეთელთა იერიშებით დაიწყო, თავისი შანსი ჯერ შეცვლაზე შესულმა **ტაიე ტაივომ** გაანიავა, შემდეგ **სტეფან მბიამ**. მაგრამ ბოლოსკენ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - 76-ე წუთზე **მატიო ვალბუენას** დარტყმული **ნიკოლა დუშეზმა** კი მოიგერია, მაგრამ იქვე მამადუ ნიანგი გაჩნდა და „მარსელის" კაპიტანმა ანგარიში 2:1 გახადა. ეს ნიანგის მე-16 გოლია ჩემპიონატში, ის კვლავ გალიდერდა ბომბარდირთა დავაში, თუმცა პირველობას „ლორიანის" ფორვარდ **კევინ გამეიროს** უყოფს.

ორ წუთში გუნდის ნამდვილი დირიჟორის, არგენტინელი **ლუჩო გონსალესის** ჯერი დადგა - **ჰატემ ბენ არფამ** მეტოქის ნახევარზე გაინავარდა, რასაც ლუჩოს სუპერგასროლა მოჰყვა, „მარსელი" ჩემპიონია, 18 წლის შემდეგ! საფინალო სასტვენის შემდეგ, რაც „ველოდრომზე" მოხდა, ვერ აღგიწერთ, ეს უნდა გენახათ!

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„მაგიდაზე ასვლას და ცეკვას არ ვაპირებ სხვებივით, არა იმიტომ, რომ ვინმეზე ნაკლებად მიხარია - უბრალოდ, ძალიან ცუდი მოცეკვავე ვარ. ფეხბურთელები მართლაც სხვანაირად აღნიშნავენ ამ გამარჯვებას, როცა მწვრთნელი ხარ, ყველაფერი უნდა გაითვალისწინო, მათ შორის ის, რომ ცუდი მოცეკვავე ხარ. ძალიან გახარებული ვარ, რომ „მარსელის" დუბლში რაღაც წვლილი მეც მიმიძღვის. ძალიან მაგარი წელიწადი გვაქვს. ქუდს ვიხრი ბიჭების წინაშე, ვინ წარმოიდგენდა, რომ ისინი ჩემპიონობას შეწვდებოდნენ, თანაც ტიტულს ორი მატჩით ადრე გაინაღდებდნენ. სეზონში ორჯერ მქონდა ძალზე დამაფიქრებელი მომენტი. ერთხელ, მე-19 ტურში, როცა „ოსერთან" 0:2 წავაგეთ, და მეორედ, როცა ევროპის ლიგიდან „ბენფიკამ" გაგვაგდო. საბედნიეროდ, ზუსტად სამ დღეში „ლიონს" მოვუგეთ, რამაც ყველაფერი საჩვენოდ მოაბრუნა. სეზონის დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ თითქოს არ ვჩანდით საჩემპიონო რბოლაში, ეს ჩვენთვის ძალზე კარგი აღმოჩნდა. 14 დღის განმავლობაში ხუთი მატჩი მოვიგეთ. ვფიქრობ, სწორედ ეს იყო გადამწყვეტი მომენტი სეზონში".*

**მატიო ვალბუენა** (მარსელი): *„ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა ამ სეზონში, მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად დასრულდა. ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო მომენტია. როცა „მარსელთან" ხელშეკრულებას ვაფორმებდი, სწორედ ასეთ დროზე ვოცნებობდი. და ახლა მე აქ ვარ, უზომოდ ბედნიერი".*

**ჟან-კლოდ დასიე** (მარსელის პრეზიდენტი): *„ორმა ტიტულმა დაამტკიცა, რომ ჩვენი არჩევანი არ იყო მცდარი, დიდიე დეშამი საფეხბურთო სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მაგარი პროფესიონალია. მე ხშირად მინახავს მისი სამუშაო პროცესი, დიდიე ეს მისტერ ფეხბურთია! ქალაქი მარსელი ამ დღეს 18 წელიწადი ელოდა. ახლა უკვე მომავალ სეზონზე და ჩემპიონთა ლიგაში კარგ გამოსვლაზე ფიქრის დროა. დღესასწაულს რაც შეეხება, ის მთელი ღამე გაგრძელდება. ვინ იფიქრებდა ამას, როცა საშინაოდ „ოსერთან" მარცხმა „ბორდოსთან" ჩამორჩენა 11 ქულამდე გაზარდა".*

ამ ტურში გაირკვა ყველა გავარდნილის ვინაობაც, „გრენობლს" შეუერთდნენ „ბულონი" და „ლე მანი". სამწუხაროდ, ქართველთა „ლე მანმა" ვერ შეძლო გადარჩენა. **გიორგი მაკარიძემ** ორი მატჩი ითამაშა ჩემპიონატში და, შეიძლება, სეზონის ბოლოს კვლავ მას ანდონ კარი.

### მომდევნო ტური

**8 მაისი. ოსერი-ლანსი, ბორდო-სოშო, გრენობლი-ბულონი, ლე მანი-პსჟ, ლილი-მარსელი, მონაკო-ნანსი, მონპელიე-ლორიანი, რენი-ნიცა, სენტ ეტიენი-ტულუზი, ვალანსიენი-ლიონი.**

### ბულონი-სენტ ეტიენი 0:1

**ბულონი:** ბედენიკი, რაბუელი (79. დიუკატელი), სუმარე, ლეკონტი (85. დემბელე), აგუაზი, კუვილიე, კაპო, მარკი, ტურე, ტილი, ბლაიაკი (72. იატაბარე).

**სენტ ეტიენი:** ჟანო, დიახატე, ნდავი, დაბო, პერენი, ბენალუანი, მატუიდი, ფერნანდესი, პაიე (65. საკო), სანოგო (45. ბერხესიო), რივიერი.

**გოლი:** 0:1 რივიერი (87)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 11-14 (5-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 12 408

### ლანსი-გრენობლი 1:1

**ლანსი:** კასრაუი, რამოსი, იაჰია, ბედიმო (79. ჟემაა), სარტრე, დემონი, რუდე, ერმახი, კოვაჩევიჩი (46. სოუ), მაულიდა, მონე-პაკე (60. აკალე).

**გრენობლი:** ვივიანი, სესარი, რენდულიჩი, სოჟე, მაინფროი, კურტუა (65. კალვე), რომაო (79. სიიანსი), დიოზი, ბატლე, ტადიჩი (70. იტო), აკრური.

**გოლები:** 0:1 კურტუა (45), 1:1 მაულიდა (68)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-14 (2-7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 32 686

» მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

ლიგა 1. XXXVI ტური

« მე-6 გვერდიდან

**ლორიანი-მონაკო 2:2**

**ლორიანი:** ოდარი, კოშილნი, მორელი, ბაკა, ბურილიონი, მვუემბა, ამალფიტანო, მანსური (70. ვაირუა), გამეირო, დიარა (61. ჟოფრე), დუბაბრიე.

**მონაკო:** რუფიე, მოდესტო, ადრიანო, მურატორი, მანგანი, ტრაორე, პიუგრენიე, ალონსო (64. საგბო), პარუნა, პინო (75. კოსტა), მააზუ.

**გოლები:** 0:1 პარუნა (41), 1:1 ამალფიტანო (42), 1:2 მააზუ (72), 2:2 გამეირო (82)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 10-6 (4-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 15 436

**ლიონი-ოსერი 2:1**

**ლიონი:** ლორისი, კრისი, ბუმსონგი, რევეიერი, სისოხო, ბაშტოში (70. კალსტრიომი), პიანიჩი, მაკუნი (61. გოვუ), ტულალანი, ლოპესი, გომისი (78. ლაკაზეტე).

**ოსერი :** სორინი, ენგბარი, გრიხტინგი, კულიბალი, ბერტო (90. მინიო), დუდკა (87. სანოგო), პედრეტი, კონტუტი (77. კვერსია), ბირსა, ოლიეჩი, იელენი.

**გოლები:** 0:1 იელენი (14), 1:1 ლოპესი (45-პენ), 2:1 პიანიჩი (85)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 14-8 (3-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 36 262

**ნანსი-ლე მანი 3:2**

**ნანსი :** გრეგორინი, სამი, მაკალუსო, შრეტიე (56. ბერენგერი), მალონგა, ტრაორე, პაჯი, ფერე, დიაკიტე (71. ლუიზი), ბრიზონი, დია (61. ბაკარი).

**ლე მანი :** ოვონო, ნარი, სერდანი, ჟოაო პაოლო (53. კორჩია), ტომასი, მაიგა, ლუვიონი, დოსევი (68. ლე ტალეკი), ბაალი, ლამა, სისე (82. ჰელსტადი).

**გოლები:** 1:0 ფერე (18), 1:1 მაიგა (25), 1:2 დოსევი (26), 2:2 ფერე (32), 3:2 მალონგა (62)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15-16 (5-8); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 015

**ნიცა-ბორდო 1:1**

**ნიცა:** ოსპინა, სიველი, გასე, პეისლი (65. კულიბალი), ეშუაფნი (65. მულუნგუი), ელბიკი, ფაე, დიაკიტე, საბლე, რემი, მუნიე (92. ბენ საადა).

**ბორდო:** რამე, სიანი, ენრიკე, ტრემულინასი, ჟუსიე, ვენდელი, პლაშილი (85. ბელიონი), სერტიჩი, ტრაორე (72. გუფრანი), სანე, შამახი (85. კავენაგი).

**გოლები:** 1:0 ფაე (27), 1:1 ვენდელი (34)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 5-14 (3-6); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 8 700

**პსჟ-ვალანსიენი 2:2**

**პსჟ:** ედელი, სახო, კამარა, არმანი, ჟალე, მაკელელე, სესენიონი (72. მორისი), კლემანი, ჟიული (55. კეჟმანი), ოარო (61. სეარა), ერდინგი.

**ვალანსიენი:** პენეტო, დიუკურტუა, ბალდე, ბიზევაცი, ანგუა, დანიჩი (64. პუჟოლი), ბენ კალფალაპი, გომისი (87. კადირი), ტიენე, საესი (46. კოადი), ბონგი.

**გოლები:** 1:0 ერდინგი (39), 1:1 ბონგი (59), 2:1 კეჟმანი (90), 2:2 ბენ ხალფალაპი (93)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 17-8 (5-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 29 900

**სოშო-მონპელიე 0:1**

**სოშო:** რიშერი, დიუპლუსი, დრამე, ბრეშე, მიკარი (46. მარტინი), პერკისი (53. ჟოზე), ბუდაბუზი, დალმა (75. ბუტენი), გავანონი, იდეიე, მორის-ბელაი.

**მონპელიე:** ჟურდრენი, ბოკალი, იანგამბივა, სპაპიჩი, დერნისი (60. მონტანიო), პიტრო, კოშტა, საიპი, ჟენშამი (65. კოლენი), კომპანი (78. ბელჰანდა), კამარა.

**გოლი:** 0:1 კოშტა (72)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 16-8; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 4-15 (2-7); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 12 281

**ტულუზი-ლილი 0:2**

**ტულუზი:** პელე, კონგრე, მბენგე, ებონდო, სირიეი, ბერსონი, სისოკო, ტაბანუ, კაპუე, მანსარე (65. ბრაატენი), კაზიმ-რიჩარდსი.

**ლილი:** ლანდრო, კოსტა, ბერია, რამი (83. ემერსონი), დებიუში, ბალმონი), კაბაიე, ობრანიაკი, პაზარდი (89. ვანდამი), დე მელო, ჟერვინიო (76. ფრო).

**გოლები:** 0:1 კაბაიე (34), 0:2 ობრანიაკი (48)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 14-10 (4-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 900

**მარსელი-რენი 3:1**

**მარსელი:** მანდანდა, პაინცე (57. ტაივო), დიავარა, ბონარი, სისე, გონსალესი, კაბორე, მბია, ვალბუენა, ბრანდაო (66. ბენ არფა), ნიანგი (82. კონე).

**რენი:** დუშეზი, მანგანე, ფანი, ჰანსონი, დანზე, ლეროა, მარვო (80, სოუ), მვილა, ლემონანი, ასამოა გიანი (80. ბანგურა), ბრიანი (80, ეკოკო).

**გოლები:** 1:0 პაინცე (4), 1:1 ბრიანი (38), 2:1 ნიანგი (76), 3:1 გონსალესი (78)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 17-15 (6-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 55 377

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 36 | 22 | 9 | 5 | 65-33 | 75 |
| 2. ლილი | 36 | 20 | 7 | 9 | 68-36 | 67 |
| 3. ოსერი | 36 | 19 | 10 | 7 | 40-28 | 67 |
| 4. ლიონი | 35 | 18 | 11 | 6 | 57-36 | 65 |
| 5. მონპელიე | 36 | 18 | 9 | 9 | 45-38 | 63 |
| 6. ბორდო | 36 | 18 | 7 | 11 | 53-36 | 61 |
| 7. ლორიანი | 36 | 15 | 10 | 11 | 51-39 | 55 |
| 8. რენი | 36 | 14 | 10 | 12 | 50-38 | 52 |
| 9. მონაკო | 35 | 14 | 9 | 12 | 37-41 | 51 |
| 10. ვალანსიენი | 36 | 14 | 8 | 14 | 47-47 | 50 |
| 11. პსჟ | 36 | 12 | 11 | 13 | 49-42 | 47 |
| 12. ნანსი | 36 | 13 | 8 | 15 | 44-50 | 47 |
| 13. ლანსი | 36 | 11 | 11 | 14 | 36-41 | 44 |
| 14. ტულუზი | 36 | 11 | 10 | 15 | 35-36 | 43 |
| 15. ნიცა | 36 | 11 | 9 | 16 | 38-54 | 42 |
| 16. სოშო | 36 | 11 | 8 | 17 | 27-48 | 41 |
| 17. სტ. ეტიენი | 36 | 10 | 9 | 17 | 26-43 | 39 |
| 18. ლე მანი | 36 | 7 | 8 | 21 | 35-57 | 29 |
| 19. ბულონი | 36 | 6 | 10 | 20 | 30-60 | 28 |
| 20. გრენობლი | 36 | 4 | 8 | 24 | 29-59 | 20 |

**ბომბარდირები:** 16 - გამეირო (ლორიანი), ნიანგი (მარსელი); 14 - ერდინგი (პსჟ), იელენი (ოსერი), ლოპესი (ლიონი), ნენე (მონაკო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მარსელი ხარობს

## იტალიის თასი

ფინალი



ბოლო ხუთი ფინალიდან ინტერმა რომას მესამედ მოუგო

# საგიჟეთი ოლიმპიკოზე

## თასი ინტერს დარჩა

იტალიის თასის ფინალი იმაზე უფრო ნერვიული და დაძაბული გამოვიდა, ვიდრე წარმოგვედგინა. მატჩის წინ **კლაუდიო რანიერიმ** შეგირდებს ლაღი ბურთაობისკენ მოუწოდა, მხოლოდ ასე თუ დავამარცხებთ „ინტერსო". ლაღის რა მოგახსენოთ და ისეთი ამბები დატრიალდა რომის ოლიმპიურ სტადიონზე, სიტყვებით რთული გადმოსაცემია. ეს უფრო გლადიატორების ბრძოლა იყო, ვიდრე ფეხბურთი.

**ჟოზე მოურინიომ** ტრადიციული 4-2-3-1 ტაქტიკა გამოიყენა, შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტო** გაამწესა, მის უკან კი როგორც ვივარაუდეთ, შემდეგი სამეული დააყენა: **ტიაგო მოტა, სამუელ ეტოო** და **ვესლი სნეიდერი**. თუმცა, ამ უკანასკნელს თამაშმა, ფაქტობრივად არ მოუწია, ფეხში ტკივილი იგრძნო და უკვე მე-5 წუთზე შესაცვლელი შეიქმნა. მოურინიომ გარისკა და სნეიდერის ნაცვლად **მარიო ბალოტელი** ჩართო თამაშში. გარისკა იმიტომ, რომ ჰოლანდიელისგან განსხვავებით, განური წარმოშობის იტალიელს დაცვითი ფუნქციების შესრულება არ ეხერხება. ძირითადში ვიხილეთ **მარკო მატერაცი**, რომელიც დაცვის ცენტრში **ივან კორდობას** შეუწყვილდა. მეორე ნახევარში **ვალტერ სამუელი** ჩაერთო თამაშში, რომელმაც სწორედ ივანი შეცვალა.

კლაუდიო რანიერიმ ყველა გააოცა, როდესაც სასტარტო შემადგენლობაში **ფრანჩესკო ტოტი** არ დააყენა. კაპიტანი სათადარიგო სკამზე დარჩა, შეტევის წინა ხაზზე კი **მირკო ვუჩინიჩსა** და **ლუკა ტონიზე** შეჩერდა არჩევანი. სათადარიგოთა შორის დარჩა **ჟერემი მენეზიც**, რაც ასევე მოულოდნელი გახლდათ. რანიერის ამ გადაწყვეტილებამ აშკარად არ გაამართლა, პირველ ტაიმში „ჯალოროსი" იმდენად უხეიროდ უტევდა, რომ ერთი რეალური მომენტიც კი არ შექმნილა „ინტერის" კართან.

პირველ ნახევარში გუნდებმა ჩაკეტილი ფეხბურთი ითამაშეს - ბრძოლა გაჩაღდა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე, რომელიც ხშირად უხეშობაში გადადიოდა. მატჩის არბიტრმა რამდენჯერმე დახუჭა თვალი ზედმეტად ხისტ თამაშზე, რამაც ცუდი შედეგი გამოიღო. მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მით უმეტეს, სათქმელი ბევრი არც არაფერი და უმჯობესია, პირდაპირ გოლზე გადავიდეთ. მე-40 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც დიეგო მილიტო მეტოქის საჯარიმოსკენ დაიძრა, ოთხ მცველს შორის მარტო გახლდათ, მაგრამ ოსტატურად ითამაშა, დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და **ჟულიო სერჟიოს** კარის ცხრიანი დალაშქრა, 1:0. გოლი მართლაც ბრწყინვალე გამოვიდა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მილიტო შესანიშნავ ფორმაშია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს დიეგო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თავდამსხმელია ბებერ კონტინენტზე.

შესვენებისას რანიერიმ ორი ცვლილება გააკეთა - ფრანჩესკო ტოტიმ **დავიდ პისარო** შეცვალა, **მარკო მოტამ** კი **ნიკოლას ბურდისო**. ბუნებრივია, ამით „რომას" თავკაცმა შეტევის გაძლიერება განიზრახა. მოტა ფლანგის მცველია და შეტევებში აქტიურად ჩართვა დაევალა: ტოტი ჯერ უკნიდან თამაშობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლუკა ტონი ჟერემი მენეზმა შეცვალა, ცენტრფორვარდის პოზიციაზე აინაცვლა. „ჯალოროსი" ოდნავ გამოცოცხლდა, თამაშმა მილანელთა ნახევარზე გადაინაცვლა და მომენტებიც შეიქმნა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში დედაქალაქელები აშკარად მოიკოჭლებდნენ. გატანის შესანიშნავი შანსი ჰქონდა მირკო ვუჩინიჩს, კიპერთან პირისპირ დარჩა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა და შემდეგ თავშიც წაიშინა ხელები. „ინტერის" საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმებიც უხვად დაინიშნა - ჯერ **რიისემ** სცადა ბედი, შემდეგ ვუჩინიჩმა, ბოლოს კი ტოტიმაც დაუბათქუნა, მაგრამ ყველა მცდელობა ამაო გამოდგა.

მატჩის ბოლო წუთები ნერვიულ ვითარებაში წარიმართა - რომაელებმა უხეშობას უმატეს, რაც ხშირად ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. განსაკუთრებულად აგრესიული **როდრიგო ტადეი** გახლდათ, მაგრამ რატომღაც მისთვის ყვითელი ბარათიც კი არ უჩვენებიათ. კულმინაცია კი 88-ე წუთზე დადგა, როდესაც ფრანჩესკო ტოტიმ ვანდალური აქტი ჩაიდინა - ბალოტელი მცველების გარემოცვაში გახლდათ, როდესაც ტოტი უკნიდან მიეპარა და რაც ძალი და ღონე ქონდა, ფეხებში უთავაზა. ახალგაზრდა ფორვარდი მინდორზე დაეცა და კარგა ხანს ველარც დგებოდა. ტოტიმ უსიტყვოდ მიიღო წითელი ბარათი და მოედანი შემზარავი გამომეტყველებით დატოვა. სახეზე ჰქონდა აღბეჭდილი, რომ ყველაზე და ყველაფერზე გაცეცხლებული იყო. სხვა შემთხვევაში, ასეთი საქციელის გამო დამნაშავეს მინდორზევე გაურჩევდნენ საქმეს, მაგრამ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა ტოტის, რომ არავინ გაკარებია.

ემოციები ამით არ ჩამცხრალა - მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, მოედანზე ისეთი ამბავი ატყდა, რომ დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. ჯერ **სალი მუნტარი** წაეკიდა როდრიგო ტადეის, შემდეგ **სიმონე პეროტა** ჩაერთო საქმეში, რაც გუნდი გუნდზე ჩხუბში გადაიზარდა. ამასობაში, გულშემატკივრებიც შეცვივდნენ მოედანზე და ვინ ვის ურტყამდა, ჩვენ კი არა, ვფიქრობთ, თვითონაც არ იცოდნენ. ამ ყველაფრის ფონზე, საზეიმო კვარცხლბეკის მომზადების პროცესმა კომიკური სახე მიიღო. ბოლოს, „ინტერის" ფეხბურთელებმა მოიფიქრეს და იმ ტრიბუნისკენ გაიქცნენ, სადაც მათი გულშემატკივრები იყვნენ. იქ გამართული ზეიმი ცოტა ნაძალადევს კი წააგავდა, მაგრამ ჩხუბს ნამდვილად ჯობდა - „რომამ" კი დამარცხებულმა და შერცხვენილმა დატოვა მინდორი. რომაული დერბის შემდეგ, სწორედ ტოტიმ განაცხადა, ღირსეულად მარცხი უნდა შეგეძლოსო - როგორც ჩანს, ამ მხრივ, მასაც სამუშაო აქვს საკუთარ თავზე.

ნამატჩევს, ტოტი ყურადღების ეპიცენტრში იყო. აი, რა განაცხადა „ჯალოროსის" კაპიტანმა ჟურნალისტებთან საუბარში:

*„დიახ, ბალოტელის განზრახ ჩავარტყი და ამას არც ვნანობ. მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩემს ქალაქს, გულშემატკივრებს და გუნდს შეურაცხყოფას აყენებდა, რასაც ვერასდროს ავიტან. პირად მე ორჯერ მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც ჩავყლაპე, მაგრამ როდესაც ეს მესამეჯერ გააკეთა, ველარ მოვითმინე და ჩავარტყი. ამასთან, ჯერ კიდევ არ დამვიწყებია, თუ როგორ იქცეოდა, როდესაც „ინტერს" ჩემპიონატის თამაშში ვხვდებოდით. მაშინ ბოლომდე მოვითმინე და ნერვებს არ ავყევი. ის პროვოკატორია და ამისთვის აუცილებლად უნდა დაისაჯოს".*

ჟოზე მოურინიომ ჟურნალისტებთან ურთიერთობა აღადგინა - როგორც ჩანს, წარმატებებმა ხასიათი გამოუკეთა და საუბრის იშტაზეც მოიყვანა. მოვუსმინოთ „განსაკუთრებულ კაცს":

*„ძალიან რთული თამაში იყო, თუ ამას საერთოდ თამაში შეიძლება ეწოდოს. ეს იყო ომი, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. სიმართლე გითხრათ, თასზე უკვე აღარ ვფიქრობ, წინ ჩემპიონატის მატჩები გვაქვს და მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო. ბევრი ფიქრობს, რომ სკუდეტო უკვე ჩვენია, მაგრამ ეს თავშივე მცდარი პოზიციაა. წინ ორი ურთულესი მატჩი გველის, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. „კიევო" კარგად ორგანიზებული გუნდია და გასვლაზეც ისეთივე სტაბილურობით აგროვებს ქულებს, როგორც საკუთარ მოედანზე. რაც შეეხება „სიენას", ჩემი აზრით, ტოსკანელები არ იმსახურებენ იმ ადგილს, რომელზეც დღეს იმყოფებიან. ეს გუნდი ძალიან მესიმპათიურება და მიკვირს, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი ვერ შეინარჩუნა. მიუხედავად ამისა, არა მგონია, რომ მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნათ. ერთი გამარჯვებით მათ შეუძლიათ ისტორიაში შევიდნენ, ამასთან, „რომასგან" ალბათ პრემიებსაც მიიღებენ. დარწმუნებული ვარ, „ჯალოროსის" მესვეურები ტოსკანელებს წაახალისებენ, მათ ხომ დაზოგეს თასის მოგებისთვის გადადებული პრემიალურები".*

ბოლო ფრაზას ჟოზემ ცბიერი ღიმილი მიაყოლა და ამით რომაელი ჟურნალისტები წყობიდან გამოიყვანა. საპრესკონფერენციო დარბაზიდან მიმავალ პორტუგალიელს თურმე უწმაწური სიტყვებიც კი მიაწიეს - ასეთია კალჩო და რა გინდა რომ ქნა?

**ინტერი-რომა 1:0**

**ინტერი (4-3-2-1):** ჟულიო სეზარი 6 - მაიკონი 6, კორდობა 6 (39. სამუელი 7), მატერაცი 6, კივუ 6 - ხ. ძანეტი 6.5, კამბიასო 6, ტიაგო მოტა 6.5 - სნეიდერი (6. ბალოტელი 6.5/90. მუნტარი), ეტო'ო 7 - მილიტო 7.

**რომა (4-2-3-1):** ჟულიო სერჟიო 6.5 - ბურდისო 5 (46. მ. მოტა 5.5), მექსე 5.5, ჟუანი 6.5, რიისე 5.5 - დე როსი 6, პისარო 6 (46. ტოტი 4) - ტადეი 6.5, პეროტა 6, ვუჩინიჩი 5.5 - ტონი 4.5 (63. მენეზი 6).

**გოლი:** 1:0 მილიტო (40)

**გაძევება:** ტოტი (89. რომა)

**მაყურებელი:** 50 000

**ლაშა წიკლაური**

ჩელსი

# უჟმური რჩება

ჭორები და მითქმა-მოთქმა, რომ ფრანგი ვარსკვლავი **ნიკოლა ანელკა** „ჩელსიდან" წავა, შეწყდა. მიზეზი: დასავლეთლონდონელებმა და ფორვარდმა ახალ, ორწლიან კონტრაქტზე მოილაპარაკეს. როგორც მავანმა საქმეში ჩახედულმა ადამიანმა ტაბლოიდებს უამბო, საქმე 99 პროცენტით მოკვარახჭინებულია. როგორც „სანი" ვარაუდობს, ერთადერთი, რაზეც კლუბსა და ფეხბურთელს ჯერ ხელი ხელზე არ დაუკრავთ, ჯამაგირია. *„დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლა ლონდონში კიდევ ორი წლით დარჩება"*, - თქვა „საქმეში ჩახედულმა".

როგორც მიმომხილველები ამბობენ, ანელკას დარჩენის ამბავი „ლურჯების" იტალიელი თავკაცისთვის **კარლო ანჩელოტისთვის** დიდი შვებაა, რადგან გუნდს კვირას პრემიერლიგის ბოლო მატჩი აქვს „უიგანთან", რომელშიც აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს. გამარჯვების შემთხვევაში დასავლეთლონდონელები ჩემპიონები გახდებიან, ამისათვის კი გუნდში სრული სიმშვიდე და საბრძოლო განწყობაა საჭირო.

რას ნიშნავს 31 წლის ანელკას გუნდში კიდევ ორი წლით დატოვება? იურიდიულად ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ახლანდელი კონტრაქტი კიდევ ერთი წლით უნდა გახანგრძლივდეს, პრაქტიკულად კი, „ჩელსის" კვლავ ეყოლება მისი და **დიდიე დროგბას** წყვილი, რომელმაც „ლურჯების" წლევანდელ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა. ფორვარდს, რომელსაც ჯერ კიდევ „არსენალში" თამაშის დღეებიდან მოყოლებული „უჟმური" შეარქვეს, არასდროს დაუმალავს, რომ „ჩელსიში" დარჩენა სურს.

ნიკოლა ანელკა „ჩელსიში" 2008 წლის იანვარში 15 მილიონ ფუნტად გადავიდა და მას მერე „ლურჯი" მაისურით 83 შეხვედრაში 29 გოლი გაიტანა.



ნიკოლა ანელკა (წინა პლანზე) და დანიელ აგერი

**ილია ბაბუნაშვილი**

ამბები

## ვოლფსბურგი ჰოჯსონსაც ელაპარაკება

ამას წინათ გაცნობეთ, რომ დიდი შანსია, „ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელად **სტივ მაკლარენი** დაინიშნოს. გუშინ „კიკერმა" გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ მაკლარენის გარდა, „მგლების" მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** „ფულჰემის" თავკაც **როი ჰოჯსონთანაც** აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამ უკანასკნელის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი შესანიშნავად ლაპარაკობს გერმანულ ენაზე. მაგრამ „ვოლფსბურგს" „ლივერპულის" სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავს.

**გოტფრიდ ლენცი**

## მაინცი: ტუხელი 2012 წლამდე

„მაინცის" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარ მწვრთნელ **თომას ტუხელს** ბრწყინვალე სეზონისთვის მადლობა გადაუხადეს და კონტრაქტი 2013 წლამდე გაუხანგრძლივეს. 36 წლის სპეციალისტმა „მაინცი" სეზონის დასაწყისში ჩაიბარა (ამ თანამდებობაზე **იორნ ანდერსენი** შეცვალა) და ყველასათვის მოულოდნელად, შესანიშნავი ფეხბურთი ათამაშა. ტუხელის მიერ გაწვრთნილმა „მაინცმა" არსებობის ისტორიაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და მინიმუმ მე-10 ადგილზე გავა. შეგახსენებთ, რომ მაინცი პირველ ბუნდესლიგაში შარშან ალზევდა.

**გოტფრიდ ლენცი**




ინგლისი

პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩები

# კვირას არსენალი ვის ხვდება?

ეს პირველად მოხდა! „ტოტენჰემ ჰოთსპური" ჩემპიონთა ლიგაში გავიდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი გამოცდილი მწვრთნელის **ჰარი რედნაპის** დამსახურებაა და „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" გამარჯვების შემდეგ მას დამსახურებულად გადაასხეს... დიდი ვედრო ცივი წყალი. მაგრამ, გაწუწული რედნაპის სიხარული ამ ცივმა წყალმა ვერ ჩააქრო და ან კი როგორ ჩააქრობდა, როდესაც შეხვედრის 82-ე წუთზე **პიტერ კრაუჩის** თავურმა „დეზებიანი გუნდი" მეოთხე ადგილზე გაიყვანა, რაც პოტენციურ 50 მილიონ ფუნტს ნიშნავს. პრესკონფერენციაზე გაწუწულმა რედნაპმა თქვა:

*„სრულიად გალუმპული, მაგრამ ბედნიერი ვარ, რადგან ეს ჩემი გალუმპვა კლუბის გამარჯვების ნიშანია. სეზონის დასაწყისში მეგონა, რომ ოთხეულში მოხვედრას „მანჩესტერ სიტის" მეტი ვერავინ შეძლებდა. ვფიქრობდი, ჩვენ შვიდეულში მოვხვდებოდით და ევროლიგის საგზურს მოვიპოვებდით, მაგრამ, აი, როგორ დასრულდა ეს ყველაფერი და ამიტომაც ვარ ბედნიერი".*

რედნაპმა, „სფურზი" წელიწად-ნახევრის წინ ჩაიბარა. მაშინ გუნდს რვა თამაშიდან ორად ორი ქულა ჰქონდა მოპოვებული. მწვრთნელი იგონებს: *„პირველად რომ მოვედი, კლუბის თავმჯდომარე შეშინებული იყო, გავვარდებითო. ახლა, ორი წუთის წინ კი რა მკითხა, იცით? კვირას „არსენალი" ვის ეთამაშება, იქნებ მესამე ადგილსაც გამოვკრათ ხელიო. აი, ასეთ პოზიციამდე ამაღლება დიდი საქმეა. მე ამ შედეგს „პორტსმუთთან" ერთად ფეხბურთის ასოციაციის თასის მოპოვებაზე გაცილებით მაღლა ვაყენებ. ჩემპიონატი რამდენიმე თამაშისგან ხომ არ შედგება, ჩვენ 38 ტურში მყარი და კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ".*

ზემოთ ვახსენეთ, რომ „ტოტენჰემი" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა პირველად, მაგრამ თუ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ „სფურზი" ევროშეჯიბრებაში 1961 წლის შემდეგ არ გასულა. და მას მართლა შეუძლია „არსენალის" მესამე ადგილიდან ჩამოგდება. ამისათვის კვირას, ბოლო ტურში, ორი ანგარიშის თანხვედრაა საჭირო. „ტოტენჰემმა" „ბარნლი" უნდა დაამარცხოს, ხოლო „მეთოფეებმა" ევროლიგის ფინალისტთან „ფულჰემთან" წააგოს.

დღეს ინგლისური გაზეთები წერენ, რომ „სიტის" მეპატრონემ შეიხ **მანსურმა** ისტლენდელთა კლუბში ორ წელიწადში 250 მილიონი ფუნტი ჩადო და მეოთხე ადგილზეც კი ვერ მოახერხა გასვლა. ახლა ამბობენ, რომ მორიგი წარუმატებლობა „სიტის" მწვრთნელს **რობერტო მანჩინის** თანამდებობის დაკარგვად დაუჯდება, მაგრამ თავად იტალიელმა იუარა:

*„ვფიქრობ, მე კიდევ ერთი სეზონით დამტოვებენ. ან კი, რატომ არ უნდა დამტოვონ? ახლა ფეხი დაგვიცდა, მომავალ სეზონში კი აშკარად უკეთესად ვითამაშებთ".*

„ტოტენჰემთან" შეხვედრაში ისტლენდელთა ნახევარმცველმა **გარეთ ბერიმ** კოჭი იტკინა, მაგრამ, როგორც ექიმები ამბობენ, სერიოზული არაფერია და ფეხბურთელი სამშაბათს ინგლისის ნაკრების 30-კაციან შეკრებაზე გაემგზავრება.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტოტენჰემელთა გამარჯვების გოლი კრაუჩმა გაიტანა, რომელმაც, სავარაუდოდ, ნაკრების მწვრთნელ **ფაბიო კაპელოზეც** დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არადა, სწორედ კრაუჩი გახლავთ ის ფეხბურთელი, რომელსაც ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „პორტსმუთთან" დამარცხება დაჰბრალდა. როგორ? მაღალმა ფორვარდმა უამრავი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. და ვინ იცის, კრაუჩი ისტლენდზე გამართულ შეხვედრაშიც იმავეს შიშობდა: მე-18 წუთზე ჯარიმიდან **გარეთ ბეილის** ჩაწოდებულ ბურთს კრაუჩმა თავი მიჰკრა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ამ ამბიდან სამი წუთის შემდეგ **ლედლი კინგმა** კუთხურიდან ჩაკიდებულს მიუჩინა ადგილი ბადეში - გოლი არ ჩათვალეს. მსაჯმა **სტივ ბენეტმა** მიიჩნია, რომ კინგი დარტყმამდე გარეთ ბერის შემოასკუპდა. საკუთარ საჯარიმოში დაბრუნებული კინგი ცოტა ხნის შემდეგ **კარლოს ტევესის** დარტყმულს გადაეღობა, რასაც „სფურზის" მეკარის **ეურელიო გომეშის** კარგი თამაში მოჰყვა. ამას, თავის მხრივ, მოჰყვა ბერის ჩაწოდება, რომელსაც ტევესი ვერ შესწვდა, მაგრამ ბურთი გაოცებულ **ადამ ჯონსონს** ზურგში მოხვდა და გომეშის თავგამოდება რომ არა, კარში შედიოდა. შემდეგ იყო კუთხური, რომლიდან ჩაწოდებული ბურთის ლონდონელთა კარში შეგდებას **კოლო ტურე** ლამობდა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა.

**აარონ ლენონმა**, რომელიც ამ წელიწადს პირველად თამაშობდა „სფურზის" ძირითად შემადგენლობაში, კვლავ კრაუჩს ჩააწოდა, მაგრამ მის თავურს ბეილიმ გაუკრა და ბურთი მიზანს სანტიმეტრებით ასცდა. თავი გამოიჩინა „სანდერლენდიდან" **შეი გივენის** შემცვლელად ნაქირავებმა უნგრელმა მეკარემ **მარტონ ფულოპმაც** - მან **ჯერმაინ დეფოს** დარტყმული მოიგერია დიდებულად. ფულოპმავე მოიგერია კრაუჩის მორიგი თავური, თუმცა 82-ე წუთზე „ტოტენჰემის" შეტევა გოლით დასრულდა - ამ ეპიზოდში „სიტის" გოლკიპერმა **იონ ქაბულის** ძლიერ დარტყმულს მხოლოდ მიმართულება შეუცვალა, იქ კი მის მცველებს კრაუჩმა დაასწრო...

ლონდონში კი, **მეტიუ ეზერინგტონის** გვიანმა დარტყმამ ევროლიგის ფინალისტი „ფულჰემი" დაამარცხა. „სტოკის" გამარჯვება რასაკვირველია მოულოდნელობა იყო. ეს გახლდათ „ფულჰემის" მეხუთე დამარცხება შინ, **ტონი პულისის** გუნდი კი მეათე ადგილზე გადაბრძანდა. საინტერესოა, რომ მასპინძელთა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** ამ შეხვედრაში თავისი საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა, მაგრამ როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა თავისი გაიტანა - ევროლიგის ფინალისტს პრემიერლიგაში ერთი ადგილი ზევით და ერთი ადგილი ქვემოთ გულის სიღრმეში შეიძლება არც ადარდებდა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეზერინგტონის გოლი ჩასათვლელი არ იყო და ეს ჰოჯსონმა პრესკონფერენციაზე სწორად დაიჩივლა. საქმე ის გახლავთ, რომ ეზერინგტონამდე გზად ბურთი თურქ ვარსკვლავ **თინჩაის** ხელზე მოხვდა.

*„წაგება ძალიან სამწუხაროა, მით უფრო, როდესაც ხედავ, რომ გოლი წესების აშკარა დარღვევით გაგიტანეს"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ „ფულჰემის" თავკაცმა.



დევიდ ბენტლი, პიტერ კრაუჩი, რომან პავლიუჩენკო და ლუკა მოდრიჩი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას ზეიმობენ

### მანჩეს. სიტი–ტოტენჰემი 0:1

**მანჩესტერ სიტი:** ფულოპი, საბალეტა, ტურე, კომპანი, ბრიჯი, დე იონგი, ბერი (56. ვიეირა), ჯონსონი (72. რაიტ-ფილიპსი), ბელამი (84. სანტა კრუსი), ტევესი, ადებაიორი.

**ტოტენჰემი:** გომესი, ქაბული, დოუსონი, კინგი, ასუ-ეკოტო, ლენონი (71. ბენტლი), ჰადლსტოუნი, მოდრიჩი (89. პალასიოსი), ბეილი, კრაუჩი, დეფო (81. პავლიუჩენკო).

**გოლი:** 0:1 კრაუჩი (82)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 13-13 (3-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 47 330

### ფულჰემი–სტოკ სიტი 0:1

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი (86. ოკაკა-ჩუკა), ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, დაფი (45. ნიველენდი), მერფი, ეტუჰუ, დევისი, გერა, დემპსი.

**სტოკ სიტი:** ბეგოვიჩი, უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, ჰიგინბოთემი, დილეპი, უილანი, უაიტჰედი, ეზერინგტონი (88. დიაო), ფულერი (90. ლოურენსი), სიდიბე (72. თუნჯაი).

**გოლი:** 0:1 ეზერინგტონი (83)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 7-6; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 13-7 (3-2); **ბურთის ფლობა:** 63-37%.

**მაყურებელი:** 20 831

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 37 | 26 | 5 | 6 | 95-32 | 83 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 37 | 26 | 4 | 7 | 82-28 | 82 |
| 3. არსენალი | 37 | 22 | 6 | 9 | 79-41 | 72 |
| 4. ტოტენჰემი | 37 | 21 | 7 | 9 | 65-37 | 70 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 37 | 18 | 12 | 7 | 72-43 | 66 |
| 6. ასტონ ვილა | 37 | 17 | 13 | 7 | 52-38 | 64 |
| 7. ლივერპული | 37 | 18 | 8 | 11 | 61-35 | 62 |
| 8. ევერტონი | 37 | 15 | 13 | 9 | 59-49 | 58 |
| 9. ბირმინგემი | 37 | 13 | 11 | 13 | 37-45 | 50 |
| 10. სტოკი | 37 | 11 | 14 | 12 | 36-45 | 47 |
| 11. ბლექბერნი | 37 | 12 | 11 | 14 | 40-55 | 47 |
| 12. ფულჰემი | 37 | 12 | 10 | 15 | 39-42 | 46 |
| 13. სანდერლენდი | 37 | 11 | 11 | 15 | 47-54 | 44 |
| 14. ბოლტონი | 37 | 9 | 9 | 19 | 40-66 | 36 |
| 15. უიგანი | 37 | 9 | 9 | 19 | 37-71 | 36 |
| 16. ვულვზი | 37 | 8 | 11 | 18 | 30-55 | 35 |
| 17. ვესტ ჰემი | 37 | 8 | 10 | 19 | 46-65 | 34 |
| 18. ჰალი | 37 | 6 | 11 | 20 | 34-75 | 29 |
| 19. ბარნლი | 37 | 7 | 6 | 24 | 38-80 | 27 |
| 20. პორტსმუთი | 37 | 7 | 7 | 23 | 34-65 | 19* |

**ილია ბაბუნაშვილი**

იუვენტუსი


სებასტიან ჯოვინკო

# ჯოვინკოს ტრანსფერზე აყენებენ

„გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „იუვენტუსის“ მესვეურებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება **სებასტიან ჯოვინკოს** გასხვისების თაობაზე. მიმდინარე სეზონში, იმედისმომცემი ფეხბურთელი მხოლოდ რვაჯერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში და რა გასაკვირია, რომ ამჟამინდელი ყოფით არცთუ კმაყოფილია. ჯოვინკოს პირდაპირ დაუყენებია საკითხი: ან სასტარტოში უნდა ვითამაშო, ან ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში სხვა გუნდში გამიშვითო. გარანტიების რა მოგახსენოთ და გასხვისებას კი დაჰპირდნენ - დასრულდება თუ არა სეზონი, ჯოვინკო ტრანსფერზე დადგება, მისი სავარაუდო ფასი კი 15 მილიონი ევრო იქნება.

აქედანვე ცნობილია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელის გადაბირება „უდინეზეს“, „ფიორენტინას“ და „სამპდორიას“ სურთ. ასე რომ, ჯოვინკო უკლუბოდ ნამდვილად არ დარჩება. თუ „გაძეტას“ დავუჯერებთ, სებასტიანის სიმპათიები „სამპასკენ“ იხრება, მაგრამ ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული, მოიპოვებს თუ არა გენუური კლუბი ჩემპიონთა ლიგის საგზურს.

კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ, რომელიც ასევე „იუვენტუსს“ ეხება. ტურინულ გრანდს არაერთი ფეხბურთელი ჰყავს განათხოვრებული და სეზონის დასრულების შემდეგ, მათი ბედიც უნდა გადაწყდეს. ერთ-ერთი ასეთთაგანი **დომენიკო კრიშიტო** გახლავთ, რომელიც იჯარის წესით „ჯენოაში“ ასპარეზობს. ტურინული გრანდის მესვეურებს ჯერჯერობით არ დაუფიქსირებიათ პოზიცია ახალგაზრდა უკანახაზელის დაბრუნება-არდაბრუნების შესახებ, თავად ფეხბურთელს კი გენუაში სურს დარჩენა. აი, რას ამბობს კრიშიტოს პირადი აგენტი **სანდრო ჯედა**:

*„მოლაპარაკებები მალე დაიწყება და იმედია, წარმატებით დასრულდება. „ჯენოას“ მესვეურებს დიდი სურვილი აქვთ, რომ კრიშიტო შეინარჩუნონ. რაც მთავარია, ამის წინააღმდეგი არც თავად დომენიკოა. გენუაში თავს ბედნიერად გრძნობს და ამ ეტაპზე, გუნდის გამოცვლის სურვილი არ აქვს. იმედია, გაითვალისწინებენ თვითონ ფეხბურთელის ნებას და კრიშიტო „ჯენოაში“ გააგრძელებს ასპარეზობას“.*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## პარკი და შმაიხელი ბაიერნში?

ორიოდ დღის წინ, „ბაიერნის“ მენეჯერმა **კრისტიან ნერლინგერმა** განაცხადა, რომ რეკორდმაისტერი ზაფხულში ახალი ფეხბურთელებით აუცილებლად გაძლიერდება. ინგლისური მედია კი წერს, რომ მიუნხენური კლუბი „ნოთსის“ მეკარე **კასპერ შმაიხელს** და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველ **ჯი სუნ პარკს** უმიზნებს. 23 წლის შმაიხელი „მანჩესტერ სიტის“ საკუთრებაა (ხუთწლიანი კონტრაქტი). რაც შეეხება პარკს: ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, „ბაიერნი“ მზადაა, 29 წლის კორეელში 7 მილიონი ევრო გადაიხადოს. პარკს „მანჩესტერთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## ვან ნისტელროი: ჰამბურგში ვრჩები!

ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა **რუუდ ვან ნისტელროიმ** ბოლო მოულო მითქმა-მოთქმას, თითქოს ზაფხულში „ჰამბურგის“ დატოვებას აპირებდეს. „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ თავისი თამაშითა და გუნდის წარუმატებლობებით უკმაყოფილოა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვაგან გადასვლა უნდა. ვან ნისტელროი ამბობს, 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონშიც „ჰამბურგის“ ღირსებას დავიცავო.

**გოტფრიდ ლენცი**

## ტოშიჩს რიგი დაუდგა, მანიშე წავა

ბუნდესლიგის მეორე წრე „კიოლნის“ ნახევარმცველმა **ზორან ტოშიჩმა** შესანიშნავად ჩაატარა და გერმანიის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ფლანგის ნახევარმცველად ჩამოყალიბდა. „კიოლნის“ ხელმძღვანელებს ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ძალიან უხარიათ, მაგრამ მთლად ბედნიერებიც ვერ იქნებიან, რადგან სერბ ნახევარმცველს ძალიან ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა. „ბილდის“ ინფორმაციით, 23 წლის ტოშიჩით, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკუთრებაა, „კიოლნში“ კი არენდის წესით თამაშობს, დორტმუნდის „ბორუსია“, „ლევერკუზენი“ და „ვერდერი“ დაინტერესდნენ.

სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „კიოლნს“ პორტუგალიელი საყრდენი ნახევარმცველი **მანიშე** დატოვებს. ფეხბურთელმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს განუცხადა, რომ „თხებში“ არაფრის დიდებით არ დარჩება.

**გოტფრიდ ლენცი**

საფეხბურთო შოუ ბიზნესი


მარცხნიდან: სალი მუნტარი, ლენდონ დონოვანი, კაკა, სამუელ ეტო'ო, პატუ

# როკმენები და ფოტომოდელები

„ჩელსის“ წყვილი - **ფლორენ მალუდა** და **დიდიე დროგბა** - თავის როკ ჯგუფს აყალიბებს. პროექტში შესაძლოა „სტემფორდ ბრიჯის“ სხვა ვარსკვლავებმაც მიიღონ მონაწილეობა. როგორც ინგლისური პრესა იტყობინება, მუსიკალურ სამყაროში ეს ყველაზე დიდი საფეხბურთო ამბავია მას მერე, რაც **დაიონ დაბლინმა** დუბის სახელით ცნობილ დასარტყმელ ინსტრუმენტზე დაიწყო დაკვრა. შეგახსენებთ, რომ დაბლინი გახლავთ ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი, რომელიც თავის დროზე პრემიერლიგის ბევრ გუნდში გამოდიოდა. მათ შორის იყო „მანჩესტერ იუნაიტედიც“, რომლის შემადგენლობაშიც 12 შეხვედრა აქვს ჩატარებული. დუბის დამრტყმელმა, რომელიც დღეს ტელეკომპანია „სქაი სპორტში“ მიმომხილველად მუშაობს, ინგლისის ნაკრების მაისურაც მოირგო ოთხჯერ.

თუმცა, დავუბრუნდეთ „ლურჯებს“, რომელთა ჯგუფის ლიდერი მალუდაა, დროგბა კი ბას გიტარაზე უკრავს. ამ საქმეში მას ცნობილი ჰაიტელი მუსიკოსი **უიკლიფ ჯინი** ავარჯიშებს. მალუდამ ჟურნალისტებს განუცხადა:

*„ჩვენ ჯერ გზის დასაწყისში ვართ და გვინდა რაღაც განსხვავებული შევქმნათ. როდესაც მივიჩნევთ, რომ რასაც ვეძებდით, მივაგენით და მზად ვართ, შედეგს გაჩვენებთ“.*

ფრანგი გარემარბი, რომელიც ამ დღეებში დროგბასთან ერთად ლონდონში კინგს როუდზე ბუტიკ Jada Styles-ის გახსნაზე გახლდათ მიწვეული, იმედოვნებს, რომ მის როკ-ჯგუფს თანაგუნდელები **ჯონ ტერი** და **ჯო კოულიც** შეუერთდებიან. მალუდას საყვარელი როკ ჯგუფი (ალტერნატიულ როკს უკრავს) გახლავთ „ქოლდფლეი“ და „ჩელსის“ ნახევარმცველს იმედი აქვს, რომ მათი ბენდი სწორედ „ქოლდფლეის“ გაუწევს კონკურენციას.

მალუდამ დასძინა: *„ჩვენთან, გუნდში ბევრი კარგი მომღერალია, მაგრამ მათ შორის ტერი და ჯო კოული გამოირჩევიან. რაც შეეხება „ქოლდფლეის“... მე ამ ჯგუფის კონცერტს „უემბლიზე“ დავესწარი და მინდა გითხრათ, რომ ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი რამ, რასაც ოდესმე დავსწრებივარ. მე ცოცხალი მუსიკა მიყვარს და კონცერტებზე ხშირად დავდივარ. მიყვარს ჯგუფები, რომელთაც ხალხის აყვანა შეუძლიათ“.*

და კიდევ ერთი ცნობა ფეხბურთელთა გლამურული ცხოვრებიდან: სელებრითი ფოტოგრაფმა **ანი ლეიბოვიცმა** ცნობილი ფეხბურთელები თავიანთი ეროვნული ფერების საცვლებში გადაიღო. ლეიბოვიცის ფოტოზე მოხვდნენ განელი **სალი მუნტარი**, ამერიკელი **ლენდონ დონოვანი**, ბრაზილიელები **კაკა** და **პატუ**, ასევე კამერუნელი **სამუელ ეტო'ო**. ეს ყველაფერი ჟურნალ Vanity Fair-ისთვის გაკეთდა, რომლის პირველ გვერდზე **დიდიე დროგბა** და **კრიშტიანო რონალდო** მოხვდნენ.

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# როგორ გახდა ვან გაალი ვან გენიალური

## ტურინში გადარჩენილი ტიტების გენერალის ბრწყინვალე სეზონის ქრონიკა



ლუის ვან გაალი

ბევრი ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ მიუნხენის „ბაიერნის" წარმატებები პირველ რიგში **ლუის ვან გაალის** დამსახურებაა. რეკორდმაისტერი რომ ასეთ სეზონს ჩაატარებდა, ამას არათუ სეზონის დასაწყისში, არამედ, იანვარშიც კი ვერავინ წარმოიდგენდა. ზამთარში საქმე იქამდე მივიდა, რომ ჰოლანდიელ მწვრთნელს გათავისუფლების საფრთხეც კი ემუქრებოდა. ახლა კი გერმანიის ჩემპიონია!

ზუსტად ერთი წლის წინ, ლუისმა „ალკმაარი" ჰოლანდიის ჩემპიონი გახადა და მერე მიუნხენს მიაშურა, სადაც დეკემბერში მის გაგდებას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ დეკემბრიდან „ბაიერნმა" უდიდესი პროგრესი განიცადა და ამ უქმეებზე გერმანიის ჩემპიონობა გაინაღდა. უფრო მეტიც: ვან გაალი ჰეთ-თრიკს უმიზნებს!

*„ორი აზრი არ არსებობს, ჩემპიონობა თავდაჯერებას გაგვიორმაგებს. ფანები და ხელმძღვანელები კმაყოფილები არიან, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს? ველოდებოდი, რომ გერმანიის ჩემპიონობას ამ უქმეებზე გავინაღდებდით და სწორედ ამიტომ დავპატიჟე თამაშზე ჩემი ორი ქალიშვილი და შვილიშვილი,"* - ამბობს ლუისი. კმაყოფილები კი არა, „ბაიერნის" გულშემატკივრებს და ბოსებს ვან გაალი უკვე სიგიჟემდე უყვართ...

ლუისმა რეკორდმაისტერში მუშაობა პირველ ივლისს გამართული პრესკონფერენციით დაიწყო, სადაც ჩვენი გერმანელი კოლეგების წინაშე, საკმაოდ კარგი გერმანულით წარდგა. მისი პირველი სიტყვები იყო: *„ცხოვრების ბავარიული წესი ჩემთან ძალიან ახლოსაა. შეიძლება ითქვას, რომ მეც ბავარიული სულისკვეთება მაქვს: თავდაჯერებული ვარ, აროგანტი, დომინანტი, გულახდილი, მუშა, სიახლეების მოყვარული, ერთი შეხედვით ცივი, მაგრამ თბილიც და ოჯახურიც."*

დროთა განმავლობაში გამოჩნდა, რომ ამ ყველაფერთან ერთად ლუისი უშიშარიცაა, თანაც, აბსოლუტურად უშიშარი. ჰოლანდიელი მწვრთნელი ამაყად აცხადებდა, ჩემი ქალიშვილებიც კი თქვენობით მელაპარაკებიანო, რითაც ბევრი გააოცა. „ბაიერნის" პრეზიდენტი **ული ჰიონესი**, რომელმაც ამ ერთი წლის განმავლობაში ლუისთან ერთად არაერთი საღამო გაატარა, მასთან ერთად არაერთი ჭიქა წითელი ღვინო შესვა, ამბობს: *„ლუისი გენიალური პიროვნებაა. ის არის დიდი გამოწვევა ჩვენთვის, ყველასთვის!"*

ყველაფერთან ერთად, ლუისი თავნებაცაა. მან უარი თქვა 31 წლის ბრაზილიელ მცველ **ლუსიოზე**, რომელიც მანამდე ხუთი წლის განმავლობაში რეკორდმაისტერის დაცვის ბურჯი იყო. „ბაიერნის" ქომაგებს მაშინ ეს ამბავი ძალიან გაუკვირდათ, დღეს კი ლუსიოს არსებობა მხოლოდ იმიტომ ახსოვთ, რომ რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგის ფინალში მილანის „ინტერს" ხვდება და ლუსიო სწორედ „ნერაძურის" ღირსებას იცავს.

კიდევ უფრო გასაკვირი იყო იტალიელი **ლუკა ტონიზე** უარის თქმა. 32 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მანამდე ხომ „ბაიერნის" ნომერი პირველი გოლეადორი და გულშემატკივრების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი გახლდათ. მუდამ კარგ ხასიათზე მყოფმა იტალიელმა ერთხელაც ნერვები ველარ მოთოკა და ვარჯიშზე ვან გაალს უყვირა. ზამთარში კი, ტონიმ მიუნხენი დატოვა და „რომაში" გადავიდა.

ლუისმა მიუნხენში ახალგაზრდა ფეხბურთელების ალმოჩენას მიჰყო ხელი, რითაც თავის ერთ-ერთ უსაყვარლეს საქმიანობას შეუდგა. ვან გაალი ამბობდა, გამოცდილ და ყველაფრის მნახველ მოთამაშეებს, რომლებსაც მოტივაცია აღარ აქვთ, მირჩევნია, შანსი ახალგაზრდებს მივცეო. პირველივე ვარჯიშზე მან ქებით ცაში აიყვანა 21 წლის მცველი **ჰოლგერ ბადშტუბერი**, რომელსაც მანამდე მხოლოდ რეკორდმაისტერის თავგადაკლული ფანები თუ იცნობდნენ. მას მერე, ბადშტუბერი „ბაიერნის" ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრია და რაც მთავარია, შესანიშნავად თამაშობს. იგივე ითქმის 20 წლის ფორვარდ **თომას მიულერზეც**, რომელსაც ვან გაალმა ასევე გამოუცხადა ნდობა და როგორც გამოჩნდა, სავსებით სამართლიანადაც - მიულერმა ამ სეზონში 13 გოლის გატანა შეძლო და აჯობა, როგორც „შტუტგარტიდან" 30 მილიონ ევროდ შეძენილ **მარიო გომესს** (10 გოლი), რომელიც „ბაიერნის" ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა, ისე **ივიცა ოლიჩსაც** (10 გოლი). ზოგადად კი, მიულერზე მეტი გოლის გატანა, რეკორდმაისტერიდან ბუნდესლიგაში მხოლოდ **არიენ რობენმა** შეძლო.

რობენიც ის კაცია, რომელიც ვან გაალმა თავის დროზე ჰოლანდიის 19-წლამდელთა ნაკრების წევრად აქცია იმ დროს, როცა არიენი მხოლოდ 17 წლის იყო. სწორედ ვან გაალმა მოითხოვა 26 წლის რობენის გადაბირება მადრიდის „რეალიდან". შედეგი ყველასათვის კარგადაა ცნობილი.

ვან გაალი წესრიგისა და დისციპლინის მოყვარული სპეციალისტია. ამასთან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყოვლად უშიშარი. ამის დასტურად თუნდაც შემდეგი მაგალითის მოყვანაა საკმარისი: მაინცში განცდილი მარცხის (1:2, მე-3 ტურში) შემდეგ, ლუისმა გუნდის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** უბრძანა, თვითმფრინავში სხვა ადგილზე უნდა გადაჯდეო და... რუმენიგემ მას დაუჯერა! საქმე ის იყო, რომ კალე შემთხვევით მწვრთნელისთვის განკუთვნილ ადგილზე მოკალათებულიყო. იმ მომენტში, გერმანული გაზეთები წერდნენ, რომ „ბაიერნმა" ბოლო 43 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი სტარტი აიღო ბუნდესლიგაში. რუმენიგეს ვან გაალისთვის უთქვამს: *„სიამოვნებით გადავჯდები ხოლმე, თუკი მომავალ თამაშებს მოვიგებთო..."*

„ბაიერნის" პრობლემა იყო ის, რომ ფეხბურთელებს გაუჭირდათ ლუისის ტაქტიკური წარმოდგენების გათავისება. კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** იხსენებს: *„ყოველთვის კარგად გვესმოდა, რას გვთხოვდა მწვრთნელი, მაგრამ მისი დავალებების შესრულება, უბრალოდ, არ შეგვეძლო!"* შედეგი: 3 ოქტომბერს, „კიოლნთან" 0:0-ის შემდეგ, „ბაიერნი" სატურნირო ცხრილში მერვე ადგილამდე ჩამოქვეითდა და იმ მომენტისთვის, ლიდერ „ლევერკუზენს" მთელი რვა ქულით ჩამორჩებოდა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ლუისმა თქვა, მე ღმერთი ვარ და ყველაფერი უნდა დამიჯეროთო. ამ სიტყვების მერე თვითონ იცინოდა, სხვები კი დუმდნენ.

არადა, ვითარება უფრო და უფრო მძიმდებოდა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მიუნხენურ კლუბს ოთხი თამაშის შემდეგ მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული და ჯგუფში ჩარჩენის საფრთხე ემუქრებოდა. კრიტიკოსები კი უკვე წერდნენ, ვან გაალს **იურგენ კლინსმანზე** უარესი შედეგი აქვსო. შედეგად, ყველა ალაპარაკდა იმაზე, რომ ცოტაც და ვან გაალს გაათავისუფლებდნენ. დაირხა ხმები, რომ „ბაიერნის" შეფები **გუუს ჰიდინკზე**, **თომას შააფსა** და **მათიას ზამერზე** ფიქრობდნენ.

მაგრამ ზუსტად იმ დროს, როცა ვან გაალის გაგდება გარდაუვალი ჩანდა, გუნდმა აღმასვლა დაიწყო! ჯერ იყო იმედისმომცემი გამარჯვება ჰაიფას „მაქაბისთან" (1:0), რის შემდეგაც, „ბაიერნის" მისიონერთა ყოველწლიურ შეკრებაზე, 4500-მა წევრმა ლუისს კი არ უსტვინა, არამედ ტაში დაუკრა. ამას მოჰყვა „ბაიერნის" ყველაზე მთავარი, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, გარდამტეხი გამარჯვება ტურინში, „იუვენტუსთან". იმ შეხვედრაში იტალიურ გრანდს ფრეც აწყობდა იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასულიყო, „ბაიერნი" კი ჯგუფში ჩაეტოვებინა. თანაც, ტურინელები მასპინძლები იყვნენ და **დავიდ ტრეზეგეს** გოლით, იგებდნენ კიდეც. ყველას გეხსომებათ: რეკორდმაისტერმა ის თამაში 4:1 მოიგო და სენსაციურად გავიდა მერვედფინალში. მატჩის მერე **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, როგორც იქნა, ფეხბურთელებმა ვან გაალს გაუგეს, მისი დავალებები ზუსტად შეასრულესო.

მეორე წრეში მიუნხენელები ყველგან და ყველაფერში დომინირებენ. მთავარი კონკურენტი, **ფელიქს მაგათის** „შალკე" გერმანიის თასზეც დაამარცხეს და ბუნდესლიგაშიც. ჩემპიონთა ლიგაში ფლორენციის „ფიორენტინა", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლიონი" „გაისტუმრეს საიქიოს". ბოლო გაჩერებები: თასზე „ვერდერი", ჩემპიონთა ლიგაში კი „ინტერი". თუმცა ბავარიელებმა „ვერდერთან" და „ინტერთან" რომც ვერ მოიგონ, სეზონი მაინც უმაღლეს დონეზე ჩატარებულად ჩაეთვლებათ.

პრეზიდენტმა ჰიონესმაც შვებით ამოისუნთქა: *„კიდევ კარგი, რომ შემოდგომაზე ან ზამთარში შეცდომა არ დავუშვით და ვან გაალი არ გავათავისუფლეთ."* ული ცამდე მართალია...

დაბრუნება

# წითელი ეშმაკები მოდიან!

## ოთხი წლის შემდეგ, კაიზერსლაუტერნი პირველ ბუნდესლიგაში ბრუნდება



კაიზერსლაუტერნი კვლავ ელიტაშია

ზუსტად ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ყველაზე „ცეცხლოვანი" გერმანული კლუბი „კაიზერსლაუტერნი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში, პფალცურ კლუბს არცთუ სახარბიელო დროება ედგა. ერთი ხანობა, „ლაუტერნს" მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნის საფრთხეც კი ემუქრებოდა - ეს იმ დროს, როცა საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ჯერ კიდევ „კაიზერსლაუტერნის" ცოცხალი ლეგენდა და ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი **კლაუს ტოპმიოლერი** წვრთნიდა. მაშინ ტოპი პფალცელებმა მრჩევლადაც კი მიიწვიეს. იმ წელს 1. FCK რეგიონალლიგაში გავარდნას ბოლო ტურში გადაურჩა.

წელს კი „წითელმა ეშმაკებმა" მთელი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარეს და 1441-დღიანი ტანჯვის შემდეგ, ელიტაში ბრუნდებიან - იქ, სადაც მათი ადგილია. *„ჩვენ პირველი ბუნდესლიგიდან ალარასოდეს არ გავვარდებით. პირობას ვდებ, რომ „კაიზერსლაუტერნი" მომავალ სეზონს, პირველ ბუნდესლიგაში ღირსეულად ჩაატარებს,* - ეს გუნდის ბოსის, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **შტეფან კუნტცის** სიტყვებია, - *ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მთავარ მწვრთნელ მარკო კურცს, რომელმაც შეძლო და დაგვაბრუნა იქ, სადაც ჩვენი ადგილია. მარკო ყველა თვალსაზრისით მისაბაძი მაგალითია. მან ზუსტად იცის, როგორ უნდა მოექცეს თითოეულ ფეხბურთელს. კურცმა „კაიზერსლაუტერნს" თავისი სახე დაუბრუნა!"*

**შტეფან კუნტცი** „წითელი ეშმაკების" ბოსად ორი წლის წინ დაინიშნა, როცა გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნის პირას იყო მისული და ორ წელიწადში შეძლო ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ელიტაში დაბრუნდებოდა. მისი კონცეფციის მიხედვით, „ლაუტერნი" სამ წელიწადში გახდება გუნდი, რომელიც ევროტურნირების საგზურებისთვის იბრძოლებს. ხუთ წელიწადში კი, პფალცელებმა გერმანიის ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლონ. თუმცა გამორიცხული არაა, რომ კაიზერსლაუტერნელებს ჰქონდეთ იმის იმედი, რაც ამ გუნდმა ერთხელ უკვე შეძლო - ჩემპიონობა ელიტაში ალზევებისთანავე.

წლევანდელი „ლაუტერნის" მთავარი თავდამსხმელები **ერიკ იენდრიშეკი** და **სიდნი სემი** არიან. პირველი 14 გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირია, უკანასკნელის ანგარიშზე კი 10 გოლია. არცთუ ისე ნაყოფიერი სეზონი ჰქონდა მთავარ ფორვარდ **სრდიან ლაკიჩს** (7 გოლი). ნახევარდაცვაში მთავარი გმირები **ირჟი ბილეკი** (27 მატჩი), **ივო ილიჩევიჩი** (29 მატჩი, 4 გოლი), **გეორგეს მანდჯეკი** (30 მატჩი), **ბასტიან შულცი** (16 მატჩი, 1 გოლი), **დრაგან პალიჩი** (17 მატჩი, 1 გოლი) და **მარკუს შტაინჰიოფერი** (14 მატჩი, 2 გოლი) არიან. დაცვის ცენტრში ბრწყინვალე ტანდემს ქმნიან **მარტინ ამედიკი** და ბრაზილიელი **როდნი**. მათთან ერთად, გამოირჩევიან **ალექსანდერ ბუგერა** და **ფლორიან დიკი**. კარს კი ახალგაზრდა **ტობიას ზიპელი** იცავს, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

კუნტცმა და **კურცმა** უკვე დაიწყეს ახალი ფეხბურთელების შეძენაზე ზრუნვაც. მაგალითად, „ლაუტერნმა" უკვე გაიფორმა **კრისტიან ტიფერტი**, რომელიც პფალცში „დუისბურგიდან" (უფასოდ) გადადის. „ეშმაკებს" მაინცელი **ჩადლი ამრის** გადაბირებაც სურთ. სამაგიეროდ, „ლაუტერნმა" უკვე დაკარგა თავდამსხმელი იენდრიშეკი, რომელიც სეზონის დასრულებისთანავე „შალკეს" მიაშურებს.

გავრცელდა ცნობები, რომ პფალცელებმა შეიძლება, „ბაიერნიდან" **მიროსლავ კლოზე** გადაიბირონ. მირო ხომ ყოველთვის ამბობდა, რომ კარიერის ბოლო წლებს აუცილებლად მშობლიურ „კაიზერსლაუტერნში" გაატარებს - იქ, საიდანაც ის საფეხბურთო მსოფლიომ გაიცნო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# შვეიცარია

**შვეიცარიის ნაკრებს მსოფლიოს ფეხბურთის ლიდერების გვერდით ვერ დავაყენებთ. გუნდი რეგულარულად ხვდება მთავარ ტურნირებზე, მაგრამ დიდი გამარჯვებების მოპოვებას ვერ ახერხებს. გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად შვეიცარიელებმა ოტმარ ჰიტცფელდი მიიწვიეს.**



დორტმუნდის „ბორუსიასა“ და „ბაიერნის“ ცნობილი მწვრთნელისთვის შვეიცარია ნაცნობი ქვეყანაა. იქ მან მოთამაშის კარიერის დიდი ნაწილი გაატარა და იქვე დაიწყო სამწვრთნელო მოღვაწეობა. ორი წლის წინ გერმანიის ჩემპიონატის მეხუთედ მოგების შემდეგ („ბაიერნის“ მწვრთნელის რანგში სულ 7-ჯერ), ჰიტცფელდმა მიუნხენი დატოვა და თან ხმამაღლა განაცხადა, რომ სამუშაოთი დაიღალა. მაგრამ შვეიცარიის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლებმა შეძლეს მისი დაყოლიება, მით უმეტეს, რომ დიდ მწვრთნელს სანაკრებო მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია და ამიტომაც ცდუნებას ვერ გაუძლო.

უკვე დიდი ხანია შვეიცარიაში სახელმწიფო დონეზე დიდი ყურადღება ექცევა საბავშვო ფეხბურთს, რამაც ბოლო ათი წლის განმავლობაში რეალური შედეგი მოიტანა. ასაკობრივი ნაკრებები ხშირად ფავორიტის რანგში გვევლინებიან და ბუნებრივია, ამან ქვეყანას ბევრი კარგი ფეხბურთელი აჩუქა.

შვეიცარიულ სპორტულ სკოლებში არამხოლოდ ადგილობრივი იუნიორები, არამედ სხვა ქვეყნის ბავშვებიც ვარჯიშობენ. ასაკთან ერთად ყველაზე ნიჭიერი ბიჭების წინაშე დღის წესრიგში დგება ეროვნულ გუნდში გამოსვლის საკითხი. და ბევრი მათგანი ამ ალპური სახელმწიფოს სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს, რაშიც დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში სპორტისადმი დამოკიდებულება და ცხოვრების მაღალი დონე. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ატმოსფერო გუნდის შიგნით - ამას შვეიცარიაში უდიდესი ყურადღება ექცევა. ინტერნაციონალურ ნაკრებში ერთნაირად კომფორტულად გრძნობენ თავს ეთნიკურად გერმანელი **ალექსანდრ ფრაი**, იტალიელები - **დიეგო ბენალიო** და **ტრანკილო ბარნეტა**, სანახევროდ ესპანელი **ფილიპ სენდეროსი**, ეთნიკური თურქები - **გიოქჰან ინლერი** და **ერენ დერდიოკი**, კოსოველი ალბანელი **ვალონ ბეჰრამი**, კონგოელი **ბლეზ ნ'კუფო** და მწვანე კონცხის კუნძულიდან გამოსული **ჟელსონ ფერნანდეში**. მათი უმეტესობა შვეიცარიაში არ დაბადებულა, მაგრამ მზად არის თავისი ქვეყნის ღირსების დასაცავად.

■ ■ ■

80-იანი წლების მეორე ნახევარმა შვეიცარიას ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი აჩუქა. ერთდროულად ამდენი ძლიერი მოთამაშე ამ ქვეყანაში, ალბათ, არასოდეს დაბადებულა. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მათი უმეტესი ნაწილი ევროპულმა გრანდებმა დაიტაცეს. და აი, აქედან დაიწყო პრობლემები... დიდ კლუბებში მძაფრი კონკურენციის გამო, ბევრი იუნიორი უკლებდა თამაშსა და ზრდის ტემპს. თანაც, მოთამაშეთა შედეგები მათ მიმართ გაცემული ავანსების უკუპროპორციული იყო. ავიღოთ მაგალითად, ყველაზე ნიჭიერი იუნიორი **იოჰან ფონლანტენი**, რომელმაც 2004 წელს, 18 წლის ასაკში ეროვნულ გუნდში ხუთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. ის ტრიუმფალურად გაემგზავრა სერია A-ში სათამაშოდ, მაგრამ შემდეგ დიდი ხნით დაიკარგა მოკრძალებულ „ზალცბურგში“. „არსენალის“ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლეს იმედისმომცემმა ფილიპ სენდეროსმა და **იოჰან ჯურუმ**. რამდენიმე უსარგებლო წელი გაატარა „შტუტგარტში“ **დიეგო ბენალიომ**, ხოლო მისი პარტნიორი ახალგაზრდულ ნაკრებში - **ელდინ იაკუპოვიჩი** რუსეთში გადაიხვეწა და დღემდე არ გამოჩენილა. უსიამოვნო სიტუაციაში მოხვდა „მანჩესტერ სიტიში“ ჟელსონ ფერნანდეში: მან კარგად დაიწყო, მაგრამ კლუბმა მფლობელი შეიცვალა, ვარსკვლავები შეიძინა და შვეიცარიელი ღრმა რეზერვისტი გახდა.

მაგრამ შვეიცარიელი ფეხბურთელები ნაკრების გამო მზად არიან მსხვერპლად შესწირონ პირადი კარიერა. მუდმივი სათამაშო პრაქტიკისთვის გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ფრაი, **მარკო შტრელერი** და **ლუდოვიკ მანინი**. ამავე მიზეზით უფრო სუსტ გუნდებში არენდით გაემგზავრნენ სენდეროსი და ჟელსონ ფერნანდეში. ხოლო ძირითადი მეკარე ბენალიო ზამთარში ოპერაციას დათანხმდა, რათა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ფორმაში შესვლა მოესწრო. „ვოლფსბურგში“ ვერ მოიწონებდნენ ამგვარ პატრიოტიზმს, მაგრამ შვეიცარიელებისთვის ნაკრები მთავარი პრიორიტეტია.

■ ■ ■

ნაკრებში ძირითადი მეკარის როლი ულაპარაკოდ ბენალიოს ეკუთვნის. ამ გოლკიპერის კარიერა საკმაოდ რთულად ვითარდებოდა. ახალგაზრდული ნაკრების იმედისმომცემი მეკარე **ფელიქ მაგათის** „შტუტგარტში“ გადავიდა, სადაც სამი წელი ბუნდესნაკრების მეკარის **ტიმო ჰილდებრანდის** ჩრდილში მოექცა. მიხვდა რა სიტუაციის უპერსპექტივობას, შვეიცარიელი მოკრძალებულ პორტუგალიურ კლუბ „ნასიონალში“ გადავიდა, სადაც საკმარისად მიიღო სათამაშო პრაქტიკა. მაგათმა „ვოლფსბურგში“ გადასვლის შემდეგ შვეიცარიელი გაიხსენა და ბენალიოს გერმანიაში დაბრუნება შესთავაზა. მომდევნო სეზონში „მგლები“ ჩემპიონები გახდნენ, დიეგო კი ბუნდესლიგის საუკეთესო მეკარედ აღიარეს.

დაცვის ფლანგებზე არჩევანი საკმაოდ ღირსეულია. მარჯვნივ თამაში შეუძლიათ ვალონ ბეჰრამის („ვესტ ჰემი“) და **შტეფან ლიხშტაინერს** („ლაციო“). არის კიდევ **ფილიპ დეგენი**, თუმცა „ლივერპულის“ მცველს მცირე სათამაშო პრაქტიკა აქვს. შესაძლოა, აქ ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან რომელიმემ ნახევარდაცვაში ითამაშოს, როგორც ეს წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო. მაშინ დეგენისა და ბეჰრამის წყვილი მთელ ფლანგს კეტავდა, მოთამაშეები კი მორიგეობით მიდიოდნენ წინ. საპირისპირო ფლანგზე შეუძლიათ ითამაშონ ლუდოვიკ მანინს, რომელმაც „შტუტგარტი“ „ციურიხზე“ გაცვალა და **კრისტოფ შპიხერს** („აინტრახტი“). ეს ფეხბურთელები დიდი ხანია კონკურენტები არიან ნაკრებში და მორიგეობით ხვდებიან ძირითადში. შპიხერი მობილურია, საიმედო და დისციპლინირებული. მანინი კარგია შეტევაში და „მეორე სართულზე“ ბრძოლაში. ამასთან, ის ბევრ პრობლემას უქმნის მეტოქეებს, რადგან ათასგვარი პროვოკაციის ოსტატი გახლავთ.

ცენტრში სიტუაცია უფრო რთულია. ოთხი წლის წინ ისე ჩანდა, რომ ჯურუსა და სენდეროსის წყვილი დიდი ხნით დამკვიდრდა ნაკრებში, მაგრამ ახლა მათი პოზიციები ისეთი მყარი ვერ არის. პრაქტიკის ნაკლებობის გამო ჰიტცფელდი საერთოდ არ იძახებდა მათ ზოგიერთ შესარჩევ მატჩში. გერმანელი უპირატესობას **სტივ ფონ ბერგენს** („ჰერტა“) და **სტეფან გრიხტინგს** („ოსერი“) ანიჭებდა. ესენი გამოცდილი ოსტატები არიან და მართალია, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ საკმაოდ საიმედო თამაშით გამოირჩევიან. შესარჩევ ტურნირში ასევე თამაშობდა **მარიო ეგიმანი** გერმანიის „ჰანოვერიდან“, მაგრამ ამ სეზონში ის არადამაჯერებლად გამოიყურება.

ნახევარდაცვაში შემადგენლობა გაცილებით სტაბილურია. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ჰიტცფელდი უპირატესობას გიგანტურ და გამოცდილ **ბენიამინ ჰუგელს** ანიჭებს. ამასთან, „ბაზელის“ ფეხბურთელი „მეორე სართულსაც“ აკონტროლებს. მის გვერდით დგას ინლერი, ხოლო ბარნეტა და **მარკო პადალინო** ფლანგებზე მოქმედებენ. ამ უკანასკნელმა მთელი შესარჩევი ციკლი ითამაშა, მაგრამ სავარაუდოდ, ძირითადში ადგილს დაუთმობს გამოჯანმრთელებულ ბეჰრამის. ნებისმიერ დროს მზად არიან მოედანზე გასასვლელად **რეტო ციგლერი**, **პირმინ შვეგლერი** და ჟელსონ ფერნანდეში.

ჰიტცფელდის ნამდვილ აღმოჩენად იქცა ბლეზ ნ'კუფო. ეს ფორვარდი 35 წლისაა, მაგრამ მეორე ახალგაზრდობას განიცდის. კვალიფიკაციაში „ტვენტეს“ კაპიტანი თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ბლეზმა ძირითადიდან ამოაგდო შტრელერი და ახალგაზრდა დერდიოკი - ახლა ისინი შეცვლაზე შედიან მოედანზე.

თავდამსხმაში მეორე ადგილი (უფრო სწორად პირველი) ფრაის ეკუთვნის. ის გუნდის კაპიტანი, სული და გულია, ამიტომაც მისი მოედანზე ყოფნა მეტისმეტად მნიშვნელოვანი გახლავთ. გუნდისთვის ნამდვილი ტრაგედია გახდა ფრაის ტრავმა, რომელიც მან ევრო 2008-ის სასტარტო მატჩში მიიღო. როცა ცხადი გახდა, რომ ფორვარდი ვერ ითამაშებდა ტურნირის დარჩენილ მატჩებს, კაპიტანთან ერთად მთელი შვეიცარია ტიროდა.

ფრაის გუნდის შეტევითი თამაშის წარმმართველია. ის უკან იხევს და ეფექტურად დირიჟორობს პარტნიორებს, ამასთან, რეგულარულად ახერხებს გოლების გატანას. კაპიტნის თამაშის ამგვარი მანერის წყალობით, შვეიცარიის ნაკრებს შეუძლია კლასიკური პლეიმეიკერის გარეშე ითამაშოს და დაცვითი სტილის ორი ცენტრალური ნახევარმცველი გამოიყენოს. მაგრამ თუ გუნდს გოლის გატანა სჭირდება, მინდორზე გადიან კრეატიული **ჰაქან იაკინი** ან იოჰან ფონლანტენი, ფრაი კი წინა ხაზზე გადადის.

შვეიცარიის ნაკრები უფრო საკლუბო გუნდს ჰგავს. მოთამაშეები დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენ, ერთად გაიარეს მრავალი ტურნირი, გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა. ნაკრების მთავარ კოზირად უნდა იქცეს შეთამაშება და გამოცდილება, რასაც ჰიტცფელდის სამწვრთნელო ნიჭი ემატება. შვეიცარია აუცილებლად შეეცდება მორიგი ნაბიჯი გადადგას მსოფლიო აღიარებისკენ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### შვეიცარია

შვეიცარიის საფეხბურთო ასოციაცია 1895 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1904 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში მე-18 ადგილი უკავია.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რვაჯერ ითამაშა, ჩაატარა 26 მატჩი: +8=5-13, ბურთების შეფარდება: 37-51

მთავარი მწვრთნელი: ოტმარ ჰიტცფელდი (გერმანია)

ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული თამაშების რაოდენობით: ჰაინც ჰერმანი (117)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - ალექსანდრ ფრაი (40)

ჯგუფური ეტაპი

16 ივნისი. ესპანეთი-შვეიცარია (დურბანი)

21 ივნისი. ჩილე-შვეიცარია (ნელსპრუიტი)

25 ივნისი. შვეიცარია-ჰონდურასი (ბლუმფონტეინი)

### შესარჩევი ტურნირი

06.09.08 ისრაელი-შვეიცარია 2:2 (ჰ. იაკინი, ნ'კუფო)
10.09.08 შვეიცარია-ლუქსემბურგი 1:2 (ნ'კუფო, ლევეკი)
11.10.08 შვეიცარია-ლატვია 2:1 (ფრაი, ნ'კუფო)
15.10.08 საბერძნეთი-შვეიცარია 1:2 (ფრაი, ნ'კუფო)
28.03.09 მოლდოვა-შვეიცარია 0:2 (ფრაი, ფერნანდეში)
01.04.09 შვეიცარია-მოლდოვა 2:0 (ნ'კუფო, ფრაი)
05.09.09 შვეიცარია-საბერძნეთი 2:0 (გრიხტინგი, პადალინო)
09.09.09 ლატვია-შვეიცარია 2:2 (ფრაი, დერდიოკი)
10.10.09 ლუქსემბურგი-შვეიცარია 0:3 (სენდეროსი, ჰუგელი)
14.10.09 შვეიცარია-ისრაელი 0:0

### შესარჩევში ითამაშეს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| დიეგო ბენალიო | 08.09.83 | ვოლფსბურგი (გერ) | 9 | - |
| მარკო ველფლი | 22.08.82 | იანგ ბოიზი | 1 | - |
| **მცველები** | | | | |
| შტეფან გრიხტინგი | 30.03.79 | ოსერი (საფ) | 9 | 1 |
| შტეფან ლიხშტაინერი | 16.01.84 | ლაციო (იტა) | 8 | - |
| კრისტოფ შპიხერი | 30.03.78 | აინტრახტი (გერ) | 6 | - |
| ლუდოვიკ მანინი | 20.04.79 | ციურიხი | 5 | - |
| ფილიპ სენდეროსი | 14.02.85 | ევერტონი (ინგ) | 4 | 2 |
| იოან ჯურუ | 18.01.87 | არსენალი (ინგ) | 4 | - |
| სტივ ფონ ბერგენი | 10.06.83 | ჰერტა (გერ) | 3 | - |
| ალენ ნეფი | 06.02.82 | ტრიესტინა (იტა) | 2 | - |
| მარიო ეგიმანი | 24.01.81 | ჰანოვერი (გერ) | 2 | - |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| ტრანკილო ბარნეტა | 22.05.85 | ლევერკუზენი (გერ) | 10 | - |
| გიოქჰან ინლერი | 27.06.84 | უდინეზე (იტა) | 8 | - |
| ბენიამინ ჰუგელი | 07.07.77 | ბაზელი | 8 | 1 |
| ჰაქან იაკინი | 22.02.88 | ლუცერნი | 7 | 1 |
| ჟელსონ ფერნანდეში | 02.09.86 | სენტ ეტიენი (საფ) | 6 | 1 |
| მარკო პადალინო | 08.12.83 | სამპდორია (იტა) | 5 | 1 |
| ვალონ ბეჰრამი | 19.04.85 | ვესტ ჰემი (ინგ) | 3 | - |
| ალმენ აბდი | 21.10.86 | ლე მანი (საფ) | 3 | - |
| ვალენტინ შტოკერი | 12.04.89 | ბაზელი | 1 | - |
| ბლერიმ ჯემაილი | 12.04.86 | პარმა (იტა) | 1 | - |
| რეტო ციგლერი | 16.01.86 | სამპდორია (იტა) | 1 | - |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| ბლეზ ნ'კუფო | 25.05.757 | ტვენტე (ჰოლ) | 10 | 5 |
| ალექსანდრ ფრაი | 15.07.79 | ბაზელი | 9 | 5 |
| ერენ დერდიოკი | 12.06.88 | ლევერკუზენი (გერ) | 7 | 1 |
| იოჰან ფონლანტენი | 01.02.86 | ციურიხი | 5 | - |

მშვილდოსნობა

*მსოფლიოს თასი*

# პირადში ყველაფერი წავაგეთ

სამწუხაროდ, ჩვენი მშვილდოსანი ქალები საწყის ეტაპზევე გამოეთიშნენ ხორვატიულ პორეჩში მიმდინარე მსოფლიოს თასის პლეი ოფს პირად პირველობაში. ყველაზე უფრო მოულოდნელი ჩვენი ნაკრების ლიდერის **ხათუნა ნარიმანიძის** მარცხია თურქ **დამლა ერგინთან** პირველივე წრეში. თურქმა შესარჩევი ეტაპი 43-ე ადგილზე ჩაამთავრა, ჩვენებურმა - 22-ზე. ნარიმანიძის მარცხის ზუსტ მიზეზებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა, ტექნიკური რამ პრობლემა იყოს ან სულაც ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაგრამ დავიტოვოთ იმედი, რომ დღეს გუნდურში ბევრად უკეთ ისვრის.

ჩვენი გუნდის სხვა წევრებს - **ასმათ დიასამიძეს** და **ქრისტინე ესებუას** ბედისწერად ბელგიელი **საბრინა შტრუფი** ექცათ, რომელთანაც ერთმანეთის მიყოლებით დამარცხდნენ. დიასამიძემ პირველ წრეში პოლონელი **კარინა ლიპიარსკა** გამოთიშა ტურნირს და მერე შეხვდა ბელგიელს, ესებუამ კი, მას შემდეგ, რაც პირველ შეხვედრაში შვედი **იენი იეპსონი** დაამარცხა, ჩინელ **მინგ ჩენგსაც** დაახრევინა მშვილდი, ოღონდ დამატებით სერიაში. არადა, ჩინელმა შესარჩევი ეტაპი მეოთხე ადგილზე დაასრულა. ეტყობა, ქრისტინემ ამ შეხვედრას იმდენი ენერგია შეალია, შტრუფთან ვერაფერს გახდა და დამარცხდა.

ახლა ჩვენი მთავარი იმედი გუნდურ პირველობას უკავშირდება, რომელიც დღეს გაიმართება, ჩვენებურთა პირველი მეტოქე კი საფრანგეთის საკმაოდ ძლიერი გუნდია. წარმატება ვუსურვოთ ქართველ მშვილდოსნებს.

**ირაკლი თავაძე**

*საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში*



# დიდები მსოფლიოზე, პატარები კი საქართველოში

იმ დროს, როცა პლანეტის მშვილდოსანთა ყურადღება ხორვატიულ პორეჩში მიმდინარე მსოფლიოს თასისკენაა მიმართული, ჩვენმა მოისრეებმა შინაური საქმეებისთვისაც მოიცალეს - ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონატი ჩაატარეს. ტურნირს „ლოკომოტივის" სტადიონმა უმასპინძლა. უფრო სწორად, მის ტერიტორიაზე მშვილდოსანთა ძალებით მოწყობილმა სასროლეთმა. ჩემპიონატში 41 მონაწილე გამოდიოდა უკლებლივ ყველა რეგიონიდან, სადაც კი სპორტის ეს სახეობა ოდნავ მაინცაა განვითარებული. მსროლელთა შორის თბილისელები კი სჭარბობდნენ, მაგრამ მისასალმებელია, რომ მათ შორისაც მომრავლდნენ კლუბების წარმომადგენლები. ცხადია, ეს ზრდის მონაწილეთა რაოდენობასაც, რაც შედეგებსაც აუცილებლად დაეტყობა. აკი ამ ნაკრებების თავკაცი **გია მაკიევი** ჭაბუკების მაჩვენებლებით კმაყოფილი დარჩა როგორც გოგოებში, ასევე ვაჟებში. ტურნირით ასევე კმაყოფილი დარჩა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **მამუკა ქაცარავა**, რომელმაც ასეთი შეჯიბრებების როლი ახალი თაობის წარმოჩენის საქმეში უმნიშვნელოვანესად მიიჩნია. მისი თქმით, მათ ინვენტარის მხრივ არანაირი პრობლემა არ ექნებათ. და მართლაც, ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და ახალგაზრდებს უახლესი მშვილდები დაურიგდათ. თანაც, არა მხოლოდ დედაქალაქში - რეგიონებშიც, ქაცარავა კი ამ პროცესის გაგრძელებას მომავალშიც აპირებს.

რაც შეეხებათ მედალოსნებს, მათგან ბათუმელ და-ძმა **სანდრო** და **ქეთევან აზნაურიძეებს** გამოვარჩევთ. სანდრო ჭაბუკებში უკვე ლიდერად ჩამოყალიბდა და არც ახლა გასჭირვებია გამარჯვება, ქეთევანისთვის კი ეს ერთ-ერთი პირველი სერიოზული მედალია - თანატოლთა შორის მესამეზე გავიდა. ამავე ასაკის ვაჟებში საყურადღებო მოგვარეების - ბათუმელი **ტარიელ ჭელიძისა** და თბილისელ **დავით ჭელიძის** პაექრობა აღმოჩნდა. ამ ბრძოლაში თსუ-ს კლუბის წარმომადგენელმა თბილისელმა ჭელიძემ იმარჯვა.

უახლოეს ხანებში - მაისის ბოლოს თბილისში იმავე ასაკობრივ ჯგუფებში კიდევ ერთი ტურნირის ჩატარებაა განზრახული. ჭაბუკები და ახალგაზრდები ივლისში გერმანიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და ეს შეჯიბრებაც საამისო სამზადისის გეგმაში შედის, თუმცა გერმანიამდე სანდრო აზნაურიძეს იტალიაში მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირიც ელოდება.

**ირაკლი თავაძე**

**ქვარცხლბეკი**

ახალგაზრდები. ვაჟები. 1. **დავით ჭელიძე** (თსუ, თბილისი), 2. **ტარიელ ჭელიძე** (ბათუმი), 3. **ბექა შავერდაშვილი** (ასკ, თბილისი).

გოგოები. 1. **ნანა მახარაძე** (ბათუმი), 2. **თეონა ფარსენაძე** (ბათუმი), 3. **ქეთევან აზნაურიძე** (ბათუმი).

ჭაბუკები. ვაჟები. 1. **სანდრო აზნაურიძე** (ბათუმი), 2. **გიორგი შავერდაშვილი** (ბათუმი), 3. **ზურაბ ქურხაშვილი** (ასკ, თბილისი).

გოგოები. 1. **ლალი ოდორაშვილი** (ასკ, თბილისი); 2. **ინოლა ბერაძე** (თსუ, თბილისი); 3. **ანანო წიბლიაშვილი** (თსუ, თბილისი).

ძიუდო

*ტუნისის დიდი პრიზი*




# სალიცენზიო მარათონის დაიწყო

დღეს ტუნისის დედაქალაქის სპორტულ დარბაზში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ბრძოლა ოფიციალურად იწყება. ახლახან გაცნობეთ, რომ 7-9 მაისს ეს ქალაქი ძიუდოისტთა „დიდ პრიზს" მასპინძლობს, რომელიც პირველი სალიცენზიო ტურნირია სპორტის ამ სახეობაში. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ახალი წესით, მსგავს ტურნირებში ყველა სტუმარ ქვეყანას წონაში ორ-ორი წარმომადგენლის გამოყვანა შეუძლია იმის მიუხედავად, რომელ კონტინენტს მიეკუთვნება. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც „ლელოს" ორშაბათის ნომერში გაგაცანით ერთი ცვლილებაა 60 კილოში **დავით ასუბანის** ნაცვლად **ბეთქილ შუკვანი** იჭიდავებს.

შეიძლება ითქვას, წამყვან ათლეტთა დიდი ნაწილი ძალებს სალიცენზიო ტურნირებისთვის ინახავდა, რაც, თავის მხრივ, მსოფლიოს პირველობისთვის მზადების საწყის ეტაპსაც ემთხვევა. ამდენად, სალიცენზიო ტურნირებში ყველა ძლიერ სპორტსმენს უნდა ველოდეთ. ტუნისში უძლიერესი გუნდით გამოვა აზერბაიჯანის ნაკრები, რომლის თავკაცმა **აგიარ ახუნდზადემ**, როგორც იქნა, ოპტიმალური შემადგენლობა შეკრიბა. ოლიმპიურ ჩემპიონ **ელნურ მამედლის** დაბრუნებასაც დაადგა საშველი, ოღონდ ის ამიერიდან 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავებს. ნაკრებშია ოლიმპიური და მსოფლიოს პრიზიორი **მოვლუდ მირალიევიც** (100), რომელსაც ტრავმის გამო ასევე ბევრი გაუცდა. დაბრუნდა შარშან ტრავმირებული **რამილ გასიმოვიც** (66), მათთან ერთად ახუნდზადემ **ილგარ მუშკიევი, ვუგარ შირინლი** (60), **ტარლან კერიმოვი** (66), **ორხან დუნიამალიევი, ამილ გასიმოვი** (73), **ელხან რაჯაბლი** (81), **ელხან მამედოვი** (90), **ელმარ გასიმოვი** (100) და **ემილ ტაიროვიც** (+100) წაიყვანა. ასევე უძლიერესი შემადგენლობით გამოვა უკრაინაც: **გიორგი ზანთარაია, მაქსიმ კოროტუნი** (60), **სერგეი დრებოტი, გევორგ გევორქიანი** (66), **ვლადიმირ სოროკა** (73), **არტიომ ვასილენკო, ალექსეი ნიჟენკო** (81), **ვადიმ სინიავსკი, ვალენტინ გრეკოვი** (90), **ვიაჩესლავ დენისოვი** (100), **სტანისლავ ბონდარენკო** (+100). აი, ფრანგები კი შესუსტებული შემადგენლობით გამოვლენ: **ჟულიენ ოტავიანი** (60), **პიერ დუპრატი** (66), **რონალდ ალგერი, გილიამ ჩაინე** (73), **ლუდოვიკ გობერტი, ნიკოლას ბრისონი** (90), **ფრედერიკ შტიგელმანი** (100).

ტურნირს ტიტულოვანი და სახელოვანი ფალავნები სხვაც ბევრი ეყოლება - რუმინელი ოლიმპიური ჩემპიონი **ალინა დუმიტრუ** (48), ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ავსტრიელი ევროპის ორგზის ჩემპიონი **ლუდვიგ პაიშერი** (60), ბრაზილიელი ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი **ლეანდრო გილეირო** (73), იაპონელი მსოფლიოს პრიზიორები - **ტაკაში ონო** (90) და **ტაკამასა ანაი** (100), ოლიმპიური ჩემპიონები - ბერძენი **ილიას ილიადისი** (90) და გერმანელი **ოლე ბიშოფი** (81), ოლიმპიური და მსოფლიოს მედალოსნები ქალებში, ფრანგი **სტეფანი პოსამაი** (78), ამერიკელი **რონდა რუსეი** (70) და ჰოლანდიელი **ელიზაბეტ ვილებორდსე** (63), რომელიც ევროპის ორგზის ჩემპიონიცაა, მისი თანამემამულე და მსოფლიოს ჩემპიონი ვაჟებში **ხიიომ ელმონტი** (81), აფრიკის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი ქალებში, ალჟირელი **სორაია ჰადადი** (52) და სხვები. იასპარეზებს მასპინძელთა სახელოვანი ვეტერანი, აფრიკის 7-გზის ჩემპიონი **ანის ჩედლიც** (+100). სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ ცნობები ტურნირში ეგვიპტის და ალჟირის ნაკრებების მონაწილეობაზე, თუმცა, სავარაუდოდ, ორივე უძლიერესი შემადგენლობნით გამოვა.

დღეს ვაჟთაგან 60 და 66 კილოგრამი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ, ქალებიდან - 48, 52, 57. ხვალ ტატამზე 73-81-ის ვაჟები და და 63-70-ის ქალები გავლენ, ტურნირს კი ვაჟთაგან 90, 100 და +100, ქალებიდან კი 78 და +78-ის წარმომადგენლები დაასრულებენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ჩემპიონობა ვადამდე გაინაღდეს

ფოთში 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა დღეს დამთავრდება, მაგრამ ჩემპიონთა ვინაობა ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გახდა ცნობილი.

გოგონებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავა 20-წლიანებში წლევანდელი საქართველოს პირველობის გამარჯვებული **ნანი უნაფქოშვილი**, რომელიც გუშინ შავი ფიგურებით **დოდო ჩაკვეტაძეს** დაუზავდა, 7 ქულა მოაგროვა და მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გახდა. მეორე-მესამე ადგილებზე გასვლის შანსს რამდენიმე მოჭადრაკე ინარჩუნებს. მე-8 ტურში მათი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ნინო ანაკიძე-ანა კუჭავა** 1:0, **ნათია ჯალაბაძე-ანა შამათავა** 0:1, **იოლანტა მადოიანი-მარიამ დანელია** 0:1, **მარიამ ჭაჭიალიზი ტრაპაიძე** 0:1.

შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე 5,5-5,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ანაკიძე, დანელია და შამათავა იყოფენ. 5-5 ქულა აქვთ ტრაპაიძეს, ჩაკვეტაძესა და კუჭავას, ხოლო მ. ჭოლაძესა და ჯალაბაძეს — 4,5-4,5 ქულა.

ვაჟებში ოქროს მედალი გაინაღდა **ირაკლი ბერაძემ**. გუშინ მან **გიგა ბენიძესთან** გაიყო ქულა, 8 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და უახლოეს მდევარს, **ნოდარ ლორთქიფანიძის** მძლეველ **ნიკა ვოლკოვს** 1,5 ქულით უსწრებს. მეწინავეთა დანარჩენი ორთაბრძოლების შედეგები ასეთია: **შალვა ნადირაშვილი-კახაბერ წერეთელი** 1:0, **რევაზ ჭკუასელი-რამაზ ენდელაძე** 0,5:0,5, **ნიკა ლვამბერია-თემურ ჩხაიძე** 0,5:0,5, **გიორგი შონია-თემურ ოთხოზორია** 1:0.

8 ტურის შემდეგ: ბერაძე — 7,5, ვოლკოვი — 6, ნადირაშვილი, ლორთქიფანიძე — 5,5,-5,5, ენდელაძე, ბენიძე — 5-5 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: **გოგონები.** ტრაპაიძე-უნაფქოშვილი, ანაკიძე-ჩაკვეტაძე, შამათავა-კუჭავა, დანელია-ჭოლაძე, ჯალაბაძე-იმნაძე. **ვაჟები.** ნადირაშვილი-ბერაძე, ვოლკოვი-ენდელაძე, ბენიძე-ლორთქიფანიძე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველობა შესარჩევი ტურნირიცაა. ქვეყნის ჩემპიონები — უნაფქოშვილი და ბერაძე თანატოლების მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან. ევროპელებს ბათუმში თუ ვინ გაეჯიბრება, ამას დღეს შევიტყობთ.

**ვაჟა დანელია**

# სავარდო და სამაისო ქუთაისი

მომავალ შაბათ-კვირას ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციისა და მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლის ინიციატივით რიონისპირელები ტრადიციულ ტურნირს („სავარდო და სამაისო") უმასპინძლებენ სწრაფ ჭადრაკში. საპრიზო ფონდია 4000 ლარი. ვაჟებში გამარჯვებული 800 ლარს მიიღებს, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულნი კი, შესაბამისად, 600, 500, 200 და 100 ლარით დაჯილდოვდებიან. ქალებისთვის სამი ფულადი პრიზია დაწესებული: I — 500, II — 250 და III — 150 ლარი. ასევე, წაახალისებენ 10, 14 და 16 წლის გოგონებსა და ვაჟებს.

ტურნირი გაიმართება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად. თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის 15 წუთი მიეცემა ყოველ სვლაზე 5 წამის დამატებით. შეჯიბრება ქუთაისში მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# ფარდის დაშვების წინ

გუშინ ნალჩიკში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშების ბოლოსწინა ტურში დიდ ინტერესს ორი ევროპის ჩემპიონის — რუსი **ტატიანა კოსინცევას** და შვედი **პია კრამლინგის** შეხვედრა იწვევდა. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა შესანიშნავად წარმართა ორთაბრძოლა და 62-ე სვლაზე გაიმარჯვა, მოაგროვა 8 ქულა და პირველობაც გაინაღდა. სამაგიეროდ, შვედის მარცხით ქართველმა დიდოსტატმა **ნანა ძაგნიძემ** იხეირა, რადგან ასპარეზობის დამთავრებამდე ტურით ადრე მე-2 ადგილისთვის ბრძოლაში ერთი კონკურენტი ნახევარი ქულით ჩამორჩა. ნანამ გუშინ სომეხ **ელინა დანიელიანს** 37-ე სვლაზე გააჩერებინა საათი.

**ელინა დანიელიანი**



**ნანა ძაგნიძე**

31. მg4 ლg5 32. მf6+ მფg7
33. hxg6 მxe5 34. მxe8+ ეxe8
35. dxe5 ლxe5 36. gxf7 მფxf7
37. ლh7+ *შავები დანებდნენ*

ახლა ძაგნიძეს 6,5 ქულა აქვს და **ჰოუ იფანთან** ერთად მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს. 16 წლის ჩინელი მე-10 ტურში შავი ფიგურებით ინდოელ **ჰამფი კონერუს** დაუზავდა. ნანას კიდევ ერთ კონკურენტს — ყატარელ **ჟუ ჩენს** შავიებით მონღოლმა **მონღონთუულ ბათუიაგმა** 49-ე სვლაზე მოუთავა საქმე. დანარჩენ ორ პაექრობაში რუსმა **ბაირა კოვანოვამ** ჩინელ **ჟაო სიუს** სძლია, სომეხმა **ლილით მკრტიჩიანმა** კი თურქ **ბეთულ ილდიზს** მოუგო.

გრან-პრის ფარდის დაშვების წინ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: კოსინცევა — 8, ძაგნიძე, ჰოუ იფანი - 6,5-6,5, კრამლინგი — 6, კონერუ, ჟუ ჩენი — 5,5-5,5, მკრტიჩიანი, ბათუიაგი — 5-5, კოვანოვა, ჟაო სიუ — 4-4, ილდიზი — 2,5, დანიელიანი — 1,5 ქულა. საგულისხმოა, რომ ქალთა შორის ფიდეს გრან-პრის პირველ გათამაშებაში ელინამ 8 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყო. ახლა კი, ეტყობა, ფორმაში არ არის. მაშინ 8,5 ქულით კონერუმ პირველი ადგილი დაიკავა და 160 საპრიზო ქულაც დაიმსახურა. 7,5 ქულით მე-4 იყო ჟაო სიუ. ჩინელი დიდოსტატი სამშობლოში - ნანძინის გრან-პრიზე ნახევარი ქულით ჩამორჩა მე-2 ადგილზე გასულ ძაგნიძეს და ბრინჯაო დაისაკუთრა. 2 ტურნირის ჯამში მოგროვებული ქულებით (90+110) კი სულაც გათამაშებას ლიდერობს. კონერუს მსგავსად, 160 ქულა აქვს ნანძინის პაექრობების გამარჯვებულ **სიუ იუჰუას** (ჩინეთი). ნანას 130 ქულა ერგო. ნალჩიკში წარმატების შემთხვევაში ქართველი მოჭადრაკე დაახლოებით ერთ ამდენს კიდევ მოიხვეჭს.

დღეს ბოლო მე-11 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **კრამლინგი-ჟუ ჩენი, მკრტიჩიანი-კოსინცევა, ჰოუ იფანი-ილდიზი, ჟაო სიუ-კონერუ, დანიელიანი-კოვანოვა, ბათუიაგი-ძაგნიძე.**

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესიენის ბლოგი

# მიქაელ ესიენი რაგბიში გადადის



მიკაელ ესიენი

**ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველმა მიკაელ ესიენმა ამას წინათ რაგბის მატჩი პირველად იხილა და საკუთარ ბლოგში შთაბეჭდილებებს გვიზიარებს. ცხადია, ხუმრობს, მაგრამ ფაქტია, რომ ესიენს ფეხბურთიდან რაგბიში გადასვლის სურვილი, თუნდაც წამიერად, მაინც გაუჩნდა.**

გამარჯობა, მეგობრებო. ასე მგონია, ჩემი ბოლო ბლოგის შემდეგ საუკუნე გავიდა. არადა, ეს მხოლოდ ოთხი კვირის წინ იყო. ოთხი კვირა კი ოთხ თვედ მეჩვენება. აი, ასეთი შეგრძნება მაქვს ყოველივე იმისაგან, რაც ჩემს თავს ხდება. ტრავმა ძალიან ძნელად მიშუშდება, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხ, ვუძალიანდები.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს მდგომარეობას აქვს დადებითი მხარეებიც. ტრავმის მოშუშების პროცესი მაძლევს ისეთი რაღაცების კეთების საშუალებას, რასაც მანამდე ვერ ვახერხებდი. მაგალითად, მოვასწარი მენახა რაგბის მატჩი.

ერთი კვირის წინ ჩემმა მეგობარმა პოლ საკიმ მისი გუნდის, „ვოსფსისა" და „ბასის" მატჩზე დამპატიჟა. თამაში ინგლისური რაგბის მექაში „თვიქნემზე" გაიმართა და მომინდა, შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ.

რაგბის მატჩზე ისე წავედი, თამაშის წესებზე წარმოდგენაც არ მქონდა. არ ვიცოდი, რა მელოდა, რამდენად საინტერესო იქნებოდა ჩემთვის.

დაივიწყეთ ფეხბურთი - რაგბი სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანებისთვის არ არის.

ვიცი, რა არის ლელო, ვიცი, როგორ ურტყამენ მორაგბეები საჯარიმოებს, მაგრამ იმან, რაც მოედანზე ხდებოდა, შოკში ჩამაგდო. ეშმაკმა დალახვროს, რა ხდება აქ? თამაშზე ორ ძმასთან ერთად ვიყავი. რაგბი მათთვისაც უცხო ხილი იყო და მთელი დღე ბოქვებით მილებული შთაბეჭდილებით გავატარეთ.

სანამ გავაგრძელებდე, მინდა, მადლიერებით მოვიხსენიო გოგონა, რომელიც ჩვენ წინ იჯდა. ის ცდილობდა, აეხსნა, რა ხდებოდა მოედანზე. აღმოჩნდა, რომ მამამისი „ვოსფსის" მოთამაშე იყო, ხოლო თვითონ რაგბის ყოფილი არბიტრი გახლდათ. მე არ მიკითხავს მისი ვინაობა, მაგრამ ვინც უნდა იყოს, მისი ძალიან დიდი მადლობელი ვარ, რადგან თამაშის არსის დიდი ნაწილი აგვიხსნა, რამაც ჩვენს „თვიქნემზე" სტუმრობას აზრი მისცა.

თუ თვითონ თამაშზე ვილაპარაკებთ, უნდა აღვნიშნო, რომ სტადიონზე ფანტასტიკური ატმოსფერო სუფევდა და ქომაგებიც დიდებულნი იყვნენ - რამის აზრზე რომ ვყოფილიყავი, მაშინ ბევრად მეტ სიამოვნებას მივიღებდი.

პოლ საკი გარემარბია და როგორც კი ბურთს მიიღებდა, ცდილობდა, პირდაპირ ერბინა. ის ძალიან სწრაფია, მაგრამ მეტოქე უეცრად საიდანღაც მის წინ ჩნდებოდა, ძირს ანარცხებდა და ბურთს ართმევდა. ყოველ ჯერზე მინდოდა მეყვირა არბიტრისთვის, რომ ეს ჯარიმაა, მაგრამ, როგორც ჩანს, რაგბის თამაშის წესებით ასეთ რამ დაშვებულია.

კიდევ: რაგბიში დაშვებულია შერკინება. ასეთი რამ რომ ფეხბურთშიც იყოს, ეჭვი მეპარება, რომელიმე ჩვენგანს ისევ გასჩენოდა მოედანზე გასვლის სურვილი. წარმოიდგინეთ, მთელი ძალით ურტყამენ ერთმანეთს თავებსა და მხრებს, ერთ-ერთი ბურთს შუაში შეაგორებს, ზედახორაში ვერაფრით ვხვდებოდი, ბურთი სად იყო, სანამ უეცრად, წუთის შემდეგ, მოედნის მეორე ბოლოში არ მოვკრავდი თვალს.

როცა მოთამაშე რამეს დაიშავებს, მასთან ექიმები მირბიან. მათ შეუძლიათ ორი-სამი წუთი მოედანზე დაყონ, მორაგბეს დახმარება აღმოუჩინონ, თამაში კი გრძელდება და ხანდახან იქვე, დაშავებულისა და ექიმების გვერდით მიმდინარეობს. საოცარია!

ყველაზე მეტად გულშემატკივრების ქცევა გამიკვირდა. როდესაც „ბასმა" ლელო გაიტანა, იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც ჩემ გარშემო ისხდნენ, სიხარულისგან ფეხზე წამოიჭრნენ და ტაშითა და ომახიანი შეძახილებით ბასელებს ამხნევებდნენ. ჩემს ძმას მივუბრუნდი და ვკითხე, შემთხვევით მოწინააღმდეგის ქომაგების ტრიბუნაზე ხომ არ მოვხვდით-მეთქი. არა, ასე არ ყოფილა. როგორც აღმოჩნდა, რაგბის ქომაგებს შეუძლიათ, ერთ ტრიბუნაზე, გვერდიგვერდ ისხდნენ. ეს ძალიან მაგარი იყო. ისინი ლუდს სვამდნენ და რაღაცას აყოლებდნენ. ერთი სიტყვით, გვარიანად ერთობოდნენ, როგორც ნამდვილ წვეულებაზე.

თამაშის მერე ქომაგებთან ერთად გავემართე ავტომობილისკენ, რომელიც სტადიონიდან მილის დაშორებით დავაყენე სპეციალურ სადგომზე. ძალიან მსიამოვნებდა, რომ ყველა მესალმებოდა და მალე გამოჯანმრთელებას მისურვებდა. სრულიად უცხო ადამიანები მეხვეოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ უნახავთ როგორ ვთამაშობდი „ჩელსიში". ძალიან ბევრი ავტოგრაფი დავარიგე და აურაცხელი ფოტო გადავიღე. ენით აუწერელი ემოცია მეუფლებოდა, როცა იმის გამო, რომ ვჩერდებოდი და ვესაუბრებოდი, ადამიანების თვალებში ბედნიერების ნაპერწკალს ვხედავდი.

ერთხელ თინეიჯერი გოგონების მთელ ჯგუფთან მომინია ფოტოს გადაღებამ. ეს იოლი არ იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, გადავრჩი. წარუშლელი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება დამრჩა.

რატომღაც თითქმის ყველა მეკითხებოდა, ხომ არ მინდა, ფეხბურთიდან რაგბიში გადავინაცვლო. ამ კითხვაზე მოგვიანებით, უკვე სახლში ვფიქრობდი. რატომაც არა?! შემიძლია, რაგბიში გადავიდე და გარემარბის პოზიციაზე ვითამაშო. ოღონ მოწინააღმდეგეები უნდა დამპირდნენ, რომ არ შემბოჭავენ და, რაც მთავარია, მიწაზე არ დამანარცხებენ. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია.

რა შეიძლება ითქვას შეჯამების სახით? მორაგბეები ბრწყინვალე ათლეტები არიან, ისინი ბოლომდე თავდადებით იბრძვიან. მათი სწრაფი, ლამაზი კომბინაციები, რომლებიც ლელოთი მთავრდებოდა, შეიძლება, მხოლოდ „ჩელსის" თამაშს შეადარო. ეს ბრწყინვალე იყო.

ძალიან მომეწონა ეს დღე. გმადლობთ, პოლ, რომ რაგბის მაზიარე.



ბურთით პოლ საკი

ამბები



დავით ზირაქაშვილი

## ჩემპიონობის შანსი სამი ქართველისთვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში გადამწყვეტი ეტაპი იწყება. პლეი ოფის ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში დღეს **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" პარიზულ „მეტრო რასინგს" მიიღებს. გამარჯვების შემთხვევაში „ვულკანების" მომდევნო მეტოქე **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" იქნება.

„კლერმონს" პარიზელებთან მატჩში ყველაზე გამოცდილი არგენტინელი შერკინების ბურჯი **მარიო ლედესმა** ტრავმის გამო დააკლდება. სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება ტრავმამოშუშებული ფულბეკი, გუნდის კაპიტანი **ორელიან რუჟერი**, ხოლო **ენტონი ფლოში** „ვულკანების" ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **ვერნ კოტერმა** სათადარიგოთა შორის გაამწესა.

ძირითად შემადგენლობაშია დავით ზირაქაშვილიც, რომელსაც, გამორიცხული არ არის, უმძიმეს შეხვედრაში სრულად მოუწიოს თამაშმა. მატჩი თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფის ნახევარფინალში გასასვლელად იბრძვის **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრიც", რომელიც ხვალ სტუმრად ეთამაშება „ტულუზს". მატჩი თბილისის დროით 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

## ბეშუ მონპელიეს სამი წელი გაწვრთნის

საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე **მამუკა გორგოძისა და გიორგი ჩხაიძისა** „მონპელიეს" მომდევნო სამი წლის განმავლობაში **ერიკ ბეშუ** გაწვრთნის.

50 წლის ბეშუ, რომელიც რაგბის „კოლომიეში" თამაშობდა, პირველი დივიზიონიდან წლეულს გავარდნილ „ალბის" 1999 წლიდან წვრთნიდა. რამდენიმე დღის წინ „მონპელიეს" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ გუნდში გაცილებით ძლიერი სპეციალისტის მიწვევას აპირებდნენ. კანდიდატებიც საკმაოდ სერიოზულნი სახელდებოდნენ, მაგრამ არჩევანი ბოლოს ერიკ ბეშუზე შეაჩერეს.

ახლა ძნელი სათქმელია, რამდენად აკმაყოფილებს ბეშუს ცოდნა და უნარი „მონპელიეს" ხელმძღვანელების გაზრდილ ამბიციებს. კონტრაქტი, როგორც უკვე ვთქვით, სამწლიანია და, ეტყობა, მისი ეიმედებათ. ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ „ალბიში" მუშაობისას ბეშუ ქართველ მორაგბეებს დიდად არ სწყალობდა.

## გიორგი ჟღენტი ოცი დღით დასაჯეს

ქართველ შერკინების ბურჯ **გიორგი ჟღენტს**, რომელიც ამჟამად ელიტური, მეორე დივიზიონის „ოიონაქსის" ღირსებას იცავს და მომავალი სეზონიდან პირველდივიზიონელ „მონპელიეში" გადაბარგდება, საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა 20-დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

ჟღენტს 17 აპრილს გამართულ მორიგი ტურის მატჩში არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა. რაგბის ნაციონალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მას კომიტეტის სხდომამდე, ანუ 5 მაისამდე თამაში აკრძალული ჰქონდა. სადისციპლინო კომიტეტმა კი ოცდღიანი დისკვალიფიკაცია აკმარა და რადგან ეს ვადა დღეს იწურება, გიორგის მეორე დივიზიონის ბოლო ტურის შეხვედრაში შინ „ლა როშელთან" თამაში შეუძლია.

შეგახსენებთ, რომ „ოიონაქსს" ბოლო ტურის წინ 88 ქულით მე-4 ადგილი უკავია და პლეი ოფში თამაშის უფლება გარანტირებული აქვს. აქ კი ოიონაქსელთა სავარაუდო მეტოქეები ისევ „ლა როშელი" და **გურამ კავთიძის** „ლიონი" არიან.

## ბიარიცს დამრტყმელი ძალა დააკლდება



იმანოლ არინორდოკი

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო რვა ნომერმა, ბასკური „ბიარიცისა" და საფრანგეთის ნაკრების ნამყვანმა მოთამაშე **იმანოლ არინორდოკმა** შესაძლოა, 22 მაისს პარიზში, „სტად დე ფრანსზე" გასამართავ „ჰეინეკენის თასის" ფინალში ვერ ითამაშოს.

ჰარინორდოკმა ნახევარფინალში „მანსტერთან" ცხვირი გაიტეხა და საფენებდახვეულმა ბოლომდე შეუცვლელად ითამაშა. როგორც გაირკვა, ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და ექიმების რეკომენდაციით ის ვარჯიშებს ჩამოაშორეს. „ჰეინეკენის თასის" ფინალამდე ორი კვირაა და იმანოლი იმედოვნებს, რომ გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

*„ძალიან ვწუხვარ, რომ ვარჯიში არ შემიძლია. ყველაფერს ვილონებ, რომ ფინალში ვითამაშო. ახლა საჭიროა, ცოტა დავისვენო, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მოუთმენელი ვარ."* - თქვა ფრანგული რაგბის ვარსკვლავმა

ზე 14

## სტეინი თუ კარტერი

დღეს ზე 14-ის გათამაშების ბოლოსწინა ტურის ორი შეხვედრა გაიმართება. ყველაზე დიდ ინტერესს პრეტორიაში შარშანდელი ჩემპიონისა და წლევანდელი გათამაშების ლიდერის, „ბლუ ბულზისა" და ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზის" დაპირისპირება იწვევს

„ბლუ ბულზი" გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილს და პლეი ოფის ნახევარფინალში თამაშის უფლებას გაინაღდებს. თუმცა მასპინძლები არც წაგების შემთხვევაში იზარალებენ დიდად. რეგულარული გათამაშების მოსაგებად ბოლო ტურში სტუმრად ჩემპიონობის მაძიებელი კეიპთაუნის „სტორმერზის" დამარცხება დასჭირდებათ.

გასათვალისწინებელია, რომ „ბლუ ბულზს" საკუთარ მოედანზე ზედიზედ ჩვიდმეტი თამაშია, არ წაუგია.

ბევრად რთულად აქვს საქმე „კრუსეიდერზს", რომელიც 34 ქულით მესამე ადგილზეა და ადვილი შესაძლებელია, სულაც პლეი ოფის მიღმა დარჩეს. ქრაისთჩერჩელებმა ბოლო ორ ტურში წარუმატებლად იასპარეზეს. შვიდგზის ჩემპიონმა ახალზელანდიურმა გუნდმა ზედიზედ სამჯერ, ერთადერთხელ 1996 წელს წააგო. მაშინ „კრუსეიდერზი" სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე გავიდა.

დღევანდელი მატჩის ბედი მგეზავების **მორნი სტეინისა** და **დენ კარტერის** დუელზეა დამოკიდებული. კარტერი ბოლო შეხვედრებში საკმაოდ უფერულად გამოიყურება. 2008 წელს, როცა „კრუსეიდერზმა" პრეტორიაში „ბლუ ბულზი" 54:19 დაამარცხა, დენიმ გუნდს 24 ქულა მოუტანა. ქრაისთჩერჩელებს ძალიან უნდათ, მათმა ვარსკვლავმა ძველებურად რომ გაიბრწყინოს.

ვიზავისგან განსხვავებით მორნი სტეინი ბრწყინვალედ ირჯება. „ბოკეს" მგეზავმა ბოლო ექვს მატჩში 125 ქულა დააგროვა. შინ კი მისი მაჩვენებელი საშუალოდ თამაშში 20 ქულაა.

მეორე შეხვედრაში ველინგთონის „ჰარიკენზი" შინ ბრისბენის „რედსს" ეთამაშება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

# ქართული სპორტი

## კალათბურთი

# ფინალები 13 მაისს

სუპერლიგის ნახევარფინალების დასრულებისას გამცნეთ, რომ ფინალური სერიის შეხვედრები 8 მაისიდან უნდა დაწყებულიყო. თუმცა ამ თარიღმა რამდენიმე დღით გადაიწია. მაშ ასე, „ენერჯისა“ და თსუ-ს საწყისი 2 შეხვედრა რუსთავში 13 და 15 მაისს გაიმართება. მატჩები 18 საათზე დაიწყება.

ფინალური სერიის მომდევნო შეხვედრას თბილისის სპორტის სასახლე 17 მაისს, 14 საათზე უმასპინძლებს. 17 მაისსვე, 12 საათზე თბილისში გაიმართება მატჩი მესამე ადგილისთვის, რომელშიც ერთმანეთს ნახევარფინალში წაგებული გუნდები, „აგრარული“ და შსს შეხვდებიან. თუ საჭირო გახდა, ფინალური სერიის მე-4 მატჩი 19 მაისს სპორტის სასახლეში გაიმართება. ხოლო თუ საქმე მეხუთე, გადამწყვეტ შეხვედრამდე მივიდა, მას რუსთავი 21 მაისს უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ სერია სამ მოგებამდეა. შეიცვალა სუპერთასის გამართვის თარიღიც - ოთარ ქორქიას სახელობის თასისთვის 24 მაისს მომავალი ჩემპიონი და თასის მფლობელი „აგრარული“ იბრძოლებენ.

| ფინალი | |
|---|---|
| 13 მაისი | |
| 18:00 | ენერჯი-თსუ |
| 15 მაისი | |
| 18:00 | ენერჯი-თსუ |
| 17 მაისი | |
| 14:00 | თსუ-ენერჯი |
| 19 მაისი | |
| 14:00 | თსუ-ენერჯი (თუ საჭირო გახდა) |
| 21 მაისი | |
| 18:00 | ენერჯი-თსუ (თუ საჭირო გახდა) |
| მესამე ადგილისთვის | |
| 17 მაისი | |
| 12:00 | აგრარული-შსს |
| სუპერთასი | |
| 24 აპრილი | |

ვაჟა სიმონიშვილი





ლეგიონერი

# ვიგოს მოგვიგო...

ესპანეთის 18-წლამდელთა ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მოსახვედრად „პიექსეგალეგოს“ მხოლოდ გალისიის ჩემპიონატის მოგება არ ეყო. ხიხონში გაიმართა დამატებითი ტურნირი, რომელშიც 8 გუნდი ორ ჯგუფად განაწილდა. თითო ქვეჯგუფიდან პლეი ოფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული კლუბები ხვდებოდნენ.

„პიექსემ“ სადებიუტო შეხვედრაში „სალამანკას“ აჯობა. ამ მატჩში **რატი ბააკაშვილს** არ უთამაშია, ხოლო **ნოდარ შარაბიძემ** 15 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა.



- ტრავმა ახალი მოშუშებული მქონდა და მწვრთნელმა ჩემი დასვენება გადაწყვიტა. მესამე მატჩის შემდეგ კი მითხრა, უნდა მეთამაშებინეო, მაგრამ უკვე გვიანი იყო, - გვითხრა რატიმ, რომელმაც ფეხი ლიტვური „ჟალგირისის“ 20-წლამდელთა გუნდთან ამხანაგურ მატჩში იტკინა (8 ქულა, 2 პასი).

მომდევნო შეხვედრაში ქართველთა კლუბი „ვიგოს“ დაუპირისპირდა. გალისიის პირველობაზე „პიექსეგალეგოს“ ვიგოელებთან ორივე მატჩი მოგებული ჰქონდა მაგრამ ამჯერად ვერაფერი გააწყო და დამარცხდა - 59:76.

ბააკაშვილს არც ამჯერად უთამაშია, შარაბიძე კი თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო: 28 წუთი, 18 ქულა (6-დან 5 ორქულიანი, 11-დან 8 საჯარიმო), 10 მოხსნა.

ჯგუფის მესამე მატჩს „პიექსეს“ კალათბურთელები უმოტივაციოდ შეხვდნენ, რადგან გარკვეული იყო, რომ ჯგუფიდან ვერ გავიდოდნენ. ამის მიუხედავად, ქართველთა გუნდმა „ხიხონი“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. შარაბიძემ შეხვედრა 12 ქულით დაასრულა, ხოლო ბააკაშვილმა 4 ქულა ჩააგდო.

- ერთი წაგების გამო ჯგუფში მესამე ადგილზე გავედით და მომდევნო ეტაპის საგზური ვერ მოვიპოვეთ. არადა, ნამდვილად შეგვეძლო „ვიგოსთან“ გამარჯვება. მას მანამდე ორჯერ ვეთამაშეთ და ორჯერვე ვაჯობეთ, - აღნიშნა რატი ბააკაშვილმა.

ერთი კვირის წინ ნოდარ შარაბიძის ინტერვიუ შემოგთავაზეთ. დღეს რატის გაგაცნობთ. ბააკაშვილი 1992 წელსაა დაბადებული და ამპლუით გამთამაშებელია, თუმცა ესპანეთში ზოგჯერ მსროლელის პოზიციაზეც ირჯება.

იგი ესპანურ კლუბში თბილისური „მართვედან“ სეზონის შუაში გადავიდა.

- კალათბურთის თამაში გელა დარსაძის და თენგიზ აბულაძის ხელმძღვანელობით 8 წლისამ დავიწყე. თავიდან საკალათბურთო აკადემიაში ვვარჯიშობდი. ცოტა ხნით მიხეილ კობეშავიძის გუნდშიც ვთამაშობდი. შემდეგ გადავედი დიდუბის მანეჟში, ზვიად დიდბარიძესა და ნინო ყიფშიძესთან. სწორედ მათ ხელში ჩამოვყალიბდი კალათბურთელად. საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში ნიკო ჩერქეზიშვილისა და ვაჟა ჭკუასელის ხელმძღვანელობით ვთამაშობდი, ხოლო 2008-09 წლების სეზონში საქართველოს 20-წლამდელთა პირველობა კახა შენგელიას „მართვეში“ ჩავატარე.

ახალგაზრდულ ჩემპიონატში რატის საშუალოდ: 13.4 ქულა, 6.4 მოხსნა, 6.1 პასი და 3.1 ჩაჭრა ჰქონდა.

ბააკაშვილმა და შარაბიძემ ხიხონში გამართული შეჯიბრებით მიმდინარე სეზონი დაასრულეს. მათ „პიექსეგალეგოს“ ხელმძღვანელობა გუნდში დარჩენას სთავაზობს. თუ ისინი გაისადაც „პიექსეში“ იასპარეზებენ, ება-ს ლიგაში მოუწევთ თამაში.

ვაჟა სიმონიშვილი

# უდარდელად დარდასთან

ხორვატიის ჩემპიონატის მეორე ეტაპის დასრულებამდე 3 ტურია დარჩენილი. **ვლადიმერ ბოისას „ზადარი“** ჯერაც წაუგებლად ასპარეზობს და დიდი შანსია, რეგულარული ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულოს. აქვე სატურნირო მდგომარეობას გადავხედოთ: „ზადარს“ 11 მატჩი აქვს მოგებული და 2 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „ციბონას“. თუმცა ციბონელებს „ზადართან“ საშინაო მატჩი რეზერვში აქვთ (11 მაისს). იმისთვის, რომ ბოისას თანაგუნდელებმა ზაგრებში „ციბონასთან“ წაგების მიუხედავად პირველობა შეინარჩუნონ, აუცილებელია, დანარჩენ ორ მატჩში ქულათა მაქსიმუმი დააგროვონ - 9 მაისს „ზაგრებთან“ დედაქალაქში ითამაშებენ, ხოლო 15-ში „ტრიგორს“ მიიღებენ.

ახლა მე-11 ტურის მატჩზე ვთქვათ, რომელიც „ზადარმა“ „დარდასთან“ დამაჯერებლად მოიგო - 80:52. სხვათა შორის, დარდელებმა მასპინძლებს პირველ პერიოდში 17:14 აჯობეს, თუმცა მეორე ათწუთეულიდან შეხვედრის ბოლომდე ზადარელებს ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვიათ და, როგორც დასაწყისში გითხარით, მეთერთმეტედ მოიგეს.

ბოისა ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში იყო, 22 წუთში 4 ქულა (5-დან 2 ორქულიანი) და 3 მოხსნა მიითვალა. ყველაზე მეტი მასპინძელთა უკანახაზელმა **როკ სტიპჩევიჩმა** ჩააგდო - 17 ქულა.

ტრავმა

# რეალთან ცქიტიშვილის თამაში საეჭვოა

ესპანურმა გამოცემებმა გაავრცელეს „ფუენლაბრადას“ ბანაკიდან მიღებული უსიამოვნო ინფორმაცია - გუნდს მადრიდის „რეალთან“ მატჩში შეიძლება სამი წამყვანი კალათბურთელი ვერ დაეხმაროსო - **ჯერალდ ფიტჩი, ნიკა ცქიტიშვილი** და **ფერან ლავინი**.

უკანახაზელ ფიტჩს მუხლი აწუხებს, ხოლო ლავინსა და სკიტას ერთნაირი ტრავმები აქვთ - მუხლს ზემოთ, ბარძაყი დაიზიანეს. ამ მიზეზის გამო ისინი გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობენ. მწვრთნელი **სალვა მალდონადო** შიშობს, რომ შესაძლოა, კვირას გასამართავ მადრიდულ დერბიში ვერც ერთმა ვერ ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ ნიკამ გასულ ტურში „მანრესასთან“ გასვლით შეხვედრაში ბარძაყი დაიშავა და მხოლოდ 7 წუთი ითამაშა. იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველი ფორვარდი კვირამდე მომჯობინდება და სამეფო კლუბთან თამაშს შეძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი



## წყალბურთი

# მოგებით დაამთავრეს

უკრაინის XIX ღია ჩემპიონატის მეხუთე ტურის ბოლო დღეს კვლავ წარმატებით ითამაშეს საქართველოს წყალბურთელებმა (მთავარი მწვრთნელი **ზვიად დავითიანი**). გუშინ მათ დაძაბულ ბრძოლაში ლვოვის „დინამო“ დაამარცხეს 8:5 (2:1, 3:1, 1:0, 2:3) სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილს ინარჩუნებენ. პირველ-მეორე ადგილებზე მყოფი მარიუპოლის „ილიჩევეცისა“ და ხარკოვის „ზმკ“-ს ორთაბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 11:11 (2:4, 2:2, 3:1, 4:4). ისინი კვლავაც ჩემპიონატის ლიდერებად რჩებიან.

ასეთივე ანგარიშით (3:3, 4:3, 1:3, 3:2) დამთავრდა დნეპროპეტროვსკის „დნუ“-სა და ხარკოვის „ხპი“-ს პაექრობა. პირველობის მესამეადგილოსანმა სევასტოპოლის გუნდმა მოლდოვის ნაკრებს სძლია — 10:7 (1:0, 2:1, 4:3, 3:2).

ვაჟა დანელია

## პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# შანხაის ეტაპი ჩვენთვის დასრულდა

შანხაიში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი ჩვენი წყვილებისთვის დამთავრდა. ვაჟთა შეჯიბრების მეორე დღეს **გეორ-გიამ**, რომელიც ტურნირზე 21-ე ნომრადაა განთესილი, 27-ე ნომერ ესტონურ დუეტ **იანი-ვესიკს** მოუგო ორ სეტში - 21:13, 24:22. მომდევნო შეხვედრაში კი მე-19 ნომრად განთესილ ნაკლებად ცნობილ ამერიკულ დუეტ **ქინან-ჯენინგზთან** დამარცხდა - 0:2 (18:21, 21:23).

ამრიგად, გეორ-გიამ შანხაიში მე-16 ადგილი დაიკავა და 180 სარეიტინგო ქულა მიიღო.

წარუმატებლად იასპარეზა ქალთა შეჯიბრებაში **საქა-რთველომ**, რომელმაც პირველივე დღეს ორი მატჩი წააგო და გათამაშებას გამოეთიშა. ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც 22-ე ნომრად იყვნენ განთესილი, ჯერ მე-11 ნომერ ბერძნულ დუეტ **ციარციანი-არვანითისთან** წააგეს ორ სეტში 13:21, 11:21, მეორე მარცხი კი 27-ე ნომრად განთესილი ბრიტანელებისგან **მალინ-დემპნისგან** იგემეს - 1:2 (21:17, 16:21, 13:15)

საქა-რთველო 26-ე ადგილს დასჯერდა და რეიტინგში მხოლოდ 60 ქულა შეემატა. მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი 17-23 მაისს რომში გაიმართება.

ბესიკ ჯანგავაძე

## მაგიდის ჩოგბურთი

# პირველი საერთაშორისო

ბათუმში ბონის სპორტულ დარბაზში, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად გაიმართა საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში იუნიორთა შორის. მონაწილეობდა საქართველოს, სომხეთისა და თურქეთის სულ 32 სპორტსმენი. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

**გოგონები:** 1. ანგელინა ფრანგიანი, 2. თინათინ გრაკალიშვილი, 3. ვერიკო გურიელიძე (სამივე — საქართველო). **ვაჟები:** 1. არუთუნ არუთუნიანი (სომხეთი), 2. ბექა ტაბალუა (საქართველო), 3. დავით ვოთანიანი (სომხეთი). **გოგონათა წყვილი:** 1. ანგელინა ფრანგიანი-ნონა მარქარიანი, 2. თამარ ჩხაიძე-ვერიკო გურიელიძე, 3. თინათინ გრაკალიშვილი-მაია აგეკიანი (სამივე — საქართველო).

**ვაჟთა წყვილი:** 1. არუთინ არუთუნიანი-დავით ვოთანიანი (სომხეთი), 2. ბექა ტაბალუა-სერგო პეტრიძე, 3. დავიდ ცატუროვი-ვირაბ კაზარიანი (ორივე — (საქართველო). **გუნდური:** 1. სომხეთი, 2. საქართველო I, 3. საქართველო II.

იოსებ ჯახუტაშვილი (მთავარი მსაჯი)

ლევან ჯანეზაშვილი

## ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი და შაფათავა ყოჩაღობენ

უკრაინის ქალაქ ხარკოვში „ტეტრას“ საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. შეჯიბრებაში ოთხი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება, თუმცა დღეისთვის იქ მხოლოდ ერთი ჩვენებური დარჩა, 21 წლის **სოფიო შაფათავა** (338). მან პირველ წრეში იოლად აჯობა საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ უკრაინელ **ოქსანა პავლოვას** (774) - 6:1, 6:2. გუშინ სოფიომ საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული კიდევ ერთი ჩოგბურთელი, რუსი **მარია ჟარკოვა** (682) დაამარცხა - 4:6, 6:4, 6:4. დღეს მეოთხედფინალში შაფათავა მე-3 ნომრად განთესილ თურქ **კაგლა ბუიუქაგჩაის** (267) ეთამაშება. ეს ორი ჩოგბურთელი 2007 წელს ორჯერ შეხვდა ერთმანეთს, ორჯერვე სტამბოლში, პირველად შაფათავამ მოიგო, მეორედ - ბუიუქაგჩაიმ.

ტურნირის პირველი წრის გადალახვა შეძლო **მანანა შაფაქიძემ** (396), რომელმაც მე-6 ნომრად განთესილ უკრაინელ **განა პივენს** (297) აჯობა - 4:6, 6:4, 6:4. სამწუხაროდ, მანანა მერვედფინალში ვერას გახდა რუს **ნატალია ორლოვასთან** (363) - 1:6, 1:6.

წარმატებული სტარტი ჰქონდა **მაკა ჩახნაშვილსაც** (200), რომელიც ფლორენციის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) ასპარეზობს. პირველ წრეში მან სლოვაკ **მიხაელა პოჩაბოვას** (238) იოლად სძლია - 6:1, 6:2. მერვედფინალში ქართველის მეტოქე ფრანგი **სევერინ ბელტრამია** (207), რომელიც 2007 წელს მსოფლიოს 34-ე ჩოგნობამდე ალზევდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## მილოცვა

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ლეგენდარულ ვეტერან ხელბურთელს, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს და პრიზიორს, სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს, შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატზე „ხელბურთის პელედ“ აღიარებულ **ჯემალ ცერცვაძეს**

### გუშინდელ ლელოში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. თედიაშვილი; 5. გირი; 9. რაკეტა; 10. ასათიანი; 12. ლერი; 13. გარბენი; 16. ხრიდოლი; 17. ფეი; 21. იაშვილი; 22. მეკარე; 25. არაუ; 26. სკოლარი; 29. ბებერი; 30. მდივანი; 33. ტარასოვი; 34. პლეადა; 35. ტირი; 36. ნიკე; 37. ქიში.

შვეულად: 1. თორთლაძე; 2. დაკარი; 3. აუტი; 4. ლასტბოლი; 6. „ირაო“; 7. ისინდი; 8. ათენი; 11. კანდელაკი; 14. კრივი; 15. დესაი; 18. კალათბურთი; 19. მეტრეველი; 20. ლერძი; 23. გამბიტი; 24. ელადა; 27. პროსტი; 28. ინძაგი; 31. სვენ; 32. ნავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი



# LOS SUNS

„სან ანტონიო სპურსისა“ და „ფინიქს სანზის“ სერიის მეორე მატჩი არასტანდარტული გამოვიდა. როგორც წესი, სპორტი მეტ-ნაკლებად შორს არის პოლიტიკისგან, მაგრამ ამჯერად კალათბურთი ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად გამოიყენეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აპრილში არიზონას მთავრობამ გუბერნატორ **იან ბრუერთან** ერთად მიიღო ახალი კანონი შტატში არალეგალების მიგრაციის შესამცირებლად. ამ კანონის თანახმად, პოლიციას შეუძლია ნებისმიერი საეჭვო პიროვნების დოკუმენტების შემოწმება. თავის მხრივ, დაკავებული ვალდებულია დაამტკიცოს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის კანონიერება. თუ ვერ დაამტკიცებს - გამოდის, რომ კანონი დაარღვია. ამ გადაწყვეტილებამ მაშინვე ლათინურამერიკული დიასპორის მხრიდან აღშფოთება გამოიწვია. მათ მთავრობას სასწრაფოდ კანონის გაუქმება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია რასობრივი გამოვლინებები იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამერიკის მოქალაქეები არ არიან. მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და სწორედ ამ დროს საქმეში „ფინიქს სანზის“ მეპატრონე **რობერტ სარვერი** ჩაერთო.

*„ამ კანონის მიღება დააზარალებს შტატს და მთელ ქვეყანას, - აღნიშნა სარვერმა. - ის ეწინააღმდეგება ადამიანების თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების პრინციპებს, ამიტომაც ეჭვქვეშ ვაყენებ მისი შემოღების აუცილებლობას“.*

სარვერმა ლათინურამერიკელების დახმარება გადაწყვიტა. მან „სან ანტონიოსთან“ სერიის მეორე მატჩში თავისი გუნდისთვის შეუკვეთა მაისურები, რომლებზეც გუნდის სახელი ესპანურ ენაზე ეწერა - Los Suns. აქციის ჩატარების თარიღი შემთხვევით არ იქნა შერჩეული. 5 მაისს აღინიშნება ყოველწლიური დღესასწაული - მექსიკის დამოუკიდებლობის დღე. საერთო ჯამში, სარვერის იდეას მხარი დაუჭირეს გულშემატკივრებმა (ვილაცამ ბანერი მიიტანა სტადიონზე, ზოგიერთი სომბრეროთი იჯდა ტრიბუნაზე), კალათბურთელებმა და NBA-ის კალათბურთელთა პროფკავშირმა.

*„კარგია, რომ სხვა ადამიანებზე ვზრუნავთ, - აღნიშნა „ფინიქსის“ ლიდერმა* **სტივ ნეშმა**, *რომელიც ასევე არ არის ამერიკის მოქალაქე - ის სამხრეთ აფრიკაშია დაბადებული, შემდეგ კი კანადაში გადავიდა საცხოვრებლად. - კანონი არაკორექტულია, ამიტომაც უნდა დავიცვათ ჩვენი იდეალები და გვჯეროდეს მისი. NBA - მრავალეროვანი ლიგაა და შესაბამისად, ეს წესი მასაც ეხება“.*

არიზონაში დაგეგმილი აქციის შესახებ ინფორმაციამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** ყურამდეც მიაღწია. თავის სიტყვაში, რომელიც 5 მაისს მექსიკურ დღესასწაულს მიეძღვნა, პრეზიდენტმა კანონს შეცდომა უწოდა. ასე რომ, „ფინიქსმა“ ერთ გამარჯვებას ოთხშაბათს მოედნის მიღმა მიაღწია და ისღა დარჩენოდა, თავისი ძალა მოედანზეც დაემტკიცებინა.

სტუმრები შეეცადნენ, რაც შეიძლება აქტიურად დაეწყოთ შეხვედრა. **ტიმ დანკანი** ხშირად იღებდა სამწამიანში გადაცემას და ხშირ შემთხვევაში მათ ქულებად აქცევდა. ისევ ბრწყინვალედ ითამაშა მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან შესულმა **ტონი პარკერმა**, პლეიმეიკერის როლი საკუთარ თავზე აიღო და კარგადაც შეასრულა **მანუ ჯინობილიმ**. ამას დაემატა დაცვაში წარმატებული თამაში და პირველი შესვენების წინ „სან ანტონიომ“ ცხრა ქულით მოახერხა წინ გასვლა - 30:21.

მცირე პაუზამ „ფინიქსს“ გონს მოსვლის საშუალება მისცა და გუნდი სხვანაირად ათამაშდა. **ელვინ ჯენტრის** შეგირდები უფრო აქტიურად იბრძოდნენ მეტოქის ფარზე და ამ კომპონენტში აშკარად აჯობეს მეტოქეს. მოედანზე **ჯარედ დადლისა** და „გიგანტი“ **ლუ ამუნდსონის** გასვლის შემდეგ, მატჩის ხასიათი კარდინალურად შეიცვალა. მეორე მეოთხედში მასპინძლებმა 28 ტყორცნიდან მხოლოდ 10 გამოიყენეს, სამაგიეროდ შეტევაში ცხრაჯერ მოხსნეს ბურთი და მატჩის მეორე ნაწილი 30:21 მოიგეს. დიდი შესვენებისთვის ანგარიში თანაბარი იყო - 51:51.

მოედანზე დაბრუნების შემდეგ, მეტოქეები მთელი მესამე მეოთხედი მორიგეობით უსწრებდნენ ერთმანეთს და ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა კომფორტული უპირატესობის მოპოვებას. წესითა და რიგით, მაყურებელს დაძაბული დასასრული ელოდა და ასეც იქნებოდა, „სან ანტონიოს“ პერიმეტრის გადაკეტვა რომ მოეხერხებინა. მაგრამ **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდების ფატალურმა შეცდომამ ის გამოიწვია, რომ ბოლო მეოთხედში **ჩენინგ ფრაიმ** (ექვსი ცდიდან ხუთი ზუსტი სამქულიანი), **ჯეისონ რიჩარდსონმა** და იმავე დადლიმ გაილაღეს. პლუს ამას, ვეტერანმა **გრანტ ჰილმა** ზედიზედ სამჯერ ჩააგდო საშუალო დისტანციიდან.

სტუმრები ბრძოლას ცდილობდნენ, მაგრამ ბოლო რვა წუთში მის რიგებში მხოლოდ „დიდი სამეულის“ წევრები - ჯინობილი, პარკერი და დანკანი აგდებდნენ ბურთებს. ტიმმა ერთი სამქულიანიც კი მიითვალა, მაგრამ „სპურსმა“ თავის გადარჩენა ვერ შეძლო. „სან ანტონიო“ შინ ცუდ ხასიათზე ბრუნდება - სერიაში ანგარიშია - 2:0 „ფინიქსის“ სასარგებლოდ. პოპოვიჩის გუნდის ნახევარფინალში გასვლის შანსები მეტად ბუნდოვნად მოჩანს.

**ფინიქსი-სან ანტონიო 110:102**

21:30, 30:21, 27:25, 32:26

ფ: სტაუდმაიერი (23+11 მოხსნა), ნეში (19+6 პასი), რიჩარდსონი (19+5 მოხსნა), გ. ჰილი (18+6 მოხსნა), ფრაი (15), დადლი (11+6 მოხსნა).

ს-ა: დანკანი (29+10 მოხსნა), პარკერი (20+7 პასი), ჯეფერსონი (18+10 მოხსნა), ჯ. ჰილი (14), ჯინობილი (11+11 პასი).

**სერია: 2:0**

■ ■ ■

ამასობაში, ცნობილი გახდა იმ კალათბურთელთა გვარები, რომლებიც 2009-10 წლების სეზონში დაცვითი ხუთეულის წევრები გახდნენ. ტრადიციულად, ორი სიმბოლური ნაკრები შედგა.

რა თქმა უნდა, ბოლო ორი სეზონის საუკეთესო დამცველი **დუაიტ ჰოვარდი** პირველ ხუთეულში მოხვდა. მისი პარტნიორები არიან: **ლებრონ ჯეიმსი** („კლივლენდი“), **ჯერალდ უოლასი** („შარლოტი“), **რაჟონ რონდო** („ბოსტონი“) და **კობი ბრაიანტი** („ლეიკერსი“).

მეორე ხუთეული შემდეგმა კალათბურთელებმა დააკომპლექტეს: ტიმ დანკანი („სან ანტონიო“), **ანდერსონ ვარეჟაო** („კლივლენდი“), **ჯოშ სმიტი** („ატლანტა“), **დუეინ უეიდი** („მაიამი“) და **ტაბო სეფოლოშა** („ოკლაჰომა“).

სიმბოლური ნაკრებების შემადგენლობებს NBA-ის კლუბების მწვრთნელები ასახელებენ. ისინი ორი ხუთეულის საკუთარ ვერსიას წერენ, თანაც იქ თავიანთი შეგირდების შეყვანის უფლება არ აქვთ.

კრივი

# პაკმენი ფლოიდს უახლოვდება



ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მწვრთნელმა **ფრედი როუჩმა** განაცხადა, რომ მის შეგირდისა და ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს** შორის ჩხუბი მაინც გაიმართება. ცნობილმა სპეციალისტმა ბრძოლის ჩატარების სავარაუდო თარიღიც დაასახელა. შეგახსენებთ, რომ ეს მოკრივეები ჯერ კიდევ ამ წლის დასაწყისში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ დოპინგსინჯების ჩაბარების წესზე ვერ მოილაპარაკეს. როუჩის აზრით, ახლა მოკრივეების წარმომადგენლები შეძლებენ ამ საკამათო საკითხის მოგვარებას და შესაბამისად, „საუკუნის ბრძოლა“ გაიმართება.

*„მე უკვე ველაპარაკე მენის პრომოუტერ ბობ არუმს, - ამბობს როუჩი ESPN-თვის მიცემულ ინტერვიუში. - ის მალე გაფრინდება ფილიპინებში და პაკიაოს ამ ბრძოლის ჩატარებას შესთავაზებს. ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ ეს ჩხუბი შედგეს. მიმაჩნია, რომ საკმარისი წინა პირობა არსებობს იმისთვის, რომ მოლაპარაკებები სწრაფ ტემპში წარიმართოს და მალე დასრულდეს, რადგან აქ დიდ ფულზეა ლაპარაკი. დოპინგის საკითხში კომპრომისის მიღწევას ვაპირებთ. მათ უნდოდათ სისხლის ჩაბარების შეწყვეტა ბრძოლამდე 14 დღით ადრე. ჩვენ 24 დღეს ვითხოვდით. ახლა 17-18 დღეზე შევაჩერებთ არჩევანს. რაც შეეხება, ბრძოლის ჩატარების თარიღს, სავარაუდოდ ეს არის ოქტომბერი ან ნოემბერი. თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ბრძოლა ამ წლის ბოლოს შედგება“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ჰოლანდია | |
|---|---|
| უტრეხტი-გრონინგენი | 3:1 |
| როდა-ჰერაკლესი | 1:1 |
| იგლზი-კამბური | 2:0 |
| ეინდჰოვენი II-ვილემი | 1:2 |
| ცვოლე-ექსელსიორი | 0:1 |
| ჰელმონდი-სპარტა | 2:1 |

| ჰოლანდიის თასი. ფინალი. II მატჩი | |
|---|---|
| ფეიენოორდი-აიაქსი | 1:4 (0:2) |

| დანია | |
|---|---|
| ესბერგი-სილკებორგი | 4:0 |
| ორჰუსი-სონდერიისკი | 1:2 |
| ოდენსე-ნორდსილანდი | 2:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სტარტი-ლილესტრიომი | 2:3 |
| მიოლდე-ოლესუნდი | 2:1 |

| შვედეთი | |
|---|---|
| იურგორდენი-გაის | 1:1 |
| ჰელსინგბორგი-ერებრუ | 2:1 |
| გიოტებორგი-აიკ | 4:0 |
| ტრელებორგი-მიალბიუ | 2:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბელინცონა-ლუცერნი | 0:0 |
| გრასჰოპერსი-ციურიხი | 4:0 |
| ქსამაქსი-სიონი | 4:1 |

| რუსეთი | |
|---|---|
| ტომი-ტერეკი | 2:1 |
| რუბინი-სიბირი | 1:0 |
| როსტოვი-ცსკა | 1:0 |
| ზენიტი-ნალჩიკი | 3:1 |
| სპარტაკი-ანჟი | 3:0 |

| პოლონეთი | |
|---|---|
| არკა-ბელხატოვი | 2:1 |

| რუმინეთი | |
|---|---|
| ოცელული-უნირეა (ა) | 1:0 |
| ბრაშოვი-გლორია | 6:0 |
| კლუჟი-ვასლუი | 0:0 |
| უნირეა (უ)-ინტერნასიონალი | 1:0 |
| დინამო-ტიმიშოარა | 1:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ესტორილი | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-ტავარესი | 6:2, 6:2 |
| ა. მარტინი-მარერო | 6:1, 6:2 |
| მაშადო-პრსიეჟნი | 6:4, 6:4 |
| ხირალდო-ჟილი | 4:6, 4:6 |

| ATP. ბელგრადი | |
|---|---|
| გასკე-სეპი | 4:6, 6:2, 7:5 |
| ისნერი-უანა | 6:2, 6:4 |
| სებალიოსი-კრაინოვიჩი | 3:6, 6:1, 6:7 |
| ჯოკოვიჩი-ფონინი | 6:4, 6:4 |

| ATP. მიუნხენი | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-ვენტურა | 6:2, 6:1 |
| ბაღდატისი-ჩიუდინელი | 6:3, 6:4 |
| ალმაგრო-ანდერსონი | 6:2, 5:7, 7:6 |
| ჩილიჩი-გროილი | 6:7, 6:2, 7:5 |

| WTA. რომი | |
|---|---|
| მარტინეს სანჩესი-საფაროვა | 7:6, 6:4 |
| ს. უილიამსი-კირილენკო | 6:1, 6:4 |
| ივანოვიჩი-პეტროვა | 6:2, 7:5 |
| იანკოვიჩი-ვ. უილიამსი | 6:0, 6:1 |

| WTA. ესტორილი | |
|---|---|
| კირსტეა-რუსი | 6:4, 6:1 |
| პენგი-მედინა გარიგესი | 4:6, 6:4, 6:3 |
| პარა სანტონხა-გროტი | 6:7, 7:5, 7:5 |
| სევასტოვა-როდიონოვა | 7:6, 6:2 |

TV პროგრამა

**7 მაისი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. მიუნხენი. გერმანია.
**10:30** პოკერი.
**11:30** ფეხბურთი. გერმანიია ჩემპიონატი. ბაიერნი-ბოხუმი.
**13:15** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბოლტონი.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-პალერმო.
**16:50** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.
**18:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:45** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**19:55** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ცსკა. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**22:10** 100% დინამო.
**22:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**22:55** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. პარტიზანი-ოლიმპიაკოსი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-რომა.
**02:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბოლტონი.
**04:35** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ატლეტიკო.
**06:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-პალერმო.

**SPORT 2 (უკრაინა)**

**07:45** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**08:00** რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრივზე.
**09:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.
**10:50** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ინტერი.
**12:35** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**13:00** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
**15:25** სპორტული ცეკვები.
**16:15** კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
**16:40** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:45** კალათბურთი. FIBA-ის ჩემპიონთა თასი. ფინალი. ავსტრალია-თურქეთი. ჩინეთი.
**19:35** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
**21:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა.
**23:30** 100% დინამო.
**23:50** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
**01:35** კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
**02:00** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ცსკა. პარიზი. საფრანგეთი.
**04:00** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**04:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მიმოხილვა.
**04:55** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.

**EUROSPORT**

**10:30** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**11:00** ველოსპორტი. პარიზი-რუბე. საფრანგეთი.
**12:30** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**13:00** ველოსპორტი. ფლეშ ვალონი. ბელგია.
**14:00** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
**16:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია.
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**22:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. უკრაინა.
**23:00** პროფესიული კრისი. კვიპროსი (LIVE).
**01:00** ბოულინგი. PBA. ტელეჟურნალი.
**02:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:10** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**02:30** ექსტრემალური სპორტი.
**03:00** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.

ჰოკეი

NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

**ფილადელფია-ბოსტონი 1:4**

1:2, 0:0, 0:2

გოლები: 1:0 ეშემი-2 (ჟირუ-3, ბეტსი-1), 1:1 ველერი-1 (ჰანვიკი-5, სავარი-1), 1:2 შატანი-5 (ლუჩიჩი-4, კრეისი-4), 1:3 რეკი-4 (ველერი-4, ხარა-3), 1:4 პ. ბერჟერონი-4.

**სერია: 0:3**

**ვანკუვერი-ჩიკაგო 2:5**

0:2, 2:1, 0:2

გოლები: 0:1 ვერსტეეგი-2 (მარიან ჰოსა-7, ლედი-1), 0:2 ბაფლინი-1 (კეიტი-3, ტეუვზი-9), 1:2 ჰანსენი-1 (ედლერი-3, სალო-4), 1:3 ბაფლინი-2 (ტეუვზი-10, პ. კეინი-4), 2:3 ბაროუზი-2 (ედლერი-4, სალო-5), 2:4 მარიან ჰოსა-2 (მარპი-5, კოპეცკი-1), 2:5 ბაფლინი-3 (პ. კეინი-5, ტეუვზი-11).

**სერია: 1:2**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯოკოვიჩის გადამწყვეტი გოლი

ბელგრადში მიმდინარე ATP-ის ტურნირის (სერბეთის ღია პირველობა) რანგში საინტერესო საფეხბურთო მატჩი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს სპორტსმენებმა და მსახიობებმა. თამაში მინიმალური უპირატესობით - 3:2 სპორტსმენებმა მოიგეს, თანაც გამარჯვების გოლი **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გაიტანა. როგორც ცნობილია, ეს სერბი ჩოგბურთელის ბელგრადის ტურნირის ორგანიზატორი გახლავთ.

ჯოკოვიჩის გუნდში თამაშობდნენ ლეგენდარული კალათბურთელები - **ვლადე დივაცი** და **დეიან ბოდიროგა**, აგრეთვე ფეხბურთელები - **სავო მილოშევიჩი, ვლადან ლუკიჩი** და სხვები. მსახიობების გუნდიც ფეხბურთელებით (ზორან მირკოვიჩი, დრაგან ჩირიჩი) იყო გაძლიერებული.

ტურნირების მიმოხილვა

# ანამ მესამეც მოიშორა

როგორც ჩანს, **ანა ივანოვიჩის** კრიზისი წარსულს ჩაჰბარდა. რომში მიმდინარე უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე სერბმა ზედიზედ მესამედ ორ სეტში მოიგო შეხვედრა. თანაც სამივე შემთხვევაში როლან გაროსის ყოფილ ჩემპიონს ძლიერი მეტოქეები ჰყავდა - **ვესნინა, აზარენკა** და **დემენტიევა**.

*„ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში შესამჩნევად მოვუმატე თამაშს, ბევრს ვმუშაობდი ვარჯიშებზე და ახლა ისლა დამრჩენია, ეს ყველაფერი კორტზე გადავიტანო. მაქსიმალურად კონცენტრირებული უნდა ვიყო და იმედია, უფრო მეტს მივაღწევ“*, - განაცხადა აზარენკასთან მატჩის შემდეგ ივანოვიჩმა და ისიც დაამატა, რომ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

ანამ დემენტიევასთან მატჩში აასრულა დანაპირები. პირველ სეტში ივანოვიჩი შესანიშნავად თამაშობდა შეტევაში და მეტოქეს რისკზე წასვლას აიძულებდა. თავის მხრივ, რუსი საშინლად გამოიყურებოდა საკუთარ მოწოდებაზე - მთელი პარტიის განმავლობაში დემენტიევამ საკუთარ გეიმებში მხოლოდ ოთხი (!) გათამაშება მოიგო.

მეორე სეტი უფრო დაძაბული გამოდგა. ელენა ბადესთან თამაშობდა კარგად, თუმცა ამას ივანოვიჩი უკანა ხაზზე დამაჯერებელი თამაშით აბათილებდა. ამიტომაც კარგა ხანი ანგარიში თანაბარი იყო. რუსს სეტის მოგების შანსი 6:5-ზე მიეცა, როცა მეტოქის მოწოდებაზე 30:15 დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. იქ დემენტიევა ორჯერ მინიბრეიკით დაწინაურდა და სერბმა აქაც შეძლო სიტუაციის გამოსწორება, რის შემდეგაც პირველი მატჩბოლიდან მოიგო შეხვედრა.

აღსანიშნავია, რომ ივანოვიჩს 2008 წელს ლინცის ტურნირის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული მატჩი რეიტინგის პირველი ათეულის წევრისთვის, აქ კი უკვე კლასიფიკაციის ორ ლიდერს მოუგო - აზარენკასა (10) და დემენტიევას (6).

მეოთხედფინალში გავიდნენ დები **უილიამსები**. შედარებით იოლად მოიპოვა ამ ეტაპზე თამაშის უფლება **ვენუს უილიამსმა**. ამერიკელი კარიერაში მეოთხედ ხვდებოდა ისრაელელ **შაარ პეერს** და მეოთხედ შეძლო მისი დამარცხება. უფროსმა უილიამსმა ამისთვის შვიდი ეისი და სამი ბრეიკი იკმარა - 6:3, 6:4.

სამი სეტის ჩატარება დასჭირდა **სერენა უილიამსს**. გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან** მატჩში მსოფლიოს პირველი ჩოგანი დომინირებდა პირველ და მესამე პარტიებში - ამერიკელმა ამ ორ სეტში ექვსი ბრეიკი გააკეთა და ჯამში მეტოქეს სულ ორი გეიმი დაუთმო.

სერენამ მხოლოდ მეორე პარტია ჩააგდო, სადაც ვერც ერთხელ ვერ აიღო გერმანელის მოწოდება, თავად კი ორჯერ დათმო საკუთარი გეიმი და 3:6 დამარცხდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ამერიკელისთვის მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებაში.

■ ■ ■

სათიხნარო სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა**. შვეიცარიელი ჩოგბურთელი ამ კვირას პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში ნაკლებად წარმომადგენლობით ტურნირში მონაწილეობს.

ფედერერის პირველი მეტოქე კაცების რეიტინგის 138-ე ნომერი, გერმანელი **ბიორნ ფაუ** იყო. როჯერმა საათი და 23 წუთი მოანდომა მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებას. შვეიცარიელი განსაკუთრებით კარგად საკუთარ მოწოდებაზე თამაშობდა, ჯამში 17 ქულა დაუთმო გერმანელს და საბოლოოდ 6:3, 6:4 გაიმარჯვა.

**WTA**

**INTERNAZIONALI BNL D'ITALIA**

რომი (იტალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:2, 3:6, 6:0; **მარია კირილენკო (რუს)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 4:6, 6:1, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ, 4)**-შაარ პეერი (ისრ, 16) 6:3, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 11) 6:2, 6:0; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-ელენა დემენტიევა (რუს, 6) 6:1, 7:6(5); **ნადია პეტროვა (რუს, 14)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 6:0, 3:6, 6:2; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 8) 1:6, 6:3, 7:6(1); **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 2) 6:4, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა









